რა კითხვები აწუხებს გენპროკურატურას მიხეილ მაჭავარიანის მისამართით A7

ბოლო ნაფაზი A8

რეალიები B6

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

სამშაბათი, 24 თებერვალი, 2004 წელი. №45 (594)

ფასი 50 თეთრი

ვაშინგტონისკენ, ნორვეგიისა და გრენლანდიის გავლით

22 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ოფიციალურ ვიზიტით ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი თედო ჯაფარიძე, შინაგან საქმეთა მინისტრი გიორგი ბარამიძე, თავდაცვის მინისტრი გელა ბეჟუაშვილი, ფინანსთა მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და განათლების მინისტრი კახა ლომაია.

ოსლოში რამდენიმე საათით შეჩერებისას, საქართველოს პრეზიდენტსა და მის თანმხლებ დელეგაციას დახვდნენ ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივანი კიმ ტრავიკი, იუსტიციის მინისტრი ოდ ეინარ დეორუმი და სხვა ოფიციალური პირები. აეროპორტში გაიმართა სადილი, ხოლო შემდეგ მიხეილ სააკაშვილი პრესის წარმომადგენლებს შეხვდა.

"ნორვეგიის ცივი კლიმატის მიუხედავად, აქ ძალზე თბილი და სტუმართმოყვარე ხალხი ცხოვრობს, - აღნიშნა მან, - **უნდა**

გაგრძელება A3 გვერდზე

პრეზიდენტის შეჩერება ყინულეთში.

ეს არ არის ბავშვების მთავრობა

ბებრის გაფუჭებული საქმეც მინახავს

მაია ჭალაგანიძე

ნიკო ლეკიშვილი არასდროს ყოფილა პრემიერ-მინისტრი. 1996 წელს ის სახელმწიფო მინისტრი იყო და მაშინვე არ მოსწონდა ეს თანამდებობა. როგორც თავად ამბობს, ყოველთვის პატარა, მობილურ მინისტრთა კაბინეტზე ოცნებობდა და რადგანაც ახლა ისეთი სტრუქტურაა, რაც მას ყოველთვის ხიბლავდა, ელის, რომ საინტერესო ამბები დაიწყება.

"მსხვილ გადამხდელთა კავშირი", რომელსაც ბატონი ნიკო ხელმძღვანელობს, ვერაფრით ეხმარება ამ ბოლო დროს "დაჩაგრულ" მსხვილ ბიზნესმენებს - ამ ორგანიზაციის ფუნქციებში ეს არ შედის. სამაგიეროდ, ბატონი ნიკო არ იშურებს რჩევებს ახალი მთავრობისთვის - უქებს გადადგმულ ნაბიჯებს, მოუწოდებს, გაუფრთხილდნენ წარმოებებს, მსხვილ ბიზნესმენებს და უკვე არსებულ ხელსაყრელ საინვესტიციო გარემოს.

გაგრძელება B1 გვერდზე

ნიკო ლეკიშვილი.

ბეკა ბახსიანის ფოტო

პირველი ევროპული ფოტოალბომი საქართველოზე

ნესტან ნიჟარაძე

ფრანგი ფოტოგრაფის ნიკოლა დეზაგერის პროექტი საქართველოში გადაღებული ფოტოების წიგნის გამოცემით დასრულდება. ეს პირველი ფოტოალბომი იქნება, რომელიც ევროპაში გამოიცემა და მთლიანად საქართველოს მიეძღვნება.

როდესაც საკუთარ ბიოგრაფიაზე საუბრობს, ნიკოლა დეზაგერი რამდენიმე მნიშვნელოვან თარიღს და გეოგრაფიულ ადგილს ახსენებს: 1973 წელი და ავინიონი, სადაც დაიბადა; 1996 წელი და სარაევო, სადაც 23 წლის ასაკში სამხედრო სამსახურში გაემგზავრა და საქართველო, სადაც პირველად 1999 წლის ოქტომბერში ჩამოვიდა. ხოლო როდესაც ზოგადად ფოტოგრაფიაზე საუბრობს, იგი, უბრალოდ, ამბობს, რომ ფოტოგრაფია მისთვის მხოლოდ პროფესია კი არა,

გაგრძელება B6 გვერდზე

კახეთი 2001

ნიკოლა დეზაგერის ფოტოები

დახმარების გაზრდა 200 მილიონი დოლარით - სააკაშვილის თხოვნა აშშ-ს სენატს

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კაპიტოლიუმში ამერიკის შეერთებული შტატების სენატის ლიდერებს შეხვდა. სენატორებს საქართველოს პრეზიდენტი იმ ფინანსური დახმარების თაობაზე ესაუბრა, რომელიც, აშშ-ს ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, საქართველოს უნდა გამოუყონ. კერძოდ, ლაპარაკია საქართველოსთვის დახმარების 64 მილიონი ამერიკული დოლარით გაზრდაზე, რომელსაც ამერიკის კონგრესი, სავარაუდოდ, აპრილში დაამტკიცებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მიხეილ სააკაშვილმა სენატორებს დახმარების 200 მილიონი დოლარით გაზრდა სთხოვა.

- დღეს, საქართველოს, როგორც არასდროს, ისე სჭირდება ამერიკის შეერთებული შტატების დახმარება, - განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას, - **ეს ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია. რაც მთავარია, ჩვენს მიმართ ძალზე დადებითი განწყობა აქვთ და შეხვედრაც საკმაოდ თბილი და კონსტრუქციული იყო. სენატორები გვპირდებიან, რომ ამ თანხას მართლაც დაამტკიცებენ მიმდინარე წლის ბიუჯეტში და თუ შეპირებულ დახმარებას მივიღებთ, თითოეული თეთრიც კი საქართველოს მოსახლეობის საკეთილდღეოდ დაიხარჯება.**

მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ამ თანხის უმეტესი ნაწილი უსაფრთხოების სტრუქტურებს, თავდაცვისუნარიანობის ამაღლებას, პოლიციის რეფორმირებასა და ენერგეტიკის დარგს მოხმარდება.

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური

საქართველო მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ვიზიტი ავსტრიაში, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე

ევროპაში უშიშროების და თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეა ის ორგანიზაციაა, რომელიც ყოველთვის აქტიურად ეხმიანება საქართველოში მიმდინარე მოვლენებს. ამჯერადაც ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყოველწლიური ზამთრის სესიის დღის წესრიგი არ ითვალისწინებდა საქართველოს შესახებ დისკუსიას, მაგრამ ორდღიანი მუშაობის განმავლობაში ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ყველა სტრუქტურამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო საქართველოში არსებულ ვითარებას - "ვარდების რევოლუციას", მომავალ საპარლამენტო არჩევნებს, ქვეყანაში არსებულ ეკონომიკურ ვითარებას და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ საქართველოსათვის დახმარების გაწევის შესაძლო გზებსა და ფორმებს.

ასამბლეამ მაღალი შეფასება მისცა 4 იანვრის საპრეზიდენტო არჩევნებს და იმედი გამოთქვა, რომ 28 მარტის საპარლამენტო არჩევნები საერთაშორისო სტანდარტების და მოთხოვნების შესაბამისად ჩატარდება. ეუთო-ს შეფასებით, 4 იანვრის არჩევნებმა მთელ მსოფლიოს დაანახა, რომ 45 დღის

გაგრძელება A3 გვერდზე

საბიუჯეტო სეპარატიზმი

აჭარისა და ცენტრის საბიუჯეტო ურთიერთობა - მაფიოზურ-კლანური შემოსავლების ოფიციალური გზით მიღების ტიპური მაგალითი

ზურაბ გარაყანიძე
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი, უმუშევრობის საბჭოს ყოფილი თანამშრომელი

საბიუჯეტო სეპარატიზმი პოლიტიკური სეპარატიზმის ეკონომიკური საფუძველია. გლობალიზაციისა და ლოკალიზაციის ეპოქაში საქართველოს სეპარატიზმზე დიდი საფრთხე არ ემუქრება. ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით, სოციალური მუქარების გააქტიურების გარდა, იგი ქვეყნის საფინანსო სისტემის დეზინტეგრაციას უწყობს ხელს და ამით წარმოქმნის ეკონომიკური დანაშაულის - ე.წ. "შავი ფულის" აქამდე უცნობ, არატრადიციულ ნაირსახეობებს. უკანასკნელ პერიოდში არა მხოლოდ დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლები იქცევა "შავ ფულად". ასეთად შესაძლებელია გადაიქცეს ოფიციალურად ნებადართული და სრულიად ლეგიტიმური გზით მიღებული "სუფთა ფულიც". მაფიოზურ-კლანური შემოსავლების ოფიციალური გზით მიღების ტიპური მაგალითია აჭარისა და ცენტრის საბიუჯეტო ურთიერთობების ისტორია.

გაგრძელება A4 გვერდზე

ბურუსი ბათუმის ნავთობტერმინალის გარშემო

მაია ურუშაძე

პოლიტიკური დაძაბულობა ბათუმში პიკს აღწევს. ასლან აბაშიძის ხელისუფლება თავისი ფინანსური ბურჯების შენარჩუნებას ცდილობს. ერთ-ერთი ასეთი ბურჯი – "ომეგა" – სამართალდამცველების ყურადღების ცენტრშია. ბათუმში გრძნობენ, რომ შესაძლოა, მალე მეორე ასეთი ბურჯის – ბათუმის ნავთობტერმინალის უკანონო პრივატიზაციის საკითხმაც წამოიწიოს და წლების წინ გაჩარხული ბუნდოვანი საქმეების მიღმა "აჭარული კვალის" წაშლას ცდილობენ.

"24 საათი" კი, სულ რაღაც, ორი კვირის წინ წერდა, რომ ბათუმის ნავთობტერმინალი 1999 წელს, ცენტრის ნებართვის გარეშე, უკანონოდ იქნა პრივატიზებული. ახლა ის ბრიტანულ კომპანია "გრინოკს" ეკუთვნის. როგორც "გრინოკის" ოფიციალურ ვებ-გვერდზე იყო მითითებული, ამ კომპანიის ხელში მოქცეულ ტერმინალში სრულიად უცხო კომპანია "ნაფტრანს ლიმიტედმა" 12 მილიონი დოლარი დააბანდა და ახლა, როგორც ჩანს, გარიგების მონაწილენი დივიდენდებს ფორსირებულად, სხვადასხვა ფარული გარიგებების მეშვეობით "ექაჩებიან".

გაგრძელება A4 გვერდზე

ვოლიტიკა

„დემოკრატიული აჭარა პარლამენტს აჭარაში შექმნილი ვითარების შეფასებას სთხოვს

ბათუმში მობილიზებულია ხუთი არაფორმალური სადამსჯელო რაზმი, რომელსაც ოპოზიციის აქტივობის შემთხვევაში, აბაშიძის მონინააღმდეგეებზე ანგარიშსწორება ევალება – ასეთ ინფორმაციას ავრცელებს "საზოგადოებრივი მოძრაობა – დემოკრატიული აჭარა".

A2

ეკონომიკა

დეპრივატიზაცია თუ მიტაცებული ქონების ხალხისთვის დაბრუნება?!

იუსტიციის სამინისტროს მიერ პარლამენტში ათიოდე დღის წინათ წარდგენილი ანტიკორუფციული პაკეტიდან, რომელიც მთელ რიგ კანონებში ცვლილებებს გულისხმობდა, ერთი მუხლის მიღება დღემდე გაჭიანურდა. მუხლი, რომელმაც პარლამენტსა და მის კედლებს გარეთაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, პრივატიზაციის მოქმედ კანონში "უმნიშვნელო" ცვლილებას გულისხმობდა.

A4

უცხოეთი

ევროკავშირი რუსეთს აფრთხილებს

უახლოეს მომავალში ურთიერთობები შეიძლება დაიძაბოს. მიმდინარე წლის 1 მაისს გაერთიანებაში 10 ახალი ქვეყანა შევა. მათი უმრავლესობა რუსეთის ყოფილი სატელიტები არიან. კრემლში შიშობენ, რომ ამით მოსკოვი საკუთარი პროდუქციის გასაღების უზარმაზარ ბაზარს დაკარგავს.

A5

საზოგადოება

ცესკო-ს ექსპერიმენტი - „ახალგაზრდა იურისტთა" გაფრთხილება

გუშინ დიდუბის საარჩევნო ოლქის მესამე საარჩევნო უბანზე ერთობ ორიგინალური პრეზენტაცია გაიმართა. საქმე ის არის, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ საზოგადოებას ის თერთმეტი სტუდენტი წარუდგინა, რომლებიც საპარლამენტო არჩევნების დღეს - 28 მარტს ამ უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის ფუნქციებს იტვირთავენ.

A6

სამართალი

ზურაბ ლობჟანიძეს შვეიცარიელი სამართალდამცველები ზედამხედველობენ

ზურაბ ლობჟანიძის დაკავება შვეიცარიის ინტერპოლმა მათი კანონმდებლობის საფუძველზე ვერ განახორციელა.

A7

ამინდი

თბილისი	12
ქუთაისი	14
ბათუმი	14
სოხუმი	12
ფოთი	14
თელავი	12
ზუგდიდი	14
გორი	12

უცხოური ვალუტის ოფიციალური კერძო ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.0450
ევრო	2.5859
გირვანქა სტერლ.	3.8552
რუბლი	0.0718

A2 ამბები A3 ვოლიტიკა A4 ეკონომიკა A5 უცხოეთი A6 საზოგადოება A7 სამართალი A8 თვალსაზრისი

B2 რევიუ B3 რევიუ B4 სპორტი B5 სპორტი B6 რეალიები B7 სხვადასხვა B8 სხვადასხვა

დემოკრატიული აჭარა პარლამენტს აჭარაში შექმნილი ვითარების შეფასებას სთხოვს

ედვარდ სურმანიძე პრეზიდენტს აჭარაში მომხდარი დარბევების გამოძიების პირად კონტროლზე აყვანას სთხოვს.

"ბათუმში მობილიზებულია ხუთი არაფორმალური სადამსჯელო რაზმი, რომელსაც ოპოზიციის აქტივობის შემთხვევაში, აბაშიძის მოწინააღმდეგეებზე ანგარიშსწორება ევალება. ესენია: აჭარის ავტონომიის სამთავრობო დაცვის უფროსის დავით ხალვაშის დაჯგუფება; აჭარის შს მინისტრის მოადგილის დავით ბაკურიძის ფირმა "ბასრი"; აჭარის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსის ვაჟა თაბაქიძის რაზმი; ე. წ. "აღლიის სპეცრაზმი", რომელსაც ბათუმში რამიზა აბაშიძე ხელმძღვანელობს; კრიმინალ შუქრი ყიფიანის ბანდა," – ასეთ ინფორმაციას ავრცელებს "საზოგადოებრივი მოძრაობა – დემოკრატიული აჭარა". მოძრაობის წევრები საქართველოს პარლამენტს აჭარაში ბოლო დღეებში განვითარებული მოვლენების შეფასებას სთხოვენ.

"ადგილობრივი ხელისუფლების დავალებით, აჭარაში ოპოზიციასთან ანგარიშსწორებამ ისეთი საშიში ფორმები შეიძინა, რომ მოვლენათა განვითარების პროგნოზირება სულ უფრო რთული ხდება," - განაცხადა გუშინდელ პრესკონფერენციაზე "დემოკრატიული აჭარის" ლიდერმა ედვარდ სურმანიძემ და პრეზიდენტ სააკაშვილს მოუწოდა, პირად კონტროლზე აიყვანოს პროკურატურის საგამოძიებო საქმიანობა აჭარაში, წინ აღუდგეს აბაშიძის რეჟიმის უკანონო ქმედებებს და უახლოეს პერიოდში რეგიონში ვითარების გამოსწორება მოახერხოს, რათა იქ შესაძლებელი გახდეს 28 მარტისათვის დანიშნული საპარლამენტო არჩევნების ჩატარება.

"ბათუმში ტერორი ისევ გრძელდება. 23 თებერვალს ადგილობრივმა ძალოვანებმა ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთი კოორდინატორის, ირაკლი ჭეიშვილის აყვანა სცადეს, ჭეიშვილმა გაქცევა მოახერხა, იგი ამჟამად იმალება. აბაშიძის მომხრეებმა ამავე დღეს სასტიკად სცემეს ბათუმის საზღვაო აკადემიის ათი სტუდენტი იმის გამო, რომ ისინი "საზოგადოებრივი მოძრაობა – დემოკრატიული აჭარის" მხარდამჭერები არიან," - ამბობენ აბაშიძის ოპოზიციონერები. "დემოკრატიული აჭარის" წარმომადგენლები აცხადებენ, რომ 20 თებერვლის მიტინგის დარბევა წინასწარ იყო დაგეგმილი აჭარის ხელისუფლების მაღალჩინოსნების და ადგილობრივი პოლიციის მიერ: **"დარბევას ხელმძღვანელობდა აჭარის სამთავრობო დაცვის უფროსი დავით ხალვაში, მეტსახელად "ქელფეთა", რომელიც თავის ხალხს კეფაზე პისტოლეტს ადებდა – თუ არ დაარბევთ, ადგილზე დაგხვრეტთო... სხვადასხვა ჯგუფებს მეთაურობდნენ აჭარის შს მინისტრის მოადგილე დავით ბაკურიძე, ბათუმის მერის გიორგი აბაშიძის დაცვის უფროსი როლანდ ბერიძე, მეტსახელად "ჩაკი", ქობულეთის და ხელვაჩაურის გამგებლები... ხელვაჩაურელი კრიმინალები: ზოიძე, მეტსახელად "ბერია" და თაბაქიძე, მეტსახელად "სტიოპა"... თაბაქიძეს და ზოიძეს ხელვაჩაურის რაიონის სოფელ შარაბიძეების გადასახვევთან გახსნილი აქვთ შტაბი. ისინი ახალგაზრდებს მოიერიშე რაზმებში იწვევენ და თვეში 80-80 ლარს აძლევენ. ხელვაჩაურში, ყოფილი სარაკეტო ნაწილის ტერიტორიაზე, ვინმე ნუგზარ ბეჟანიძის თაოსნობით დაფუძნდა სპეცრაზმი. იქ ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდებს ეპატიჟებიან და ყოველთვიურად 200-200 ლარს უხდიან... აჭარის ტერიტორიაზე საბჭოთა სამხედრო ბაზების ათვისება იწყება. ერთ-ერთი ინფორმაციით, ჩრდილო-კავკასიელების ჯგუფი ხელვაჩაურის სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე ცხოვრობს. ე. წ. "ლენინის გორაზე" გაუქმებული სამხედრო ნაწილის ამოქმედება იგეგმება. ბათუმში ერთ-ერთ საამქროში უკვე მზად არის ჯარისკაცის 500 პატარა კარადა. ეს იმას მიანიშნებს, რომ აბაშიძე, მინიმუმ, 500 კაცის მობილიზაციას გეგმავს."**

"ასეთ ვითარებაში საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას აზრი არ აქვს," - აცხადებს ედვარდ სურმანიძე. იგი რეგიონში ვითარების გამოსასწორებლად, თბილისის ცენტრალური ხელისუფლებისგან ქმედითი ნაბიჯების გადადგმას მოითხოვს. პარლამენტის დღევანდელ სხდომაზე ედვარდ სურმანიძე ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს მიმართავს, რათა აჭარაში მიმდინარე მოვლენებს სამართლებრივი შეფასება მისცეს. სურმანიძის აზრით, პარლამენტმა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სპეციალური დადგენილება უნდა მიიღოს.

ვერიკო თევზაძე

მიწის მართვის დეპარტამენტის ახალ ხელმძღვანელს დღეს წარადგენენ

დღეს იუსტიციის მინისტრი გიორგი პაპუაშვილი მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ახალ თავმჯდომარეს წარადგენს. აღნიშნულ თანამდებობაზე განათლებით ეკონომისტი დავით ეგიაშვილია დასახელებული.

დავით ეგიაშვილი 1966 წლის 14 მაისს დაიბადა. მან სკოლის დამთავრების შემდეგ, 1983 წელს, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეკონომიკის ფაკულტეტზე ჩააბარა. 1993 წელს დაამთავრა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა ეკონომიკის, მართვისა და დაგეგმვის სპეციალობით. 1997-2003 წლებში სწავლობდა თბილისის იურიდიულ ინსტიტუტში. 1995-1997 წლებში იყო სოფლის მეურნეობისა და სურსათის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს უფროსის მოადგილე. 1997-1999 წლებში მუშაობდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის კონტრაქტების მომზადებისა და მონიტორინგის სამმართველოს უფროსად. 2003 წლის ოქტომბრამდე იყო დეპარტამენტის საგარეო ურთიერთობათა სამმართველოს უფროსი. თანამდებობა ოქტომბერში საკუთარი სურვილით დატოვა. 2003 წლის ოქტომბრიდან დღემდე მუშაობდა გაერო-ს განვითარების პროგრამის მიწის მართვის პროექტის ტექნიკურ მრჩევლად.

ფლობს ინგლისურ, რუსულ და ფრანგულ ენებს. ჰყავს მეუღლე და ორი ქალიშვილი.

24 საათი

ზურაბ ჟვანია თბილისში დაბრუნდა

წუხელ პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია იტალიიდან დაბრუნდა, სადაც მწვანეთა კონგრესი მიმდინარეობდა. მან სხვადასხვა საკითხზე გააკეთა კომენტარი.

ზურაბ ჟვანიას განცხადებით, აჭარაში, კერძოდ ბათუმში განვითარებული მოვლენები ყოველგვარ კრიტიკულ ზღვარს სცილდება და ის პირები, რომლებიც ხალხს სცემს მათი პოლიტიკური შეხედულების გამო, აუცილებლად უნდა დაისაჯონ.

რაც შეეხება ყოფილი პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის სიძის გია ჯოხთაბერიძის დაპატიმრებას, ზურაბ ჟვანიას თქმით, მას იმედი აქვს, რომ სამართალდამცველებს აქვთ სერიოზული არგუმენტები იმისათვის, რათა ჯოხთაბერიძეს გარკვეული პრეტენზიები წაუყენონ და მიაჩნია, რომ არანაირი პოლიტიკური დატვირთვა და დევნა გია ჯოხთაბერიძის დაპატიმრებასთან კავშირში არ არის.

ზურაბ ჟვანიას განცხადებით, მას სავსებით განხორციელებად და რეალურად მიაჩნია საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ გამოცხადებული, ე.წ. "ფინანსური ამნისტია", რომელიც საქართველოში მოქმედ ბიზნესმენთა მიერ 1 აპრილამდე სპეციალური დეკლარაციის შევსებას ითვალისწინებს, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მათი შემოსავლები და ბიუჯეტთან არსებული დავალიანებები.

ჟვანიას თქმით, აღნიშნული შეთანხმება ბიზნესმენებთან, ანუ კანონპროექტი 10 დღეში მომზადდება და განსახილველად პარლამენტს წარედგინება.

რაც შეეხება "ნაციონალური მოძრაობისა" და "გაერთიანებული დემოკრატების" ერთიან საპარლამენტო სიებს, 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებისათვის, როგორც ჟვანია ამბობს, მუშაობა ამ სიებზე მიმდინარეობს საკმაოდ კონსტრუქციულად და მას იმედი აქვს, რომ შეთანხმება უახლოეს მომავალში იქნება მიღწეული. თუმცა, ჟვანიას თქმით, გამორიცხულია, რომ ამ სიებში მოხვდნენ ის ადამიანები, ვინც არც თუ ისე შორეულ წარსულში მისი, როგორც სახელმწიფო მოღვაწის დისკრედიტაციას ცდილობდნენ.

ზურაბ ჟვანიამ კომენტარი გააკეთა ასევე "ომეგა ჯგუფის" ხელმძღვანელის ზაზა ოქუაშვილის მიერ გამოთქმულ პრეტენზიებზე. როგორც ცნობილია, ოქუაშვილი ხელისუფლებას პოლიტიკურ ზეწოლაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ "ომეგა ჯგუფის" წინააღმდეგ სამართალდამცველების მიერ განხორციელებული სპეცოპერაცია სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკურ დევნა.

ჟვანიას თქმით, სამართალდამცველები სრულიად კანონიერად მოქმედებენ და ამ შემთხვევაშიც პოლიტიკურ დევნაზე საუბარი მას გადამეტებულად მიაჩნია.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ყოფილი სამხედრო პროკურორი და საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მეუღლე ბადრი ბიწაძე შს მინისტრის პირველი მოადგილედ უახლოეს მომავალში დაინიშნება.

როგორც ჟვანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, გარკვეული შეფერხებები ამ საკითხთან დაკავშირებით მხოლოდ ტექნიკურ დეტალებთან იყო დაკავშირებული და რაიმე უთანხმება მასსა და თავრობის სხვა წევრებს შორის ამ დანიშვნასთან დაკავშირებით არ არსებობს.

სახელმწიფო მინისტრის თქმით, ბადრი ბიწაძე, როგორც შს მინისტრის მოადგილე, საზღვრის დაცვის დეპარტამენტს გაუწევს კურატორობას, რომელიც შს სამინისტროს დაექვემდებარება.

ინტერ-პრესი

გია ჯოხთაბერიძეს შვეიცარიელი და ამერიკელი ადვოკატები დაიცავენ

ედუარდ შევარდნაძის სიძის, კომპანია "მაგთიკომის" დამფუძნებლის გიორგი ჯოხთაბერიძის ადვოკატი გიორგი ყავლაშვილი თბილისის საოლქო სასამართლოში გაასაჩივრებს მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს გადაწყვეტილებას ჯოხთაბერიძისათვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების თაობაზე.

ყავლაშვილის განცხადებით, რაიონულმა სასამართლომ კვირას პოლიტიკური გადაწყვეტილება მიიღო, ვინაიდან საქმეში ჯოხთაბერიძის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები არ მოიპოვება. ჯოხთაბერიძის დაკავებას პოლიტიკურ შეფასებას აძლევს ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ოჯახი.

როგორც ცნობილია, გენერალური პროკურატურა ჯოხთაბერიძეს გადასახადების დიდი რაოდენობით დამალვაში სდებს ბრალს. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნული დანაშაული 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გია ჯოხთაბერიძე პროკურატურის ბრალდებებს კატეგორიულად უარყოფს, გამოძიებას ჩვენებას აძლევს და აცხადებს, რომ უდანაშაულოა.

კომპანია "მაგთიკომის" ერთ-ერთი დამფუძნებლის გია ჯოხთაბერიძის საქმის გამოძიებაში ევროპელი და ამერიკელი იურისტები ჩაერთვებიან. მათ ჯოხთაბერიძის ადვოკატმა გიორგი ყავლაშვილმა საჭირო დოკუმენტაცია უკვე გაუგზავნა.

ჯოხთაბერიძის ადვოკატის ინფორმაციით, უცხოელი ადვოკატების მოწვევის სურვილი თავად ბრალდებულმა გამოთქვა, რადგან იგი მიიჩნევს, რომ მისი საქმე საერთაშორისო მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. შვეიცარიიდან და აშშ-დან მოწვეული კვალიფიციური იურისტები საქართველოში უახლოეს დღეებში ჩამოვლენ.

ინტერ-პრესი

თამარაშენში მომხდარ მკვლელობაში ეჭვმიტანილთა ვინაობა დადგენილია

ცხინვალი-თამარაშენის საავტომობილო გზა, რომელიც მოსახლეობას ჰქონდა გადაკეტილი, გახსნილია. ვითარება ქართულოსური კონფლიქტის ზონაში შედარებით განიმუხტა, რადგან სამხარეო პოლიცია უკვე ფლობს ინფორმაციას მკვლელობაში ეჭვმიტანილების შესახებ და მოსახლეობას უახლოეს ხანში მათ დაკავებას ჰპირდება. **"დაზუსტებული ინფორმაციები თავდამსხმელთა შესახებ უკვე გაგვაჩნია. ყველაფერი კეთდება მათი დააკვებისა და პასუხისგებაში მიცემისთვის. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, მეტს ვერაფერს გეტყვით",** - ჩვენთან საუბრისას განაცხადა ცხინვალის პროკურორმა გურამ ბაბუცაძემ.

შეგახსენებთ, რომ 20 თებერვალს, სოფელ თამარაშენში, ივანე მაჩაბლის სახლ-მუზეუმში ოსი ეროვნების მოქალაქეები თავს დაესხნენ მუზეუმის დარაჯს თამაზ ყაველაშვილსა და ელგუჯა ვახტანგიშვილს. თავდამსხმელი მათთვის სანადირო თოფის წართმევას ცდილობდა. წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ მან „აკს"-ს ტიპის ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით მოკლა ვახტანგიშვილი და მძიმედ დაჭრა ყაველაშვილი, რომელიც მოგვიანებით ცხინვალის საავადმყოფოში გარდაიცვალა.

რამდენიმე დღის განმავლობაში მოსახლეობას მკვლელის დასჯის მოთხოვნით გადაკეტილი ჰქონდა ცხინვალი-თამარაშენის საავტომობილო გზა.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის ალექსანდრე სუხიტაშვილის განცხადებით, პოლიციისთვის უკვე ცნობილია ეჭვმიტანილთა ვინაობა და მათ დასაკავებლად მიმდინარეობს ოპერატიული სამუშაოები. ეჭვმიტანილები, სავარაუდოდ, თავს ცხინვალის ტერიტორიას აფარებენ.

სუხიტაშვილი აცხადებს, რომ კონფლიქტის ზონაში პოლიციის დამატებითი დანაყოფების შეყვანის შესახებ გადაწყვეტილება, ჯერჯერობით, მიღებული არ არის.

24 საათი

გაკვირდებით, რათა დაგეხმაროთ

მათიას იორში.

"ჩვენ გაკვირდებით არა იმისათვის, რომ გაგაკონტროლოთ, არამედ იმიტომ, რომ დაგეხმაროთ,"- თქვა ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა ვალტერ შვიმერმა თბილიში ყოფნის დროს.

უკვე ცნობილია, რომ 25-28 მარტისთვის საპარლამენტო არჩევნების სამეთვალყურეოდ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ხუთკაციანი ჯგუფი ჩამოდის საქართველოში, ყოველი არჩევნების ტრადიციული სტუმრის მათიას იორშის მეთაურობით. წინა არჩევნებისადმი მიძღვნილ შეფასებაში საპარლამენტო ასამბლეამ მიუთითა, რომ მომავალი არჩევნებში სერიოზული პროგრესის მისაღწევად რამდენიმე ზომის მიღება იყო აუცილებელი - საარჩევნო კომისიებში ბალანსის და ხმის მიცემის პროცედურების დაცვა და ამომრჩეველთა სიის დაზუსტება. საპარლამენტო ასამბლეა, გარდა იორშის ჯგუფისა, მოკლევადიანი სადამკვირვებლო მისიით ოცდაათამდე წარმომადგენელსაც აგზავნის.

უფრო წარმომადგენლობითი იქნება ეუთო-ს დელეგაცია. მოკლევადიანი მისიით საქართველოში 450 დამკვირვებელი ჩამოვა. ევროპის საბჭოს გარდა, მათ რიცხვში არიან ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეისა და ODIHR (დემოკრატიული ინსტიტუტი და ადამიანის უფლებათა დაცვის ოფისი) წარმომადგენლები. დამკვირვებლები მთელი საქართველოს მასშტაბით იმუშავებენ. "მოკლევადიან" დამკვირვებელთა კოორდინატორი ბულგარეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სოლომონ პასი იქნება. უფრო ხანგრძლივი ვადით მონიტორინგისთვის ეუთო-ს ეგიდით 28 მეთვალყურე ჩამოვა. ცნობისათვის: გარდა იმისა, რომ ევროპის თანამშრომლობისა და უსაფრთხოების საბჭოს მიერ გამოყოფილი 4 მილიონი ევროდან 28 მარტის არჩევნებისთვის 2 მილიონი ლარი შემორჩა, მომავალი არჩევნების კიდევ უფრო კარგად ჩასატარებლად ეუთო-მ საქართველოს დამატებით 1 მილიონი ევრო გამოუყო. ასევე დაგეგმილია კონკრეტული პროგრამების განხორციელებაც; მაგალითად, პროექტი "კარდაკარ", რომელიც ე.წ. ეროვნულ უმცირესობებს ეხება. ეროვნულ უმცირესობათა წარომადგენლების წინასაარჩევნო დონის ასამაღლებად გადაწყვეტილია, 28 მარტამდე, მთელი საქართველოს მასშტაბით, დაიგზავნოს სხვადასხვა ენაზე დაბეჭდილი "საარჩევნო სახელმძღვანელოები".

ლელა მჭედლიძე

რუსეთიდან იმპორტი იზრდება

სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრომ "გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას" (გსეკ) რუსეთიდან იმპორტის 100 მეგავატით გაზრდა მოსთხოვა. გარდა ამისა, დარგის კურატორი მიიჩნევს, რომ არსებული კრიზისის შესამსუბუქებლად 50 მეგავატით უნდა გაზარდოს "თბილსრესის" მეცხრე ენერგობლოკის გამომუშავებაც.

იმპორტის გაზრდის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება გსეკ-მა შუამავალ კომპანია "ვიგფილდს" უკვე აცნობა. რაც შეეხება "თბილსრესს", მეცხრე ბლოკზე 210-დან 260 მეგავატამდე დენის გამომუშავება ამ კვირაში გაიზრდება.

დღემდე საქართველოს ენერგოსისტემა რუსეთიდან 400 მეგავატს, სომხეთიდან კი 160 მეგავატ ელექტროენერგიას იღებდა. მიუხედავად ამისა, ენერგოდეფიციტი მაინც მწვავედ იგრძნობოდა და თბილისს ელექტროენერგია შეზღუდვით მიეწოდებოდა. რასაკვირველია, სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს გადაწყვეტილება დეფიციტს ბოლომდე არ მოხსნის, მაგრამ საგრძნობლად შეამსუბუქებს. "თელასში" იმედოვნებენ, რომ იმპორტის მატების შემდეგ დედაქალაქში შეზღუდვები საჭირო აღარ იქნება.

თუმცა, თუ არ დათბა და დენზე მოთხოვნამ არსებულ რესურსებს ისევ გადააჭარბა, ენერგოდეფიციტი მალე კვლავ იჩენს თავს. ეს კი, ტრადიციულად, საბითუმო ბაზრისა და "სახელმწიფო ელექტროსისტემის" მიმართ პრეტენზიებს წარმოშობს.

მაგალითად, "აჭარის სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის" ხელმძღვანელი გიორგი თავაძე აჭარის ელექტრომომარაგებით უკმაყოფილოა და "სახელმწიფო ელექტროსისტემასა" და საბითუმო ბაზარს ესხმის თავს: **"საბითუმო ბაზრის მიერ დაწესებული ლიმიტის თანახმად, დილისა და საღამოს პიკებზე 50-60 მეგავატ დენს უნდა ვიღებდეთ. სინამდვილეში კი "სახელმწიფო ელექტროსისტემა" სულ 5-10 მეგავატს გვაწვდის."**

გუშინვე საკუთარი უარყოფითი პოზიცია დააფიქსირა "თელასმაც": **"ჩვენ "ელექტროსისტემას" დენის ფულს 100 პროცენტით ვუხდით, ის კი დენს დანაკლისით გვაწვდის."**

დისტრიბუტორების პრეტესტს უადგილოდ მიიჩნევენ "ელექტროსისტემასა" და საბითუმო ბაზარში. საქმე ისაა, რომ დისტრიბუტორებს "სახელმწიფო ელექტროსისტემა" უკვე ნაყიდ დენს კი არ აკლებს, უბრალოდ, იგი ვერ ახერხებს, დენზე მათი მოთხოვნილება ბოლომდე დააკმაყოფილოს იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ დეფიციტია და "მაღაზიაში დენი აღარ არის".

მაია ურუშაძე

ყაზახეთი ბაქო-ჯეიჰანს მიუერთდება

ყაზახეთი კიდევ ერთხელ ღიად ადასტურებს სურვილს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან მიერთების შესახებ: **"უახლოეს მომავალში ჩვენ ხელს მოვაწერთ გადაწყვეტილებას ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან მიერთებაზე. მანამდე გადასახედია სხვადასხვა საკანონმდებლო და საგადასახადო პირობები,"** - განაცხადა "ყაზმუნაიგაზის" პრეზიდენტმა უზაკბაი კარაბალინმა.

ყაზახეთის მხარის ვარაუდით, საწყის ეტაპზე ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენით შეიძლება ათ მილიონ ტონაზე მეტმა ნავთობმა გაიაროს. როგორც კარაბალინმა დააზუსტა, ნავთობსადენის ექსპლუატაციის დასაწყისისთვის "ყაზმუნაიგაზი" თავის ნავთობს ბაქომდე ტანკერებით გადატვირთავს. ამ მიზნისათვის ქვეყნის დასავლეთით, კურიკის პორტში ნავთობტერმინალი შენდება.

24 საათი

დედაქალაქში გამწვავებული კრიმინალური სიტუაციის გამოსასწორებლად

თბილისის მერმა ვანო ზოდელავამ გამგებლებს, რაიონის პოლიციის უფროსებთან ერთად, დედაქალაქში გამწვავებულ კრიმინალურ სიტუაციაზე მუშაობა დაავალა.

ქალაქის მერის განცხადებით, ბოლო თვეების განმავლობაში თბილისში კრიმინოგენული მდგომარეობა დაიძაბა, გახშირდა ბინების, მანქანების ქურდობები და ყაჩაღობები. ვითარების გამოსასწორებლად რაიონის გამგებლებმა და პოლიციამ სპეციალური ღონისძიებები უნდა შეიმუშაონ.

ვანო ზოდელავას ასეთი ბრძანების გაცემის საფუძველი არსებულმა კრიმინალურმა სტატისტიკამ მისცა, რომლის მიხედვითაც, თბილისის პოლიციის განყოფილებებში 14-დან 21 თებერვლამდე 47 სისხლის სამართლის დანაშაულია რეგისტრირებული: მათ შორის - ორი ჯანმრთელობის დაზიანების, სამი გაუპატიურების, სამი თაღლითობის, ოთხი ძარცვის, ხუთი ყაჩაღობის, ექვსი ხულიგნობის, 12 ქურდობის და სხვა კრიმინალური ფაქტები.

სამართალდამცველებმა დააკავეს დედაქალაქში მოქმედი 10 ორგანიზებული ჯგუფი 29 პირის შემადგენლობით, რომელთაც 12 სხვადასხვა დანაშაულში ედებათ ბრალი. დაკავებულია ნარკორეალიზატორი, რომლისგანაც 8.5 გ ყაყაჩოს თესლი და 7.5 გ მარიხუანა ამოიღეს.

დამნაშავეებს პოლიციელებმა ორი ავტომატი, სამი პისტოლეტი, ერთი ხელყუმბარა და 451 საბრძოლო ვაზნა ჩამოართვეს.

მედია-ნიუსი

არძინბას ოპოზიციის ახალი ფრაქცია რუსული სახელწოდებით

სეპარატისტულ პარლამენტში შეიქმნა დეპუტატთა ახალი გაერთიანება, რომელსაც "ედინსტვო" (ერთობა) ჰქვია. ახალი გაერთიანების თავმჯდომარედ დეპუტატი დაურ თარბა აირჩიეს. აფხაზურ „სახალხო კრებაში" ეს უკვე რიგით მეორე გაერთიანებაა. პირველი გაერთიანება "რესპუბლიკა" შარშან 29 იანვარს შეიქმნა. მასში 16 კაცი შევიდა, თუმცა მათმა ნაწილმა ფრაქცია უკვე დატოვა. "ედინსტვომ" უკვე გააკეთა ოფიციალური განცხადება, რომ ფრაქციის ჩამოყალიბების მიზეზი აფხაზეთში გამწვავებული სახელისუფლებო კრიზისი გახდა. ახალი ფრაქციის მიზანია, „პარლამენტში" გაუმჯობესდეს კანონშემოქმედებითი საქმიანობა, გაძლიერდეს ხელისუფლების საკანონმდებლო შტოს ფუნქციები. ახალი ფრაქციის ხელმძღვანელი, ასევე, საუბრობს ქვეყანაში წესრიგისა და სტაბილურობის დამყარების შესახებ. "ედინსტვოს" ხელმძღვანელი აცხადებს, რომ ყველა დონეზე უნდა გაძლიერდეს სახელმწიფოსა და საკანონმდებლო ხელისუფლების ავტორიტეტი. დაურ თარბას თქმით, ვინაიდან 2004 წელი აფხაზეთში საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წელია, მისი ფრაქცია ყველანაირად შეეცდება გაითვალისწინოს ამომრჩეველთა მოთხოვნა და სახალხო კრებას საკონსტიტუციო ცვლილებების მოდელი დაამტკიცებინოს.

მედია-ნიუსი

ორი სიტყვით

თბილისი. პოლიტოლოგი გივი ბოლოთაშვილი ვარაუდობს, რომ აშშ-სა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრაზე აშშ-ს ხელისუფლების მხრიდან სააკაშვილისადმი მხარდაჭერას განაპირობებს სამი ფაქტორი, რაც საქართველოს რუსეთთან ურთიერთობას, ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებს უკავშირდება. აშშ-ში გამგზავრებამდე პრეზიდენტი სააკაშვილი ოფიციალური ვიზიტით მოსკოვში იმყოფებოდა, შეხვდა პრეზიდენტ პუტინს; ითქვა, რომ საქართველო მზად არის "თბილი" ურთიერთობა იქონიოს მოსკოვთან. გარდა ამისა, თბილისი მხარს დაუჭერს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას. „აშშ ყოველთვის გვსაყვედურობდა საქართველო-რუსეთის ურთიერთდამოკიდებულების გამო და მხარს უჭერდა ამ ურთიერთობის მოგვარებას," — აღნიშნავს ბოლოთაშვილი. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ახალციხე. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილემ ზურაბ მელიქიშვილმა გუშინ, სამცხე-ჯავახეთის ახალი რწმუნებული ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი წარადგინა. მხარის ახალი რწმუნებული წლების მანძილზე საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი იყო სომხეთის რესპუბლიკაში. როგორც მან აღნიშნა, საკმაოდ კარგი ურთიერთობა აქვთ დღემდე ნინოწმინდისა და ახალქალაქის გამგებლებთან. გუბერნატორმა პრესასთან საუბრისას განაცხადა, რომ, უპირველეს ყოვლისა, აღკვეთს რეგიონიდან ხე-ტყის უკანონოდ ჭრასა და რეალიზაციას. ამასთან, აუცილებლად გაატარებს საკადრო ცვლილებებს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საპარლამენტო ფრაქცია „ახლების" ლიდერი ფიქრია ჩიხრაძე უერთდება პოლიტიკოსებისა და კულტურის მოღვაწეთა პროტესტს პროკურატურის მიერ ფირმა „ომეგას" ოფისების დაკავების გამო და მოუწოდებს ხელისუფლებას, „გათავისუფლდეს ბიზნესის მტრის ხატის კომპლექსისაგან". წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩიხრაძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლებას მის მიერ გადადგმული უგუნური ნაბიჯები ძვირად დაუჯდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. პარლამენტარ ჯანსულ ჩარკვიანის აზრით, გია ჯოხთაბერიძის სახით ხელისუფლება არა "მაგთიკომის" დამფუძნებელს, არამედ ყოფილი პრეზიდენტის სიძეს ებრძვის. "ჯოხთაბერიძე მართლა თავისი ბიზნესის გამო რომ დაეპატიმრებინათ, ნაკლებად მეწყინებოდა, მაგრამ კაცისთვის იმაზე დიდი უბედურება არ არსებობს, როცა სიძეობის მიზეზით გიჭერენ," - განაცხადა ჩარკვიანმა.

ამასთან, მან აღნიშნა, რომ "ხელისუფლების სამიზნედ მხოლოდ ის ბიზნესმენები იქცნენ, რომლებიც ქართული მწერლობისა და კულტურის გადარჩენის წყაროს წარმოადგენენ". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ეროვნული გვარდიის ახალი სარდალი, ბრიგადის გენერალი სოსო ქუთათელაძე უშიშროების საბჭოს მდივანმა ვანო მერაბიშვილმა გუშინ გვარდიის პირად შემადგენლობას წარუდგინა. ახალი სარდლის წარდგენის ცერემონიალს ცოტა ხნის წინ გვარდიის სარდლის თანამდებობიდან გადამდგარი კობა კობალაძე არ დასწრებია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიტიკური ორგანიზაცია „სახალხო ფრონტი" 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას დამოუკიდებლად მიიღებს. „სახალხო ფრონტის" ლიდერის ნოდარ ნათაძის თქმით, მათთვის საარჩევნო სუბიექტებს შორის მისაღები მხოლოდ პოლიტიკური მოძრაობა „თავისუფლებაა", რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელია პირველი პრეზიდენტის ვაჟიშვილი კონსტანტინე გამსახურდია. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

თბილისი. "ტრადიციონალისტთა კავშირის" ლიდერი აკაკი ასათიანი აშშ-ში პრეზიდენტ სააკაშვილის პირველ ოფიციალურ ვიზიტთან დაკავშირებით აცხადებს, რომ მას აშშ-ს პოლიტიკური ადმინისტრაცია დატუქსავს იმისთვის, რასაც ქვეყანაში სჩადის. **მედია-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

ვაშინგტონისკენ, ნორვეგიისა და გრენლანდიის გავლით

პირველი გვერდიდან

ითქვას, რომ ჩემთვის სასიამოვნო მოულოდნელობა იყო ის სახელდახელო და თბილი დახვედრა, რომელიც ნორვეგიის მხარემ მოგვიწყო."

საქართველოს პრეზიდენტმა საქართველო-ნორვეგიის სამომავლო ურთიერთობაზე ილაპარაკა და განაცხადა, რომ ეს ვიზიტი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ორ ქვეყანას შორის, როგორც მეგობრული, ასევე საქმიანი კონტაქტების განმტკიცებისა და განვითარებისათვის.

"ეს ჩემი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის, ნორვეგიაში პირველი ვიზიტია, - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა, - **ამ ვიზიტს სიამოვნებით გავაგრძელებდი, მაგრამ სამშობლოში დროულად უნდა დავბრუნდე. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებიდან საქართველო პირველი ქვეყანაა, და ჯერჯერობით ერთადერთი, სადაც მშვიდობიანი რევოლუცია მოხდა. ერთ მუშტად შეკრულმა ქართველმა ხალხმა მსოფლიოს დაუმტკიცა, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება სისხლისღვრის გარეშეც შესაძლებელია. რევოლუციის გამარჯვებამ ხელისუფლებაში მოიყვანა გუნდი, რომელიც ამ მიზნის მისაღწევად უკან არ დაიხევს."**

მიხეილ სააკაშვილმა ილაპარაკა იმ ღონისძიებებზე, რომელსაც საქართველოს მთავრობა ამ ეტაპზე ახორციელებს. კერძოდ, მან აღნიშნა, რომ, მართალია, ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური პრობლემები ჯერ კიდევ მრავლად არის, მაგრამ მთავრობამ უკვე დაუნდობელი ომი გამოუცხადა კორუფციასა და კრიმინალურ სამყაროს. პარალელურად, ხელისუფლება ძალისხმევას არ იშურებს, რომ საინვესტიციო გარემოს უზრუნველსაყოფად აუცილებელი და ხელსაყრელი პირობები შექმნას. მისი თქმით, ასევე აუცილებელია, საქართველო, თავისი პოტენციალიდან გამომდინარე, განიხილებოდეს სრულყოფილ და ღირსეულ პარტნიორად.

ამას გარდა, მიხეილ სააკაშვილმა ყურადღება იმ გარემოებასაც მიაპყრო, რომ ნორვეგია დიდი ხანია, თვალყურს ადევნებს საქართველოში მიმდინარე მოვლენებს - ჯერ კიდევ 1990-იანი წლების დასაწყისში, მაშინ, როდესაც იგი ამ ქვეყანაში ადამიანის უფლებათა დაცვის ინსტიტუტში მუშაობდა, მისი ნორვეგიელი კოლეგები აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან დაკავშირებული პრობლემებით ინტერესდებოდნენ. როგორც პრეზიდენტმა აღნიშნა, ასევე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ "თბილისი-ბაქო-ჯეიჰანის" ნავთობსადენის პროექტის ერთ-ერთი მთავარი ინვესტორი სწორედ ნორვეგიაა.

ვაშინგტონში ენდრიუს სამხედრო ბაზის აეროდრომზე საქართველოს პრეზიდენტის და ლინ პასკოს შეხვედრა.

"აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია ნორვეგიასთან თანამშრომლობა, მით უფრო, რომ საერთოც ბევრი გვაქვს, - თქვა საქართველოს პრეზიდენტმა, - **ორივე ქვეყანა რუსეთის მეზობლები ვართ და ნორვეგიას მასთან ურთიერთობის თავისებური გამოცდილებაც აქვს. სხვათა შორის, ნატო-ში გაწევრიანების, ასევე, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებასთან სამხედრო თუ სხვა სფეროში მჭიდრო თანამშრომლობის შემთხვევაში, რუსეთი ნორვეგიასაც ემუქრებოდა სერიოზული პრობლემების შექმნით. ამიტომ, ეს ჩვენც უნდა გავითვალისწინოთ და რუსეთს ფაქიზად და ფრთხილად უნდა მოვეპყრათ. ჩვენ ამას გავაკეთებთ."**

ოსლოდან თვითმფრინავმა გეზი გრენლანდიისკენ აიღო. საგულისხმოა, საქართველოს პრეზიდენტი რიგითმა მოქალაქეებმა აქაც კი იცნეს. მიხეილ სააკაშვილს გრენლანდიის ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნაობა - იურტას ფორმის ყინულის სასტუმრო დაათვალიერებინეს. აქ რამდენიმე ოთახი, საწოლი და მინიბარია, რომლებიც ყინულისგან არის გაკეთებული.

საქართველოს დელეგაციის თვითმფრინავი გრენლანდიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გაფრინდა. ვაშინგტონში ენდრიუს სამხედრო ბაზის აეროდრომზე საქართველოს პრეზიდენტს ჩვენს ქვეყანაში ამერიკის შეერთებული შტატების საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი რიჩარდ მაილსი, გენერალი დევიდ გრეი, სახელმწიფო მდივნის წარმომადგენელი ლინ პასკო დახვდნენ.

იმავე დღეს მიხეილ სააკაშვილი ეწვია ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტს, სადაც მის პატივსაცემად უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ დარბაზობა გამართა. შეხვედრაზე საქართველოს პრეზიდენტს სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის პრეზიდენტმა სტეფენ ჯოელ ტრაქტენბერგმა და მიხეილ სააკაშვილს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მედალი გადასცა. ბოლოს სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა (გამოსვლას გაზეთის ამავე ნომერში გთავაზობთ).

დღის დამლევს მიხეილ სააკაშვილმა კომპანია "ბოინგის" უფროსი ვიცე-პრეზიდენტი ტომ პიკერინგი მიიღო. ასევე, შეხვდა აშშ-ს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის სამხრეთ კავკასიის, ცენტრალური აზიისა და ეგეოსის ზღვის აუზის ქვეყნების განყოფილების დირექტორს მეთიუ ბრაიზას.

ჩემი აქ მოსვლა შინ დაბრუნებას ჰგავს

საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლა ჯორჯ ვაშინგტონის სახელობის უნივერსიტეტში

ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ ერთმანეთს ბოლოს 1995 წელს შევხვდით, მაშინ, როდესაც მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ყმაწვილი ვიყავი.

დღეს ჩემთვის უდიდესი პატივია აქ, თქვენს შორის ყოფნა - ჩემი გულის ნაწილი ამ შესანიშნავ სკოლაში დარჩა.

ვარ პიროვნება, რომელიც ვსწავლობდი ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქის გულში - ამ დიდ სკოლაში.

მე ერთ-ერთი თქვენგანი ვარ.

16 საათის განმავლობაში მოვფრინავდი, რათა ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტს ვწვეოდი და ესოდენ დიდი პატივი მრგებოდა წილად.

შენახული მაქვს ყველა ის წერილი და სამახსოვრო, რაც აქ მიმიღია, მათ შორის, ჩემი დეკანის ბარათიც.

ჩემს ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ, საქართველოს პარლამენტში დავიწყე მოღვაწეობა და უკან დამრჩა ჩემი წარსული - აქ გატარებული წლები, ჩემი სახელმძღვანელოები.

მერწმუნეთ, ნოსტალგიის გრძნობა კიდევ მაქვს შემორჩენილი.

ახლა თქვენს წინაშე ვარ, რათა კიდევ ერთხელ შევხვდე ჩემს პედაგოგებს, პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებმაც საკმაოდ ბევრი გააკეთეს ჩემთვის.

დავბრუნდი, რომ შევხვდე ჩემს პროფესორს, რომელიც საერთაშორისო სასამართლოში საკმაოდ კვალიფიცირებული მოსამართლეა და წარმატებულად მუშაობს ადამიანის უფლებათა დაცვის განხრით.

საქართველოში გამგზავრების წინ მას ვუთხარი, რომ დაბრუნებისთანავე აქ მიღებული ცოდნის რეალიზებას დავიწყებდი და აქტიურად ჩავერთვებოდი ჩემი ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში.

პროფესორი დაინტერესდა და მთხოვა, რეფერატის სახით, ზოგადად საქართველოს და იქ მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაცია მიმეწოდებინა.

როდესაც ჩვენს ქვეყანაში არსებულ რთულ ვითარებას გაეცნო, მითხრა: თუ მაინც მიდიხარ, იქნებ შენი კონცეფცია ჩამოაყალიბო და ახალი სახელმწიფოს მოდელი შექმნა, მეცნიერულად გააანალიზე ის, რასაც მომავალში გააკეთებ - აღწერე არსებული კრიზისი და მოგვარების შესაძლო ვარიანტებიც დასახეო.

ახლა საქართველოში ახალგაზრდა პოლიტიკოსები, მოღვაწეები, ისინი, ვინც უცხოეთში მივიღეთ განათლება, ჩვენს ცოდნას მაქსიმალურად ვიყენებთ - ეს ამა თუ იმ სფეროში კარდინალური ცვლილებების განხორციელებას ეხება.

ქვეყნის მართვის საქმეში ეს რეალური პროგრესია.

მათ, ვისაც რეფორმების წარმატებით გატარების სურვილი აქვთ, უნდა იცოდნენ და ახსოვდეთ, რომ ქვეყნის ინტერესების ხარჯზე კომპრომისებზე არ უნდა წავიდნენ და არც საკუთარი პოზიცია უნდა დათმონ.

წინაალმდეგ შემთხვევაში მიღწევებზე ლაპარაკი ზედმეტია.

ჩვენი ხალხი უკვე მზად არის მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის.

მართალია, ჩვენს ქვეყანას სტრატეგიულ მნიშვნელობას სძენს მისი გეოპოლიტიკური მდებარეობა, ინტერესიც მის მიმართ საკმაოდ დიდია, მაგრამ აქ ყოფნისას მივხვდი, რომ ჩვენთვის მთავარია არამარტო საქართველოს გეოპოლიტიკა, სატრანსპორტო და ეკონომიკური პროექტები, ან თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხები, არამედ, ძირითადად, ის ღირებულებები, რაც მოწინავე მსოფლიოს გააჩნია და რითაც ამ წლების განმავლობაში ვხელმძღვანელობდი.

უნივერსიტეტის პრეზიდენტმა სტეფენ ჯოელ ტრაქტენბერგმა მიხეილ სააკაშვილს ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის მედალი გადასცა.

აქ სწორედ იმისათვის ჩამოვედი, რომ მხარდაჭერა გთხოვოთ.

საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის არჩევნებში ხალხმა მიიღო მონაწილეობა, მაგრამ მათი იმედები არ გამართლდა - არჩევნები იმ დროს არსებულმა ხელისუფლებამ გააყალბა.

პრობლემა ის არის, რომ საქართველოში და მის მსგავს ქვეყნებში პრეზიდენტები ვერ საზღვრავენ, როდის უნდა გადადგნენ.

ექსპრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესა და მის მთავრობას ვერ წარმოედგინათ, რომ ერთ დღეს, შესაძლოა, ისინი ჩამოეგდოთ, ეს კი მოხდა.

უსამართლობით დაქანცულმა ხალხმა გადაწყვიტა, გაერთიანებულიყო და მათ პროტესტს წინ ვერავითარი ძალა ვერ აღუდგა.

მთავრობას არ დაემორჩილა არც პოლიცია და არც ჯარი.

ის, რაც საქართველოში მოხდა, მართლაც, საოცრება იყო.

ქართველებმა დაამტკიცეს, რომ ძალა ერთობაშია.

ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები ყველა ცნობილმა ტელეარხმა და საინფორმაციო სააგენტომ გააშუქა და, დღეს ეს ყველასთვის, მთელი მსოფლიოსათვის არის მაგალითი.

რასაკვირველია, ჩვენ გლობალიზაციაზე და მის პარალელებზეც უნდა ვილაპარაკოთ.

ეს კი, ჩვენი აზრით, მრავალ ერს აახლოებს და ისინი პროგრესისაკენ მიჰყავს, თუმცა, იმავდროულად, ბევრ მტკივნეულ საკითხსაც გამოკვეთავს.

ზოგ შემთხვევაში ძალაუფლება გვაკლდება, მაგრამ ისეთი პატარა ერისათვის, როგორიც ქართველი ერია, დიდ შესაძლებლობებსაც იძლევა.

თუ გინდა იყო კონკურენტუნარიანი, დაიცვა შენი მომავალი, მაშინ გაქვს შანსი ამ დიდ გლობალურ სამყაროში.

ის ცვლილებები, რასაც ამჟამად ვახორციელებთ, გლობალიზაციის ტენდენციების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

საქართველოში რევოლუციას ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებები არ ყოფილიყო, რითაც ერომანეთთან კონტაქტს ვამყარებდით.

ასევე მნიშვნელოვანი იყო "სიენ-ენ"-ის როლი, რომელიც ოპერატიულად აწვდიდა მსოფლიოს ჩვენთან მიმდინარე მოვლენების ამსახველ რეპორტაჟებს.

ამერიკაში ნორვეგიისა და გრენლანდიის გავლით ჩამოვედი.

ჩვენ შევჩერდით გრენლანდიის ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში, სადაც, როგორც მითხრეს, 460 მოსახლეა.

ჩემი თანმხლები ჟურნალისტები გაოცებას ვერ მალავდნენ, როდესაც ადგილობრივი მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ჩემში საქართველოს პრეზიდენტი შეიცნო.

ეს ცუდიც არის და კარგიც - ერთი მხრივ, ზღუდავს ჩემს უფლებას, ვინაიდან ჩემი პირადი ცხოვრება შეუმჩნეველი არ რჩება, მეორე მხრივ კი, ძალზე მნიშვნელოვანია იმით, რომ ხალხები უფრო ვუახლოვდებით ერთმანეთს.

ჩვენ უკეთ ვაცნობიერებთ იმ ღირებულებებს, რომლებიც თანაბრად ვრცელდება როგორც ქართველისათვის, ისე გრენლანდიელის, ავსტრალიელის, აფრიკელისა თუ ამერიკელისათვის.

პიროვნებას, რომლის სახელსაც ეს დიდებული უნივერსიტეტი ატარებს, განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ამ ღირებულებათა ჩამოყალიბებასა და მთელ მსოფლიოში მათ გავრცელებაში, რაც ყოველი ჩვენგანისათვის ძალზე საამაყოა.

ეს წვლილი არც სამხედრო ინტერვენციას გულისხმობს და არც საქართველოსნაირი ქვეყნებისათვის ფინანსური დახმარების აღმოჩენას.

ეს დახმარებები, რა თქმა უნდა, ხშირად კარგი, მნიშვნელოვანი და დროულიც არის, თუმცა ამ შემთხვევაში, ლაპარაკია იდეებისა და ფასეულობათა მსოფლიოს მასშტაბით ექსპორტირების შესახებ.

"ექპორტირება", შესაძლოა, არც იყოს ზუსტი სიტყვა და ჯობდეს, ვთქვათ, "ერთმანეთისათვის გაზიარება".

ახალგაზრდა დემოკრატიის პირობებში საჭიროა ახალი აზროვნებისა და გამოცდილების, ასევე, ძველი კომპლექსებისაგან თავისუფალი ადამიანების ხელისუფლებაში მოსვლა, რაც წინა მთავრობისათვის უცხო იყო.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს ჩვენ უკვე გვყავს გუნდი, რომელიც სწორედ ასე ფიქრობს.

ამის შესახებ, ჩემი ინაუგურაციის დროს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს კოლინ პაუელსაც ვესაუბრე.

დავოსში, მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე ყოფნისას, ჩინეთის ტელევიზიამ ჩემ შესახებ საათნახევრიანი ფილმი გადაიღო და ინტერვიუს ჩასაწერად მუდმივად თან დამყვებოდა.

მე კი ჩემთვის საინტერესო არხებს ("ბიბისი", "სიენენი" და სხვა) ვაძლევდი ინტერვიუს, რაზეც მათ მითხრეს: როგორ არ გესმით, ესენი ყველა პატარა ტელევიზიები არიან, ჩვენ კი 740 მილიონი მაყურებელი გვყავსო.

მაგრამ ეს არ არის მთავარი და ამით არც ვტრაბახობ.

მთავარი ის არის, რომ ამ დარბაზში გამოსვლით ვამაყობ, თუნდაც ათკაციანი აუდიტორია მისმენდეს - ეს ჩემთვის დიდი პატივია.

ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტი ჩემთვის თბილი, შესანიშნავი და მყუდრო სახლია და დღეს ჩემი აქ მოსვლა შინ დაბრუნებას ჰგავს.

ამ კედლებში გატარებული რამდენიმე თვე, ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ღირსშესანიშნავი და მნიშვნელოვანი პერიოდია.

მადლობას გიხდით მობრძანებისათვის და თბილი მიღებისათვის.

დიდი მადლობა!

სახელმწიფო საინფორმაციო სამსახური

საქართველო მხედველობიდან არ უნდა გაუშვათ

პირველი გვერდიდან

განმავლობაში საქართველომ შეძლო კორუმპირებული საარჩევნო სისტემის შეცვლა და დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, თუმცა არჩევნების დემოკრატიულობის და ტრანსპარენტულობის მიმართულებით ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

ეუთო-ს წევრი ქვეყნების ტერიტორიებზე არსებულ კონფლიქტებზე საუბრისას აღნიშნა, რომ კონფლიქტების დარეგულირება, პირველ რიგში, წევრ სახელმწიფოთა ამოცანაა და ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეა არ წარმოადგენს მოლაპარაკებების ძირითად მონაწილეს, იგი უნდა იყოს ნეიტრალური, ობიექტური და ამით შეუწყოს ხელი კონფლიქტების დარეგულირებას. სამწუხაროდ, ეს კონფლიქტები არ არის იოლად გადასაჭრელი და მათი დარეგულირება, პირველ რიგში, მოთმინებას და კეთილ ნებას მოითხოვს.

დელეგატების განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოხსენებამ საქართველოში არსებული ვითარების თაობაზე. ნინო ბურჯანაძემ მადლობა გადაუხადა ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეას და წევრ სახელმწიფოებს საქართველოს პრობლემებით დაინტერესების და გაწეული დახმარებისათვის. იმედი გამოთქვა, რომ ეუთო, წევრი სახელმწიფოები მომავალშიც აქტიურ დახმარებას გაუწევენ საქართველოს.

პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ახალი ხელისუფლების პრიორიტეტებია ქვეყანაში წესრიგის, კანონის უზენაესობის დამყარება, მიღებული კანონების ამოქმედება, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, ეფექტური სახელმწიფო სტრუქტურების შექმნა. ამასთან, მან ხაზი გაუსვა ეფექტური ადმინისტრირების აუცილებლობას, რის გარეშეც ნებისმიერი უცხოური ინვესტიცია დაკარგული იქნება.

ნინო ბურჯანაძემ აღუთქვა ეუთო-ს წევრ სახელმწიფოებს, რომ ქვეყანაში არსებული რთული ვითარების მიუხედავად, რომლის გამოსწორებაც გარკვეულ დროს მოითხოვს, საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ნაბიჯები დონორებს დაარწმუნებს - მათი გადამხდელების თანხის თითოეული ცენტი დანიშნულებისამებრ დაიხარჯება.

საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე საუბრისას ხაზი გაესვა გადასახადების ადმინისტრირების აუცილებლობას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პარლამენტმა არაერთხელ შეამცირა გადასახადები, პრობლემატურად რჩებოდა და რჩება მათი აკრეფა. საქართველოს ახალი ხელისუფლების ყურადღება სწორედ აქეთკენაა მიმართული, რამაც განაპირობა კიდეც საგადასახადო პოლიციის შექმნა.

პარლამენტის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა აფხაზეთის და სამაჩაბლოს საკითხზეც. კონფლიქტების დაურეგულირებლობა ქმნის არა მარტო ეკონომიკურ, მორალურ და პოლიტიკურ პრობლემებს, არამედ სოციალურ პრობლემებსაც. ე.წ. არაკონტროლირებადი ტერიტორიები კონტრაბანდის წყაროა, რაც არა მხოლოდ საქართველოს ეკონომიკურ მდგრადობას უთხრის ძირს, არამედ - მთლიანად რეგიონის უსაფრთხოებას.

დელეგატები დაინტერესდნენ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების დარეგულირებაში საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარების ფორმებით. დღეს, როდესაც არსებობს კონფლიქტების გადაჭრის პოლიტიკური ნება, საერთაშორისო თანამეგობრობის დახმარებას და აქტიურ მონაწილეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ბოლო პერიოდში რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების ტენდენცია კი იმის იმედს იძლევა, რომ რუსეთს შეუძლია, დადებითი როლი ითამაშოს კონფლიქტის დარეგულირებაში.

ნინო ბურჯანაძემ ყურადღება გაამახვილა საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობაზე, სატრანსპორტო კორიდორების და მაგისტრალების პოლიტიკურ და ეკონომიკურ მნიშვნელობაზე. მან მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს, მხარი დაუჭირონ საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის გააქტიურებას.

"თქვენი გამოცდილების გაზიარებით და დახმარებით საქართველო შეძლებს თავისი წვლილი შეიტანოს უკეთესი მსოფლიოს აშენებაში," - აღნიშნა პარლამენტის თავმჯდომარემ.

საქართველოში ეუთო-ს მისიის ხელმძღვანელმა როი რივმა ყურადღება გაამახვილა მისიის წინაშე მდგარ ამოცანებზე. აღნიშნა, რომ ეუთო მზად არის საქართველოს პარლამენტთან მჭიდრო თანამშრომლობისათვის. მანვე იმედი გამოთქვა, რომ 28 მარტის არჩევნები დემოკრატიულად და ტრანსპარენტულად ჩატარდება. მისიას მომზადებული აქვს 2007 წლამდე პერსპექტიული გეგმა, რაც გულისხმობს საარჩევნო საკანონმდებლო ბაზის სრულყოფას, მოსახლეობის აღწერას, არაპოლიტიზებული ცესკო-ს შექმნისთვის შესაბამისი წინაპირობის ჩამოყალიბებას.

როი რივმა დახმარება აღუთქვა საქართველოს დელეგაციას უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში და მოუწოდა დელეგატებს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა არ გაუშვან საქართველო მხედველობის არედან, როდესაც ქვეყანაში არსებობს პოლიტიკური ნება და ყველა საჭირო წინაპირობა რადიკალური რეფორმების განხორციელებისათვის.

გარდა სესიის მუშაობაში მონაწილეობისა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შეხვდა ავსტრიის ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეს ანდრეას კოლს. ავსტრიის პარლამენტის მეორე თავმჯდომარეს, პრეზიდენტობის კანდიდატს ჰაინც ფიშერს.

ბურუსი ბათუმის ნავთობტერმინალის გარშემო

შესაძლოა მალე ბათუმის ნავთობტერმინალის უკანონო პრივატიზაციის საკითხმა წამოიწიოს.

პირველი გვერდიდან

ამავდროულად, სრულიად უცხო კომპანია "გრინკის" შვილობილი "ალეგრატრანსი" კასპიის ნავთობის გადამზიდავთა ბაზარზე ცნობილი რუსი მოთამაშეა, ბაქო-ბათუმის ნავთობტრასაზე სრული კონტროლის მოპოვებას და "საქართველოს რკინიგზისათვის" საკუთარი პირობების თავს მოხვევას ცდილობს.

"24 საათის" დაინტერესება ბათუმის ნავთობტერმინალის მიმართ მას შემდეგ გაიზარდა, რაც "საქართველოს რკინიგზამ" ეს ობიექტი სარკინიგზო ტვირთების ხელოვნურ დაყოვნებაში დაადანაშაულა. "საქართველოს რკინიგზამდე" ანალოგიურ პრეტენზიებს აზერბაიჯანული მხარეც გამოთქვამდა.

"24 საათის" პუბლიკაცია და ტერმინალის მიმართ მზარდი დაინტერესება საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ საერთაშორისო კომპანიის ვებ-გვერდი საერთოდ გამქრალიყო ინტერნეტიდან. გუშინ კი "24 საათს" აცნობეს, რომ დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს ბათუმის ნავთობტერმინალის დირექტორი გურამ გოგიტიძეც და მის ნაცვლად ამ პოსტზე დანიის მოქალაქე, ვინმე ოგენს ჰანსენი დანიშნეს. ის ბათუმში აქამდე "გრინკის" კუთვნილ ერთ-ერთ საწარმოს ხელმძღვანელობდა.

სხვათა შორის, ეს ის ჰანსენია, რომლის შესახებაც ბათუმში ლეგენდები დადიოდა: მას ტერმინალის მეწილედ ასახელებდნენ და აცხადებდნენ, რომ მისი მონაწილეობის გარეშე ბათუმის ნავთობტერმინალი გარიგებებს არ აწარმოებს. გარდა ამისა, "24 საათის" წყაროები აცხადებდნენ, რომ ამ ნავთობტერმინალიდან მილიონობით დოლარის ოდენობის შემოსავლები პირდაპირ აჭარის ადმინისტრაციის მეთაურის ჯიბეში მიდიოდა.

სავარაუდოდ, ჰანსენის ბათუმის ნავთობტერმინალის დირექტორად დანიშვნა ამ საქმეში ქართული კვალის წაშლის მცდელობაზე მიანიშნებს.

მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის განცხადება

2004 წლის 18 თებერვალს გაზეთ "24 საათში" გამოქვეყნდა ჟურნალისტ მაია მამულაშვილს სტატია სათაურით "მიწისქვეშა გამგემგლები". ქვესათაურში - "როგორ იხარჯებოდა მსოფლიო ბანკის 5-მილიონიანი გრანტი" საუბარია იმაზე, რომ მსოფლიო ბანკის მიერ გაცემული 5-მილიონიანი გრანტის ხარჯვა, "რომელიც ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას უნდა მოხმარებოდა, ალაზნის არხის უშედეგო თხრითა და ჯიბეების გასქელებით მოხდა".

მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე ირიგაციისა და დრენაჟის მომხმარებელთა ორგანიზაციების განვითარების პროექტის წარმომადგენელთა განცხადებით, აღნიშნული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს, რადგან მსოფლიო ბანკის ირიგაციისა და დრენაჟის პროექტის მიერ გაცემული ხუთმილიონიანი გრანტი, უბრალოდ, არ არსებობს. პროექტის დაფინანსება (პროექტმა მუშაობა 2002 წლის თებერვალში დაიწყო) საქართველოს მთავრობის მიერ, მსოფლიო ბანკის საერთაშორისო განვითარების ასოციაციისაგან მიღებული კრედიტით ხორციელდება, რომელიც დაახლოებით 27 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს და ხუთ წელზეა განაწილებული. რაც შეეხება პროექტის ფარგლებში მიმდინარე ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციასა და სამუშაოს, მათივე განცხადებით, პროექტი სიამოვნებით იმუშავებს ყველა ჟურნალისტთან და მიაწვდის ნებისმიერ მასალას, რათა თავიდან იქნეს აცილებული გადაუმოწმებელი ინფორმაციის გავრცელება.

ორი სიტყვით

თბილისი. დღეს სასტუმრო "შერატონ-მეტეხი პალასში" გამართულ საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდიუმის რიგგარეშე საერთო კრებაზე პალატის პრეზიდენტს აირჩევენ. საერთო კრებას 96 დელეგატი დაესწრება. პალატის ხელმძღვანელის თანამდებობაზე წარდგენილია "რუსთავი 2"-ის დამფუძნებლის ეროსი კიწმარიშვილის კანდიდატურა. **24 საათი**

■ ■ ■

რუსთავი. ზამთრის გათბობის პროგრამით გათვალისწინებული დახმარების ათვისებაში რუსთავს პრობლემები აქვს. USAID წელს 19 ათას სოციალურად დაუცველ რუსთაველს ეხმარება. რუსთავის მერიამ დღემდე მხოლოდ 5-ათასკაციანი სიის შედგენა მოახერხა. ქალაქის მუნიციპალიტეტის თავმჯდომარეები აცხადებენ, რომ ძირითად ჩამონათვალში ვერ მოხვდნენ რეალურად გაჭირვებული ადამიანები. ამის გამო ქალაქში USAID-მა თავად გახსნა წარმომადგენლობა, რომელიც უკვე ოთხი დღეა, სიების დაზუსტებაზე მუშაობს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ" სარემონტო სამუშაოები ჩაატარა 220-კილოვოლტიან გადამცემ ხაზზე "კოლხიდა-1", რომელსაც, 500-კილოვოლტიანი "იმერეთის" ავარიის შემთხვევაში, სარეზერვო მნიშვნელობა გააჩნია. ამ ხაზის ტექნიკურად გამართვისათვის 17 ათასი ლარი დაიხარჯა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. ქუთაისში "ელექტროენერგიის უდანაკარგო განაწილების" პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტის თანახმად, ქუთაისის მომხმარებლები პირობითად სამ კატეგორიად დაყვეს: პირველ კატეგორიაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ობიექტები შევიდნენ, რომლებმაც ელექტროენერგია 24-საათიანი რეჟიმით უნდა მიიღონ; მეორე კატეგორიაში კარგი გადამხდელები გაერთიანდნენ, რომლებიც სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებს არ წარმოადგენენ და ელექტროენერგიას გრაფიკით მიიღებენ; მესამე კატეგორიაში კი არგადამხდელები მოხვდნენ, რომლებიც ელექტროენერგიას საერთოდ არ მიიღებენ. ამასთან, ქუთაისში ელექტროენერგიის მოხმარებამ 420 ათას კილოვატსაათს არ უნდა გადაჭარბოს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ერევანი. 60 სომეხი მეწარმისგან შემდგარი დელეგაცია, რომელსაც ერევნის მერი ერვანდ ზაქარიანი ხელმძღვანელობდა, მოსკოვს 26-28 თებერვალს დაგეგმილ ბიზნესფორუმში მონაწილეობის მისაღებად ეწვევა. ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებულია სომხეთსა და რუსეთს შორის საქონელბრუნვის გაფართოებისა და საინვესტიციო პოლიტიკის საკითხების განხილვა. ფორუმზე წარმოადგენენ 20-25 მილიონი დოლარის საერთო ღირებულების 20 ბიზნესპროგრამას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ბაქო. აზერბაიჯანის დელეგაციამ, რომელსაც ფინანსთა მინისტრი ავეზ ალექბეროვი ხელმძღვანელობდა, შეაჯამა ვაშინგტონში ჩატარებული ამერიკულ-აზერბაიჯანული სამუშაო ჯგუფის სხდომის შედეგები. აშშ სახელმწიფო მდივნის მოადგილის ელიზაბეტ ჯონსის შეფასებით, აშშ აზერბაიჯანთან თანამშრომლობით კმაყოფილია. მან განაცხადა, რომ, თუ აზერბაიჯანში მიღწეული იქნება ეკონომიკური სექტორის მრავალფეროვნება, ქვეყანა რეგიონში წამყვანი სახელმწიფო გახდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

ბაქო. ეკოლოგიურად სუფთა ერთი ტონა ნავთობპროდუქტი მსოფლიო ბაზარზე 30-35 დოლარი ღირს. ნავთობქიმიური პროცესების ინსტიტუტმა "ნანამ" დაასრულა მუშაობა კონცეფციაზე, რომელიც ბენზინისა და დიზელის საწავში ბენზოლის, არომატული ნახშირწყალბადების და გოგირდის შესამცირებლად გასატარებელ ღონისძიებებს ეხება. ამ წინადადებათა დანერგვა მნიშვნელოვნად გაზრდის მოთხოვნილებას აზერბაიჯანის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნების ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე როგორც საშინაო, ისე საგარეო ბაზარზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების ახლად დანიშნული მინისტრი თამარ სულუხია გუშინ მშენებლობის სამინისტროს თანამშრომლებს შეხვდა. სულუხიას განცხადებით, დღეს მშენებლობის სამინისტრო 4 მძლავრ დეპარტამენტს და 14 სამმართველოს მოიცავს, რესტრუქტურიზაციის შემდეგ კი იგი ერთი დეპარტამენტის სახით უნდა ჩამოყალიბდეს. გუშინდელ შეხვედრაზე შეიქმნა მუშაჯგუფი, რომელიც აღნიშნულ საკითხზე იმუშავებს და ერთი კვირის ვადაში მინისტრს საკუთარ წინადადებებს წარუდგენს. **ინტერ-პრესი**

საბიუჯეტო სეპარატიზმი

პირველი გვერდიდან

საბიუჯეტო დეცენტრალიზაცია საქართველოში

მართალია, საქართველოს კონსტიტუციაში, ჯერჯერობით, ღიად არის დატოვებული საკითხი სახელმწიფოს ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობის შესახებ, მაგრამ, საბიუჯეტო სფეროს მარეგულირებელი კანონით - "საბიუჯეტო სისტემისა და საბიუჯეტო უფლებამოსილებათა შესახებ" - სახელმწიფო ბიუჯეტი და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან და ზემდგომი ორგანოები ქვემდგომი ორგანოების საბიუჯეტო უფლებამოსილებებში არ ერევიან.

ეს კი, ფაქტობრივად, საშუალებას იძლევა, განისაზღვროს ქვეყნის საფინანსო სისტემა, როგორც ფედერალური პრინციპით მოწყობილი კონსოლიდირებული სტრუქტურა.

არსებული კანონმდებლობის თანახმად, საქართველოს ავტონომიებისა და ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებში მთლიანად ჩაირიცხება შემოსავლები ზოგიერთი საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადებიდან. ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტები შემოსავლებს იღებენ საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული ადგილობრივი გადასახადებიდანაც, რაც მათ გარკვეულ დამოუკიდებლობას ანიჭებს.

თუმცა, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიებთან მიმართებაში ცენტრი კიდევ უფრო მეტს თმობს - 1997 წლიდან სპეციალური ნორმატივების თანახმად (პარლამენტი ყოველ სამ წელში აგრძელებს ამ ნორმატივების მოქმედებას), ავტონომიების ბიუჯეტებს სხვა ადგილობრივი ბიუჯეტებისგან განსხვავებით დამატებით რჩებათ მათ ტერიტორიებზე და საბაჟო პუნქტზე ამოღებული აქციზისა და დღგ-ს 40 პროცენტი, ასევე საშემოსავლო და მოგების გადასახადის 99 პროცენტი.

ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტებს სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამების, სოციალური დაცვის და ეკოლოგიური საკითხების გადაწყვეტისათვის გამოეყოფა ტრანსფერტები, ხოლო თუ ბიუჯეტში არის თავისუფალი სახსრები - მოკლევადიანი სესხიც. ტრანსფერტები აუთვისებლობისა და არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევაში უკან უნდა დაბრუნდეს.

ამასთან - რეგიონებს რჩებათ ბიუჯეტის შესრულების პროცესში დამატებით მიღებული შემოსავლები, შემოსავლების ხარჯებზე გადამეტებული თანხა; აგრეთვე ტერიტორიული მმართველობის ადგილობრივი ორგანოების განკარგულებაში რჩება ხარჯების ეკონომია.

დღევანდელ პირობებში სახელმწიფოს წინაშე დგას ამოცანა: საბიუჯეტო ფედერალიზმი გამოყენებული იქნეს საბიუჯეტო, საგადასახადო და სხვა ფინანსური წინააღმდეგობების აღმოფხვრისათვის და არ დაუშვას საბიუჯეტო სისტემის დეცენტრალიზაცია-დესტაბილიზაციის გაძლიერება.

საბიუჯეტო ურთიერთობების გამწვავების უმთავრესი მიზეზი და შედეგიც არის ის, რომ სუსტდება ცენტრალური ბიუჯეტი.

სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის ურთიერთობებში ორი ტენდენციის გამოვლენის შესაძლებლობა არსებობს: ან საბიუჯეტო სისტემა ჩამოყალიბდეს ძლიერი ცენტრალური ბიუჯეტით, ან მოხდეს სწრაფი დეცენტრალიზაცია, ანუ ცენტრალურმა ბიუჯეტმა მხოლოდ ცენტრის შესანახი მინიმალური ხარჯები დააფინანსოს. თუ 1997 წლიდან მოყოლებული ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების შეფარდების დინამიკას გადავხედავთ, აღმოჩნდება, რომ საქართველოში სახეზეა დეცენტრალიზაცია.

ეკონომიკურად არასამართლიანი საბიუჯეტო პრივილეგიები აჭარისთვის

ამთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ დეცენტრალიზაცია საქართველოში არცთუ სამართლიანად ხდებოდა - აჭარისთვის მინიჭებული განსაკუთრებული საბიუჯეტო პრივილეგიები ეკონომიკური თვალსაზრისით, პრინციპში, აბსოლუტურად არასამართლიანი გახლდათ, რის მაგალითადაც შემდეგი ციფრებიც კმარა:

იმ დროს, როდესაც თბილისის საწარმოებში 1999 წლის იანვარ-ივნისში შეიქმნა ქვეყნის სამეწარმეო სფეროში გამოშვებული საქონლის და მომსახურების საერთო მოცულობის 44,4 პროცენტი, ქვემო ქართლში - 11,2, იმერეთში-10,6, აჭარაში - 9,7, კანონის თანახმად, ეს უკანასკნელი თავის განკარგულებაში იტოვებდა საბაჟო ორგანოებიდან მიღებული დღგ-ს, აქციზის, საბაჟო გადასახადის 40-40 პროცენტს, მაშინ, როცა ფოთის ბიუჯეტს საბაჟო გადასახადის მხოლოდ 5 პროცენტი რჩებოდა, ხოლო იმერეთს, სადაც იქმნებოდა ქვეყნის საექსპორტო პროდუქციის 12-14 პროცენტი, საბაჟოდან ამოღებული გადასახადებიდან პრაქტიკულად არაფერი დარჩა.

აღნიშნული ნორმატივები ხელს უწყობდა წინააღმდეგობის გაღვივებას, კერძოდ:

ამცირებდა ცენტრალური ბიუჯეტისა და ცენტრალური (რესპუბლიკური) უწყებების ზემოქმედების არეალს ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებზე, არღვევდა ცენტრისა და უშუალოდ ფიზიკური და იურიდიული პირების ურთიერთკავშირს. ცენტრალური ბიუჯეტიდან დახმარებები ხშირად რეგიონული ელიტარული კლანების ინტერესებს ხმარდებოდა, ვინაიდან ტრანსფერტები ცენტრიდან რეგიონულ ადმინისტრაციაზე ირიცხებოდა, რაც ცენტრს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის უშუალო კავშირს გამორიცხავდა.

შემოსავლებსა და ხარჯებში უფლება-მოვალეობების დისბალანსი, საერთო საფინანსო კრიზისი ცალკეულ ტერიტორიულ ერთეულებს აიძულებდა, გადასახადებისა და შემოსავლების ნაწილი არ გადაერიცხათ ცენტრალურ ბიუჯეტში, ადგილობრივი ბიუჯეტებისთვის დაეკისრებინათ ტერიტორიული ფედერალური ორგანოების (თავდაცვის, შინაგან საქმეთა, უშიშროების, საზღვრის დაცვის უწყებების) დაფინანსება.



აბაშიძემ ძველი ხელისუფლებისგან უსამართლო პრივილეგიების მიღება მოახერხა.

ქმნიდა საერთო-სახელმწიფო კანონმდებლობის იგნორირების, ნახევრად სეპარატისტული ხელისუფლების ჩამოყალიბების წინაპირობებს, ანუ ეს პროცესები, ფაქტობრივად, "შავ ფულს" წარმოქმნიდა.

აღნიშნული წინააღმდეგობები განსაკუთრებით გამოვლინდა აჭარის და ცენტრალური ბიუჯეტის ურთიერთობებში. კერძოდ, ტრანსფერტები ცენტრალური ბიუჯეტიდან გადაირიცხება აჭარის მთავრობაზე და არა ცალკეულ რაიონებზე, როცა სხვა მხარეებს ტრანსფერტები რაიონულ ჭრილში გადაეცემა.

ამასთან, იმ პერიოდშიც, როცა აჭარა ცენტრში თანხებს რიცხავდა, რიცხავდა გაცილებით ნაკლებს, ვიდრე ეს მისთვის მინიჭებულ "პრივილეგიებში" იყო განსაზღვრული:

კერძოდ, საბაჟო შემოსავლებიდან 1999 წელს გადმორიცხულია 2 მლნ 258769 ლარი, ამ დროს - ჩვენს ხელთ არსებული გადაუმოწმებელი ინფორმაციით, საბაჟო შემოსავლები აჭარის ბიუჯეტს 1999 წლის ორ კვარტალში მიღებული აქვს 23 მლნ ლარამდე. ზემოთ უკვე ნახსენები ნორმატივების შესაბამისად, აჭარის ბიუჯეტიდან ცენტრალურში უნდა გადმორიცხულიყო არა 2,25 მლნ ლარი, არამედ მთელი შემოსავლის 60 პროცენტი, რაც 13,8 მლნ ლარს შეადგენდა. სხვაობაა 11,5 მლნ ლარი. ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლებში გადმორიცხულია აგრეთვე აქციზური მარკების ღირებულების თანხა - 900000 ლარი.

კერძო ფირმების როლი ცენტრი-რეგიონის საბიუჯეტო ურთიერთობებში

აქციზური მარკების შემოღების შემდეგ შეინიშნება საპირისპირო პროცესიც. ბათუმში რეგისტრირებული ფირმები "ომეგა-2" და "ჰელიოსი" აქციზურ მარკებს ყიდულობდნენ თბილისში, ფინანსთა სამინისტროს აქციზური მარკების სამსახურში, საიდანაც თანხა მთლიანად ცენტრალურ ბიუჯეტში მიიმართება. ეს აჭარის ხელისუფალთ საშუალებას აძლევდა, გაემართლებინა ცენტრალური ბიუჯეტის კუთვნილი სხვა თანხების ადგილობრივ ბიუჯეტში გადატანა. თუმცა პროპორციები რომ აშკარად არათანაბარი იყო, ამას შემდეგი ციფრებიც მოწმობს:

1999 წლის პირველ ნახევარში შპს "ჰელიოსმა" ცენტრალურ ბიუჯეტში შეიტანა აქციზური მარკების ღირებულება - 891 ათასი ლარი, ხოლო შპს "ომეგა-2"-მა - 8 მლნ 316 ათასი ლარი. სულ ამ ორი ფირმის მიერ 1999 წლის პირველ ნახევარში ცენტრალურ ბიუჯეტში შეტანილია აქციზური მარკების ღირებულება (რაც, ფაქტობრივად, აქციზის გადასახადია) - 9 მლნ 207 ათასი ლარი.

არაერთხელ მოხსენიებული სპეციალური ნორმატივების თანახმად, ამ თანხის 40 პროცენტი (3 მლნ 683 ათასი ლარი) უნდა მიმართულიყო აჭარის ბიუჯეტში, ხოლო 5 მლნ 524 ათასი ლარი - ანუ 60 პროცენტი დარჩენილიყო ცენტრალურ ბიუჯეტში, რაც არ ხდებოდა.

იმ მოტივით, რომ ცენტრი აჭარას თანხებს აკლებდა, 1999 წელს, ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, აჭარამ ცენტრს დააკლო დაახლოებით 25,3 მლნ ლარი. ამ ციფრებს უნდა დაემატოს "სიფ-თბილისი", "სიფ-ქუთაისი" და ა.შ. რეჟიმებით შემოსული ტვირთის ბათუმის საბაჟოზე განბაჟებისას ავტონომიის ბიუჯეტში გადარიცხული თანხები, რომელთა გაანგარიშება დოკუმენტური რევიზიის საფუძველზე მხოლოდ ადგილზეა შესაძლებელი. შეგახსენებთ - თავის მხრივ, ცენტრმა ავტონომიას დააკლო შპს "ომეგა-2"-ის და "ჰელიოსი"-ს მიერ შეძენილი აქციზური მარკების ღირებულების 40 პროცენტი ანუ 3,7 მლნ ლარი. როგორც ვხედავთ, სხვაობა მაინც აშკარად ავტონომიის სასარგებლოდაა.

ზედმეტად დატოვებული თანხები კი ადგილობრივ ხელისუფლებას საშუალებას აძლევს, გაატაროს კლანურ-მაფიოზური პოლიტიკა, ეს თანხები აქციოს "შავ ფულად", კანონდარღვევით დააფინანსოს არა მარტო თავისთვის ხელსაყრელი რაიონული და რეგიონული დონის ხელმძღვანელობა და შეიარაღებული ფორმირებები, არამედ ცენტრალური ძალოვანი სტრუქტურების ადგილობრივი ქვედანაყოფებიც კი.

გამოსავალი

ჩვენი აზრით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და კონტროლის პალატამ უნდა გაითვალისწინონ საბიუჯეტო სეპარატიზმით მიღებული და "შავ ფულთან" დაკავშირებული საფრთხის არსებობა. სიტუაციის გამოსწორების მიზნით:

ძირითადი ყურადღება დაუთმონ ქვეყნის სახელმწიფოებრიობისა და სუვერენიტეტის განმტკიცების, ცენტრალური ბიუჯეტისა და სპეციალური სახელმწიფო ფონდების როლის ამაღლების საკითხს;

გადაისინჯოს ცენტრალური ბიუჯეტიდან ავტონომიაზე ტრანსფერტების გადარიცხვის პრაქტიკა და ცენტრიდან პირდაპირ რაიონებზე მოხდეს თანხების ჩარიცხვა. ამასთან, არ დაუშვან რეგიონული (სამხარეო) ბიუჯეტების ფორმირებისაკენ მისწრაფება. ყველა სახელმწიფო პროგრამის დაფინანსება განხორციელდეს უშუალოდ ცენტრალური ბიუჯეტიდან;

ფართოდ იქნეს გამოყენებული ერთობლივი (პარიტეტული) საინვესტიციო პროგრამების დაფინანსება;

ცენტრიდან ავტონომიისადმი საფინანსო დახმარება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელის მიერ სრულად იქნება დაცული არსებული საბიუჯეტო კანონმდებლობა;

გააძლიერონ ცენტრალური ბიუჯეტისა და ცენტრალური აღმასრულებელი სტრუქტურების მაკონტროლებელი ფუნქცია;

უზრუნველყონ ცენტრალური აღმასრულებელი სტრუქტურების ტერიტორიული ორგანოების სრული ფინანსური დამოუკიდებლობა;

გრძელვადიანი ეკონომიკური ნორმატივებით საბიუჯეტო-საგადასახადო ასიმეტრიის მინიჭების საფუძვლად გადააქციონ ცენტრისადმი პასუხისმგებლობის გაზრდა; მომავალში ნორმატივების ნაცვლად შემოღებული იქნეს წესი, რომლითაც ადგილობრივი გადასახადები მთლიანად წარიმართება ადგილობრივ ბიუჯეტებში, ხოლო რესპუბლიკურები (ფედერალურები) - სრულად გადაირიცხება ცენტრალურ (ფედერალურ) ბიუჯეტში;

დაფიქსირონ და გააკონტროლონ დებულება იმის თაობაზე, რომ აქციზური მარკების რეალიზაცია მოხდეს ფირმის რეგისტრაციის ტერიტორიული ერთეულის მიხედვით; ხოლო "სიფ"-ის რეჟიმით შემოსული ტვირთის განბაჟება - მხოლოდ დოკუმენტებში მითითებულ საბაჟო სამმართველოში.

დეპრივატიზაცია თუ მიტაცებული ქონების ხალხისთვის დაბრუნება?!

ეკონომიკური ექსპერტები სახელმწიფო მოხელეთა მიერ პრივატიზებული ქონების კანონიერების გადახედვის შესახებ

იუსტიციის სამინისტროს მიერ პარლამენტში ათიოდე დღის წინათ წარდგენილი ანტიკორუფციული პაკეტიდან, რომელიც მთელ რიგ კანონებში ცვლილებებს გულისხმობდა, ერთი მუხლის მიღება დღემდე გაჭიანურდა. მუხლი, რომელმაც პარლამენტსა და მის კედლებს გარეთაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, პრივატიზაციის მოქმედ კანონში "უმნიშვნელო" ცვლილებას გულისხმობდა.

ეთერ მამულაშვილი

პრივატიზებულ სახელმწიფო ქონებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების სასარჩელო ვადა - კანონით გათვალისწინებული სამი წელი, განუსაზღვრელი ვადით უნდა შეცვლილიყო. ამას იუსტიციის სამინისტროს მიერ მომზადებული კანონპროექტი ითვალისწინებდა, რამაც პარლამენტართა უმრავლესობის სერიოზული უკმაყოფილება გამოიწვია. საქმე კენჭისყრამდე არც კი მისულა. უფრო ზუსტად - კანონპროექტის ავტორი მოითხოვდა: კონკრეტული პირის მიმართ სისხლის სამართლის აღძვრის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს პროკურატურას ამ პირის მიერ შეძენილი სახელმწიფო ქონების კანონიერების გადახედვის უფლება ჰქონოდა. გუშინ დეპრივატიზაციის თემაზე "24 საათი" უკვე წერდა. დღეს კი ამ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტების მოსაზრებას შემოგთავაზებთ.

ცნობისათვის: სახელმწიფო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილის განსახელმწიფოებრიობა, რომელიც დღემდე მოხდა, 1997-2000 წლებზე მოდის. მსხვილი და მასშტაბური საწარმოების უმრავლესობის პრივატიზაცია სწორედ ამ წლებში ჩატარდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დღეს მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში გამორიცხული იქნება მათი პრივატიზების კანონიერების გადასინჯვა. თუ იუსტიციის სამინისტრო ხსენებულ ინიციატივას დაამტკიცებს, ავტომატურად მოიხსნება ეს ბარიერი.

პარლამენტართა და დამოუკიდებელ ექსპერტთა ერთმა ნაწილმა იუსტიციის სამინისტროს ეს ინიციატივა ისე გაიგო, როგორც დეპრივატიზაციის მცდელობა, რასაც თავად კანონპროექტის ავტორები კატეგორიულად უარყოფენ. **"ჩვენ მიერ შეთავაზებული ვარიანტის თანახმად, დღეს არსებული საპრივატიზაციო დავებთან დაკავშირებული ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა არ იმოქმედებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი სისხლის სამართლის საქმეა აღძრული ამ პრივატიზაციის კანონიერებასთან დაკავშირებით, ან პირის მიმართ, რომელსაც კანონდარღვევით აქვს შესყიდული ესა თუ ის სახელმწიფო ქონება. ამას არანაირი კავშირი არა აქვს დეპრივატიზაციასთან,"** - ასეთ განმარტებას იძლევა იუსტიციის მინისტრის მოადგილე ლევან ბეჟუაშვილი.

თუმცა ხსენებული საკანონმდებლო ინიციატივის განსხვავებულ ინტერპრეტაციას აკეთებს პარლამენტართა და ექსპერტთა ერთი ნაწილი. ისინი მიიჩნევენ, რომ გასულ წლებში ჩატარებული პრივატიზაციის გადახედვა ქვეყანას ძალიან მძიმე ეკონომიკურ შედეგებს მოუტანს. ამას გარდა, ეს ცვლილება არახელსაყრელი იქნება ნებისმიერი პოტენციური ინვესტორის ქვეყანაში მოსაზიდად ან ძველის გასაქცევად. **"იმ პერიოდში, როცა ქვეყანაში მასობრივი პრივატიზაცია მიმდინარეობდა, იყო ძალიან ბევრი დარღვევა, რაც რიგ შემთხვევებში საკანონმდებლო ხარვეზებითაც იყო გამოწვეული. ვშიშობ, რომ ეს არ იყოს მთლიანად პრივატიზაციის შედეგების გადახედვის მცდელობა. არ არის გამორიცხული, რომ ეს ცვლილება ვიღაცამ შურისძიებისთვის ბრწყინვალედ გამოიყენოს. ამიტომაც ამ კუთხით სამართლიანობის აღდგენის მცდელობა შეიძლება, საბოლოო ჯამში, გაცილებით უარესი, უსამართლო პროცესებით დამთავრდეს,"** - ასეთ პროგნოზს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის ხელმძღვანელი რომან გოცირიძე აკეთებს.

ამავე აზრს იზიარებს პარლამენტარი ზურაბ ცქიტიშვილი, რომელიც დასძენს, რომ ასეთმა გადაწყვეტილებამ, შესაძლოა, დააფრთხოს ინვესტორები, რომელთაც არ ექნებათ იმის გარანტია, რომ ერთხელაც რომელიმე მთავრობას მათ მიერ შეძენილი ქონების სახელმწიფოსთვის დაბრუნების ცდუნება არ გაუჩნდება.

"ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის" წევრი თემურ მიმინოშვილი მიიჩნევს, რომ არასწორად პრივატიზებულ სახელმწიფო ქონებაზე პასუხისმგებელი მხოლოდ ამ ქონების გამსხვისებელი შეიძლება იყოს. **"ჩინოვნიკმა არცოდნით თუ კანონის გვერდის ავლით გაყიდა სახელმწიფო ქონება. ამაზე პასუხი მხოლოდ მას უნდა მოეთხოვს. ეს სულაც არ არის მყიდველის პრობლემა. ჩემი აზრით, ამ საკითხს არასწორად და უსამართლოდ ეკიდებიან,"** - ამბობს მიმინოშვილი.

დღეს არსებული სახით პრივატიზაციის კანონში ცვლილებების შეტანა, იურისტ დავით უსუფაშვილის აზრით, საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის შეტანის საფუძველიც კი შეიძლება გახდეს. უსუფაშვილი დარწმუნებულია, იუსტიციის სამინისტროს ხსენებული საკანონმდებლო ინიციატივა გარკვეულწილად პროკურატურის პოლიტიზირებას გამოიწვევს; ანუ **"ეს პრაქტიკულად მიგვიყვანს იქამდე, რომ ჯერ იქნება პოლიტიკურ ან პარტიულ დონეზე მიღებული გადაწყვეტილება, თუ რომელი პრივატიზებული ობიექტის საკითხი უნდა დაისვას კითხვის ნიშნის ქვეშ და მერე პროკურატურა საქმის აღძვრის საშუალებით გზას გაუხსნის დაინტერესებულ პირს,"** - აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს უსუფაშვილმა.

არსებობენ გამონაკლისებიც, რომელთა აზრით, პრივატიზაციის კანონში ამ სახის ცვლილებების შეტანა ქონებრივ პასუხისმგებლობას გააძლიერებს. ასე ფიქრობს "თავისუფლების ინსტიტუტის" წარმომადგენელი დავით ზურაბიშვილი.

კანონპროექტის ახალი ვარიანტი იუსტიციის სამინისტრომ საკანონმდებლო ორგანოში, წესით, მომავალ კვირას უნდა წარადგინოს. მინისტრის მოადგილის ბეჟუაშვილის ინფორმაციით, მათი იურისტები მთელი გასული კვირის განმავლობაში ამ საკითხზე კონსულტაციებს აწარმოებდნენ სხვადასხვა ფრაქციებისა და პარტიის წარმომადგენლებთან. დღემდე კანონპროექტი არსებითად არ შეცვლილა. მსგავსი შეხვედრები კვირის ბოლომდე გაგრძელდება.

მორიგი აფეთქება და რამსფელდის ვიზიტი

ერაყში აფეთქებათა სერია გრძელდება. გუშინ, ქალაქ კირკუკის ქურთულ კვარტალში, ერაყის ახლადშექმნილი პოლიციის შენობასთან ასაფეთქებელი ნივთიერებებით დატვირთული ავტომანქანა აფეთქდა. წინასწარი მონაცემებით, 13 ადამიანია დაღუპული, ხოლო 51 დაიჭრა. ერაყში ბოლო დროს გახშირებული ტერაქტების ფონზე ძნელია, ირწმუნო ამერიკელთა განცხადებები კამპანიის წარმატებების შესახებ. აფეთქებები მას შემდეგ გახშირდა, რაც ერაყში ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოების შექმნა დაიწყო. მხოლოდ წელს განახლებული პოლიციის ასეულობით თანამშრომელი დაიღუპა.

კირკუკის აფეთქება აშშ-ს თავდაცვის მდივნის, დონალდ რამსფელდის სტუმრობას დაემთხვა. ქვეყნის ოკუპაციის შემდეგ რამსფელდი უკვე მეოთხედ ესტუმრა ერაყს. მისი ვიზიტის შესახებ განცხადება წინასწარ არ გაკეთებულა, რაც უსაფრთხოების დაცვის მიზნით იყო განპირობებული.

რამსფელდს ბაღდადის აეროპორტში დროებითი ადმინისტრაციის მეთაური პოლ ბრემერი დახვდა. თავდაცვის მდივანი შემდეგ აშშ-ს სამხედრო მოსამსახურეებთან შესახვედრად გაემართა. რამსფელდის გუშინდელი ვიზიტის მიზანი ერაყელი სამართალდამცველების მზადყოფნის შემოწმება იყო. შეგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 30 ივნისს ხელისუფლება ერაყელებს უნდა გადაეცეთ.

კირკუკში მომხდარმა აფეთქებამ კიდევ ერთხელ გახადა ნათელი ძალაუფლების გადაცემის

დონალდ რამსფელდი ბაღდადის აეროპორტში.

REUTERS

პრობლემის სიმწვავე. ერაყის პოლიციელები მხოლოდ საბჭოთა წარმოების ავტომატური იარაღით არიან აღჭურვილნი და პარტიზანებთან ბრძოლა უჭირთ. პოლიციელები ხშირად ჩივიან, რომ ამერიკელი ჯარისკაცები მათ ტერორისტების თავდასხმებისაგან არ იცავენ. დღეისათვის საერთაშორისო კოალიცია ერაყში 130 ათასი სამხედროთია წარმოდგენილი, ხოლო ერაყის ახალი შეიარაღებული ძალები, პოლიციის ჩათვლით, უკვე 200 ათასს აჭარბებს.

კირკუკის აფეთქება საეჭვოდ დაემთხვა ქურთთა მოთხოვნებს ავტონომიური მმართველობის გაფართოების შესახებ. ქურთები ქვეყნის მართვაში უფრო მნიშვნელოვანი როლის შესრულებას ითხოვენ. ერაყში 30 ივნისის მოახლოებასთან ერთად ეთნიკური დაპირისპირება მატულობს. ამერიკელებმა ადრე განაცხადეს, რომ ერაყში შიიტებსა და სუნიტებს შორის სამოქალაქო ომის პროვოცირებას "ალ-ქაიდასთან" დაკავშირებული ჯგუფები ცდილობენ. ერაყში მიმდინარე პროცესებში "ალ-ქაიდას" მონაწილეობა დონალდ რამსფელდმაც დაადასტურა.

ერაყში მომხდარი დიდი ტერაქტები

7 აგვისტო. ბაღდადში იორდანიის საელჩოსთან საგანგებო მანქანის აფეთქებას 17 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა.

19 აგვისტო. საგანგებო მანქანა აფეთქდა ბაღდადში გაეროს შტაბ-ბინასთან, რის შედეგადაც 22 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის გაეროს დესპანი სერჯიო ვიეირა დე მელლო.

29 აგვისტო. ნაჯაფში შერეთის აფეთქების შედეგად 83 ადამიანი დაიღუპა, მათ შორის შიიტთა ლიდერი აიათოლა მოჰამედ ბაქერ ალ-ჰაკიმი.

9/12 ოქტომბერი. 14 ერაყელი დაიღუპა საერ სიტის პოლიციის განყოფილებასა და სასტუმრო ბაღდადზე განხორციელებული თავდასხმების დროს.

27 ოქტომბერი. ბაღდადში წითელი ჯვრის შტაბ-ბინასა და სამ პოლიციის განყოფილებასთან მომხდარმა ოთხმა აფეთქებამ დაახლოებით 35 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

12 ნოემბერი. ნასირიაში საგანგებო მანქანის აფეთქების შედეგად 19 იტალიელი კარაბინერი და 9 ერაყელი დაიღუპა.

22 ნოემბერი. ბაღდადის ჩრდილო-აღმოსავლეთით ავტომანქანების გამოყენებით პოლიციის განყოფილებებზე მომხდარი ორი თავდასხმისას 18 ადამიანი დაიღუპა.

14 დეკემბერი. 17 ადამიანი დაიღუპა ხალდიას პოლიციის განყოფილებაში შეღწევნილი ავტომანქანის აფეთქების შედეგად.

27 დეკემბერი. ქერბალაში სამთავრობო შენობებსა და კოალიციის სამხედრო ბაზებზე თავდასხმას 19 ადამიანი ემსხვერპლა.

31 დეკემბერი. ბაღდადში რესტორანში მანქანით შეღწევნილი თვითმკვლელი ტერორისტის აფეთქებისას 8 ადამიანი დაიღუპა.

18 იანვარი. კამიკაძე ტერორისტის მიერ მანქანით თავის აფეთქების შედეგად 25 ადამიანი დაიღუპა აშშ წარმომადგენლობასთან ბაღდადში.

31 იანვარი. მოსულში პოლიციის შენობასთან მანქანის აფეთქებას 9 ადამიანი შეეწირა.

1 თებერვალი. ქურთულ ქალაქ არბილში ორი ბომბის ერთდროულად აფეთქების შედეგად 109 ადამიანი დაიღუპა.

10 თებერვალი. ისკანდარიას პოლიციის შენობაში აფეთქებულ მანქანას 50 ადამიანი ემსხვერპლა.

11 თებერვალი. აფეთქების შედეგად 47 ადამიანი დაიღუპა ბაღდადში ერაყის არმიის განლაგების პუნქტთან.

15 თებერვალი. ფალუჯის პოლიციაზე თავდასხმისას 27 ადამიანი დაიღუპა და 20 პატიმარი იქნა გათავისუფლებული.

18 თებერვალი. პოლონეთის სამხედრო შენაერთზე თავდასხმისას ჰილაში 11 ერაყელი დაიღუპა, დაიჭრა 58 კოალიციის ჯარისკაცი და 44 სამოქალაქო პირი.

23 თებერვალი. კირკუკში ერაყის პოლიციის შენობასთან მანქანის აფეთქების შედეგად დაახლოებით 13 ადამიანი დაიღუპა და 51 დაიჭრა.

© GRAPHIC NEWS

ევროკავშირი რუსეთს აფრთხილებს

ბრიუსელში შეკრებილი ევროკავშირის საგარეო საქმეთა მინისტრები გუშინ რუსეთთან ურთიერთობებს განიხილავდნენ. ეს თემა ბოლო დროს განსაკუთრებით აქტუალური გახდა. საქმე ისაა, რომ ევროკავშირსა და რუსეთს შორის უახლოეს მომავალში ურთიერთობები შეიძლება დაიძაბოს. მიმდინარე წლის 1 მაისს გაერთიანებაში 10 ახალი ქვეყანა შევა. მათი უმრავლესობა რუსეთის ყოფილი სატელიტები არიან. კრემლში შიშობენ, რომ ამით მოსკოვი საკუთარი პროდუქციის გასაღების უზარმაზარ ბაზარს დაკარგავს.

რუსეთი დასავლური გაერთიანებების აღმოსავლეთით გაფართოებას ყოველთვის მტკივნეულად აღიქვამდა. 1999 წელს ნატო-ში პოლონეთის, უნგრეთისა და ჩეხეთის მიღებას წინ უძღოდა დასავლეთს და რუსეთს შორის დიპლომატიური ომი. საბოლოოდ, ნატო-მ კომპრომისული ვარიანტი შესთავაზა კრემლს და რუსეთ-ნატოს საბჭოს სახით საკუთარ ინსტიტუტებში ჩართო. 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ, მოსკოვს საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის საკითხებზე ალიანსის ფარგლებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობის საშუალებაც კი მიეცა.

მოსკოვი ევროკავშირისგანაც ანალოგიურ დათმობას ითხოვს. თუმცა, ბრიუსელში შიშობენ, რომ ასეთ პრივილეგიას რუსეთი ევროკავშირის ქვეყნებს შორის შუღლის ჩამოსაგდებად გამოიყენებს. ბრიუსელში ამბობენ, რომ ყველა სადავო საკითხი მოლაპარაკების გზით უნდა მოგვარდეს. ევროპულ ინსტიტუტებში ჩართვის გარდა, რუსეთი კავშირისაგან მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებაზე მხარდაჭერას ითხოვს. ამ მხარდაჭერის გარეშე მოსკოვი ორგანიზაციაში ვერ გაწევრიანდება, რაც რუსეთისათვის ეკონომიკურად წამგებიანია. ეკონომიკურ საკითხებში მოსკოვი ევროკავშირისაგან მეტალურგიული, ფარმაცევტული, ბირთვული და საავიაციო მრეწველობის პროდუქციის გასაღებაში დათმობებს ითხოვს. როგორც აღინიშნა, გაფართოების შემდეგ მოსკოვს გასაღების აღმოსავლეთევროპული ბაზრის დაკარგვა ემუქრება. რუსეთი ევროკავშირის ნავთობისა და გაზის ექსპორტის გაზრდასაც სთავაზობს. თუმცა, რეალურად, ეს ისედაც მოხდება, რადგან გაერთიანების ახალი წევრების ენერგომომარაგება მხოლოდ რუსეთზეა დამოკიდებული.

მოსკოვი თავის მოთხოვნებში არც ბალტიისპირეთის რუსულენოვან მოსახლეობას ივიწყებს და ლატვიასა და ესტონეთში რუსული ენის ოფიციალური სტატუსის დაკანონებას ითხოვს. ამით, ეს სტატუსი ევროკავშირის ფარგლებშიც შენარჩუნდება და რუსულ მოსახლეობას თანამეგობრობაში კულტურული ავტონომიის უფლება ექნება. მოსკოვის კიდევ ერთი მოთხოვნა კალინინგრადს ეხება. ამ რუსულ ანკლავს ქვეყნის ძირითადი ტერიტორიისაგან ლიტვა გამოყოფს. მოსკოვი კალინინგრადელებისთვის უვიზო მიმოსვლას მოითხოვს, მაგრამ ბრიუსელი შიშობს, რომ ამან, შესაძლოა, რუსეთიდან იმიგრაცია უკონტროლო გახადოს. ევროკავშირში "გამჭოლი სარკინიგზო მიმოსვლის" შემოღებას განიხილავენ, რომელიც ლიტვის, ანუ ევროკავშირის ტერიტორიას შეუჩერებლად გადაკვეთდა.

თავის მხრივ, პრეტენზიები აქვთ ევროპელებსაც. ბრიუსელში არ მოსწონთ ადამიანის უფლებების მდგომარეობა რუსეთში და დაუსრულებელი ომი ჩეჩნეთში. უკრაინასა და ბელორუსში წელს დაგეგმილ არჩევნებში სურთ, რომ მოსკოვი დემოკრატიულ პროცესებს წინ არ აღუდგეს. გარემოს დაცვის სფეროში მოსკოვისაგან კიოტოს პროტოკოლის რატიფიკაციას მოითხოვენ, ხოლო ენერგოსექტორში – გაზის სექტორის ლიბერალიზაციას. ყველაზე მეტად კი, ბრიუსელში მოსკოვის პოზიცია აშფოთებთ, რომელიც, სავაჭრო და სავიზო საკითხებში დათმობების გარეშე, პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების ახალ წევრებზე გავრცელებას არ აპირებს. ასეთ შემთხვევაში მოსკოვს სანქციებით ემუქრებიან, რაც, როგორც ბრიუსელში ამბობენ, კრემლისათვის უფრო სავალალო შედეგებით შეიძლება დასრულდეს.

დეპორტაციიდან გენოციდამდე

ლევან ღირსიაშვილი

ზუსტად სამოცი წლის წინ, იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ბრძანებით, ნახევარი მილიონი ჩეჩენი ციმბირსა და შუა აზიაში გადაასახლეს. ეს ოპერაცია, ბერიას უშუალო ხელმძღვანელობით, 1944 წლის 23-24 თებერვალს განხორციელდა. ზუსტად სამოცი წლის წინ, თოვლსა და ყინვაში, აურაცხელი რაოდენობით სპეცეშელონი დაიძრა ჩეჩნეთის ტერიტორიიდან. იძულებითი მგზავრობის დროს, გაუსაძლის პირობებში, მრავალი ათასი ჩეჩენი ბავშვი, ქალი თუ მოხუცი დაიღუპა. ზოგიერთი შეფასებით, დაახლოებით, 50-70 ათასმა ჩეჩენმა დეპორტაციის ადგილამდე ჩაღწევა ვერ შეძლო. ჩეჩენი ხალხის დასჯის ოფიციალური მიზეზი საკმაოდ მარტივი იყო: ფაშისტური გერმანიისათვის მხარდაჭერა. ისტორიამ დაამტკიცა, რომ ეს მხოლოდ საბაბი იყო და არა ნამდვილი მიზეზი. მხოლოდ 50 წლის შემდეგ გაეცა პასუხი კითხვას, თუ რა სურვილი

ჩეჩენი ბავშვები შურისძიების გრძნობით იზრდებიან.

REUTERS

ამოძრავებდა სტალინს და საბჭოთა კავშირის პოლიტბიუროს, როდესაც მთელი ერის გადასახლების ბრძანება იწერებოდა.

1994 წელს, დეპორტაციიდან 50 წლის თავზე, კრემლში კიდევ ერთი ბრძანება გაიცა, რის საფუძველზეც 40-ათასიანი არმია, ათასობით ტანკისა და ასობით სამხედრო თვითმფრინავის მხარდაჭერით, ჩეჩნეთის ტერიტორიაზე შევიდა. უკვე ათი წელია, რაც ჩეჩნები დამოუკიდებლობისათვის სისხლისმღვრელ პარტიზანულ ომს აწარმოებენ. უკვე ათი წელია, რაც რუსეთის ხელისუფლება ჩეჩნურ კამპანიას საკუთარი პოლიტიკური თუ ფინანსური მიზნებისათვის იყენებს. ჩეჩნეთში სისხლისღვრის ხარჯზე კრემლის მესვეურები საკმაოდ მომგებიან პოლიტიკურ დივიდენდებს იწერენ. ჩეჩნეთი სწორედ ის კოზირია, რომელიც ყოველთვის საპარლამენტო ან საპრეზიდენტო არჩევნების დროს თამაშდება ხოლმე. ანდა, საერთაშორისო არენაზე დასავლეთსა და რუსეთის პოლიტიკურ წრეებს შორის გარიგებებში ვაჭრობის ობიექტი ხდება. ამ ბინძურ თამაშში კი დაზარალებული ისევ უბრალო და უდანაშაულო ჩეჩნები არიან, რომლებსაც მხოლოდ მშვიდობა და საკუთარი ღირსების დაცვა სურთ. მათი დიდი ნაწილი კვლავ დევნილად იქცა, ნაწილი მთებიდან აწარმოებს ბრძოლას რუსეთის არმიის წინააღმდეგ. ჩეჩნეთში კი ახალი თაობები იბადებიან, რომლებიც შურისძიების გრძნობით და სურვილით იზრდებიან. ჩეჩნეთში კლასიკური ავღანიზაცია ხდება. ახალი თაობა, რომელიც ყოველგვარ განათლებას და მზრუნველობას მოკლებულია, ომის გაგრძელების პოტენციური იარაღია. ომი კი იქამდე გაგრძელდება, ვიდრე ჩეჩენი ერი ან საბოლოოდ არ განადგურდება, ან რუსეთში ხელისუფლების პოლიტიკა მძლავრი საერთაშორისო ზეწოლის შედეგად არ შეიცვლება. რაც შეეხება თავად რუსეთში საზოგადოებრივი აზრის ცვლილებას, ამას ხანგრძლივი დრო სჭირდება.

მოსკოვში საცხოვრებელი სახლების აფეთქებებს (რაც დღემდე არ არის გამოძიებული და ბევრი ექსპერტი ამაში რუსული სპეცსამსახურების ხელწერას ხედავს), მძევლების აყვანას, გაუთავებელ ტერაქტებს კრემლი თავისი პოლიტიკური მიზნებისათვის და ჩეჩნეთში სამხედრო კამპანიის გაგრძელებისათვის ოსტატურად იყენებს. ჩეჩნური სისხლისღვრა კი რუსეთის მთავრობის და პრეზიდენტის ძალაუფლების გახანგრძლივებას იწვევს. ანუ ეს არის ჩაკეტილი წრე, სადაც ყველას თავისი ადგილი და როლი აქვს განკუთვნილი. და, როგორც ჩანს, ამ მოჯადოებული წრის გარღვევა არც ერთ მის მონაწილეს არ სურს. ამისი სურვილი მხოლოდ იმ უდანაშაულო ადამიანებს ამოძრავებთ, რომლებიც უკვე ათი წელია, საკუთარ თავზე გრძნობენ ომის საშინელებას. ბევრ მათგანს კარგად ახსოვს, რა მოხდა 60 წლის წინ. ისინი მაშინ ბავშვები იყვნენ. შუა აზიასა და ციმბირში გადასახლებულები, ისინი შურისძიების გრძნობით იზრდებოდნენ და ლოგიკური შედეგიც სახეზეა - ათწლიანი ომი, რომელსაც დასასრული არ უჩანს.

შრიოდერი თურქეთში ვიზიტით კმაყოფილია

გერმანიის პრემიერ-მინისტრი შრიოდერი ოფიციალური ვიზიტით ანკარაში იმყოფება. შრიოდერი, ვიზიტის ფარგლებში, თურქეთის პრემიერ-მინისტრს რეჯეპ ტაიპ ერდოგანს შეხვდა. შეხვედრის შემდეგ პრემიერ-მინისტრების ერთობლივი პრესკონფერენცია გაიმართა. ჟურნალისტებისთვის გაკეთებულ განცხადებაში შრიოდერმა აღნიშნა: **"კმაყოფილი ვარ, რომ ვიმყოფები თურქეთში. თურქეთი ევროკავშირის წევრი გახდება. ამაში არანაირი ეჭვი არ არსებობს. ევროკავშირმა თურქეთს კარები 40 წლის წინ გაუღო. საყურადღებოა, აგრეთვე, რეგიონში თურქეთის მნიშვნელობა. გერმანია თურქეთს მხარს უჭერს. ერდოგანის პრემიერ-მინისტრობის პერიოდში სტაბილიზაციის ტენდენცია არ შემცირებულა. პირიქით, ეკონომიკისა და პოლიტიკის თვალსაზრისით, უფრო გაიზარდა. პროგრესული იქნება, თუ თურქეთის ხელისუფლება თავის თავზე აღებულ მოვალეობას წარმატებით განახორციელებს."**

თავის მხრივ, ერდოგანმა პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ევროპაში ეკონომიკისა და კულტურის სფეროში გერმანია თურქეთის ყველაზე ახლო პარტნიორია. ერდოგანის განცხადებით, პრემიერ-მინისტრების შეხვედრაზე ძირითად საკითხებად განხილული იყო თურქეთისა და ევროკავშირის ურთიერთობა, კვიპროსის, ერაყის, ავღანეთისა და ნატო-ს საკითხები. გერჰარდ შრიოდერი თურქეთისათვის სასურველი სტუმარია, რადგანაც ის ევროკავშირში თურქეთის გაწევრიანებას მტკიცედ უჭერს მხარს. როგორც ცნობილია, გერმანიაში თურქული თემი საკმაოდ ძლიერი და მრავალრიცხოვანია. მათი რაოდენობა 2,5 მილიონამდე აღწევს. თურქეთის ევროკავშირში მიღება-არმიღების საკითხი გერმანიის საშინაო პოლიტიკურ ურთიერთობებშიც საკმაოდ დიდ როლს თამაშობს. ოპოზიციური ქრისტიან-დემოკრატიული პარტიის მესვეურები მიიჩნევენ, რომ თურქეთი მუსულმანური ქვეყანაა და ევროკავშირში მისი გაწევრიანება ევროპის სტაბილურობაზე ნეგატიურად იმოქმედებს. გასულ კვირას ანკარაში ქრისტიან-დემოკრატების ლიდერი ანგელა მერკელი იმყოფებოდა. მისმა ინიციატივამ, თურქეთისათვის ევროკავშირში პრივილეგირებული სტატუსის მინიჭების თაობაზე, თურქეთის ხელისუფლების და პოლიტიკური წრეების განაწყენება გამოიწვია.

პაქსასის იმპიჩმენტი ახლოვდება

ლიტვის სეიმმა დღეს საკონსტიტუციო სასამართლოს პრეზიდენტ როლანდას პაქსასის მისამართით წაყენებული ბრალდებების შესახებ სპეციალური საპარლამენტო კომისიის დასკვნა წარუდგინა.

როგორც პარლამენტის სპიკერი არტურას პაულაუსკასი ვარაუდობს, პაქსასის მიმართ ვერდიქტს სასამართლო 2-3 კვირაში გამოიტანს, რის შემდეგაც სეიმს შეუძლია, იმპიჩმენტის პროცედურა განაგრძოს. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ეგიდიუს კურისი თვლის, რომ კომისიის დასკვნის განხილვას, შესაძლოა, მეტი დრო დასჭირდეს, ვიდრე სპიკერი ვარაუდობს. როლანდას პაქსასი ლიტვის პრეზიდენტად 2003 წლის 5 იანვარს აირჩიეს. იმავე წელს, ოქტომბრის ბოლოს ლიტვის სახელმწიფო უშიშროების დეპარტამენტმა პარლამენტს გააცნო ინფორმაცია პაქსასის და მისი უახლოესი გარემოცვის საერთაშორისო კრიმინალურ სამყაროსთან კავშირის შესახებ.

პაქსასი ლიტვის პრეზიდენტად 2003 წლის იანვარში აირჩიეს. იგი ორჯერ იყო ქვეყნის პრემიერ-მინისტრი, ხოლო მანამდე - ვილნიუსის მერი. პრეზიდენტის წინაღმდეგ ტალღის აგორება მიმდინარე წლის 30 ოქტომბერს საინფორმაციო საშუალებებში დაზვერვის დეპარტამენტის ინფორმაციის გაჟონვას მოჰყვა. მართალია, პრესაში სპეცსამსახურების დოსიე სრულად არ გამოქვეყნებულა, მაგრამ რამდენიმე გვარი მაინც გამოჩნდა. ამ ცნობების თანახმად, პაქსასის საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი დამფინანსებლის, იგორ ბორისოვის სახელი რუსეთიდან სუდანში იარაღის უკანონო ვაჭრობას უკავშირდება. ბორისოვმა პაქსასის საარჩევნო კამპანიაში 1,2 მლნ ლიტი ჩადო, რაც, დაახლოებით, 350 ათასი ევროა. საინტერესოა, რომ პაქსასმა, არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, ბორისოვს ლიტვის მოქალაქეობა მიანიჭა. ინფორმაციებში ასევე ნათქვამია, რომ პაქსასის გარემოცვის რამდენიმე წევრს, მათ შორის - მრჩეველს უსაფრთხოების საკითხებში, რამიგიუს აჩასს კავშირი აქვს საერთაშორისო კრიმინალურ დაჯგუფებებთან. სახელდება აჩასის კავშირი რუს ბიზნესმენ ანზორ კიკალიშვილთან, რომლის კომპანია "ასოციაცია 21-ე საუკუნე" კრიმინალურ ქმედებებშია შემჩნეული. აჩასის უფლებამოსილება გამოძიების დასრულებამდე შეჩერებულია. პაქსასი კი მიიჩნევს, რომ მის წინააღმდეგ "პოლიტიკურ შეთქმულებას" აქვს ადგილი, რომელშიც ქვეყნის სპეცსამსახურებიც მონაწილეობენ. იგი ყველა ბრალდებას უარყოფს და პოსტიდან წასვლას არ აპირებს.

პაქსასისთვის წაყენებული ბრალდებების გამოძიება სეიმის სპეციალურ კომისიას დაევალა, რომელმაც დეკემბერში თავისი დასკვნა წარმოადგინა. კერძოდ, კომისიამ დაადასტურა, რომ პაქსასის გარემოცვა საეჭვო რეპუტაციის სტრუქტურებთან და პირებთან არის დაკავშირებული. მათ შორის დასახელებულია პრეზიდენტის ფინანსური სპონსორი იური ბორისოვი და რუსული კომპანია "ალმაქსი".

თავად პაქსასი ბრალდებებს უარყოფს და პრეზიდენტის პოსტიდან ნებაყოფლობით გადადგომაზე უარს აცხადებს.

ცესკო-ს ექსპერიმენტი - „ახალგაზრდა იურისტთა" გაფრთხილება

გუშინ დიდუბის საარჩევნო ოლქის მესამე საარჩევნო უბანზე ერთობ ორიგინალური პრეზენტაცია გაიმართა. საქმე ის არის, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ საზოგადოებას ის თერთმეტი სტუდენტი წარუდგინა, რომლებიც საპარალამენტო არჩევნების დღეს - 28 მარტს ამ უბანზე საუბნო საარჩევნო კომისიის ფუნქციებს იტვირთავენ. თერთმეტკაციანი ექსპერიმენტული ჯგუფი უკვე რამდენიმე კვირაა, სპეციალურ მომზადებას გადის და, როგორც ზურაბ ჭიაბერაშვილი აცხადებს, კენჭისყრის დღისთვის სრულიად თავისუფლად შეძლებს ყველა იმ პროცედურის ჩატარებას, რაც საუბნო-საარჩევნო კომისიის წევრებს ევალებათ.

თამარ ასათიანი

გუშინვე ამ სტუდენტებმა კომისიის პირველი სხდომა გამართეს და კომისიის თავმჯდომარე და მდივანი აირჩიეს. საარჩევნო უბნის კომისიის წევრები სხვადასხვა უმაღლესი სასწავლო დაწესებულებების სტუდენტები არიან. ისინი წინასწარი გასაუბრებისა და ტესტირების საფუძველზე შეარჩიეს. მოგვიანებით კი, როგორც უკვე ვთქვით, საარჩევნო კანონმდებლობის შესწავლას შეუდგნენ.

ასეთი ექსპერიმენტული უბნის შექმნის აუცილებლობაზე ზურაბ ჭიაბერაშვილი დიდი ხნის წინ საუბრობდა. იდეაც სწორედ მას ეკუთვნის, რადგან, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განცხადებით, ეს არის პროფესიული საარჩევნო კომისიების შექმნის ერთგვარი მცდელობა. თანაც, ჭიაბერაშვილის თქმით, ექსპერიმენტის **"ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის საარჩევნო საკითხებით დაინტერესება და მათი სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება".** აქვე დავძენთ, რომ იმ პარტიებმა, რომელთაც საარჩევნო ადმინისტრაციებში წევრის ყოლის უფლება აქვთ, საკმაოდ უმტკივნეულოდ დაუჭირეს მხარი ასეთი ექსპერიმენტული საუბნო-საარჩევნო კომისიის შექმნის იდეას.

გუშინვე ცნობილი გახდა, რომ ამომრჩეველთა ერთიანი სიების შედგენა, დაახლოებით, ერთ კვირაში, მარტის პირველ რიცხვებში დასრულდება და უკვე ხუთი მარტისთვის სიები საარჩევნო უბნებზე გამოიკვრება. როგორც ზურაბ ჭიაბერაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა, დღესდღეობით ცესკო-ს კომპიუტერული ცენტრის მონაცემთა ბაზაში ორ მილიონზე მეტი ამომრჩევლის მონაცემებია შესული და უკვე დაიწყო ამ მონაცემთა ამობეჭდვა. ამ მასალას კომპიუტერული ცენტრის თანამშრომლები საოლქო-საარჩევნო კომისიებში აგზავნიან, იქ კი ეს მონაცემები უნდა შემოწმდეს.

სანამ ცენტრალური საარჩევნო კომისია ამ საქმიანობითაა დაკავებული, არასამთავრობო ორგანიზაცია "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია" ცესკო-ს საქმიანობის მონიტორინგს ახორციელებს. გუშინ 24 საათი წერდა იმ საბოლოო შეფასების თაობაზე, რომელიც ამ ორგანიზაციამ ოთხი იანვრის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამოაქვეყნა.

გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე ასოციაციის გამგეობის წევრმა თინათინ ხიდაშელმა განაცხადა, რომ ასოციაციას სურს, შეახსენოს ხელისუფლებას საარჩევნო პროცესების მნიშვნელობა და მოუწოდოს, დარჩენილი დროის განმავლობაში გაატაროს სრული საკანონმდებლო რეფორმა უკვე მრავალგზის გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად. მათივე თქმით, **"კონკურენტუნარიანი გარემოსა და საარჩევნო ბარიერის არსებობის პირობებში თითოეული მცირედი დარღვევაც კი, რომელიც 28 მარტს განმეორდება, ხანგრძლივი დავისა და საზოგადოების არჩევნებისადმი კიდევ ერთხელ გაუცხოების საფუძველი გახდება,"** – ამბობს თინათინ ხიდაშელი.

მისივე თქმით, აუცილებელია 28 მარტის საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო ბარიერის შვიდიდან ხუთ პროცენტამდე დაყვანა. **"არსებული პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, საარჩევნო ბარიერის დაწევა ხელისუფლების მხრიდან გამოვლენილი ყველაზე კეთილი ნება იქნება,"** – აცხადებს ხიდაშელი. მისივე თქმით, საარჩევნო ბარიერის დაწევით კონკურენცია გაიზრდება და არჩევნებში ოპოზიციური პარტიების მონაწილეობას გაცილებით მეტი აზრი ექნება, ვიდრე შვიდპროცენტიანი ბარიერის პირობებში.

"ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" პრესკონფერენცია.

ლევან ხუციშვილის ფოტო

ბავშვთა სასადილოს ახალი გამგებლის იმედი აქვს

მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ბიუჯეტში უფასო სასადილოებისთვის თვეში 10 400 ლარია გათვალისწინებული. ეს თანხა ამჟამად ორ სასადილოზე ნაწილდება (მესამე, რემონტის გამო, დროებით დახურულია). ამის გარდა, არსებობს ბავშვთა კვების მეოთხე ცენტრიც, რომელსაც რაიონის გამგეობა თვეში 300 ლარით აფინანსებს ბიუჯეტის სხვადასხვა ხარჯიდან. ცენტრის ხელმძღვანელი ნუნუკა მჭედლიძე დაფინანსების გაზრდას ითხოვს, გამგეობა კი აცხადებს, რომ მას 300 ლარიც არ ეკუთვნის.

ნანა ქადაგიშვილი

ბავშვთა კვების ცენტრს ამჟამად მაჩაბლის ქ.№16-ში შენობის ცალი ფლიგელი უკავია. იგი დღეში 70 ბავშვზეა გათვლილი. პატარები ცენტრში კვირაში ორჯერ - ორშაბათობითა და პარასკეობით, დილის 11 საათიდან იწყებენ მისვლას, დანარჩენ დღეებში კი სადილი სახლში მიაქვთ. **"ძვირფასო ქალბატონო სანდრა, ამ სასადილოში კარგ წვნიანს გვაჭმევენ, ნუნუკა დეიდაც ძალიან კარგი ქალია. მინდა პატარა ჯინსის ჩანთა და მეგობრობის დღიური თავისი პატარა გასაღებით,"** – საქართველოს პირველი ლედისადმი მიწერილი ეს წერილი ბავშვთა სასადილოს ერთ-ერთ მუდმივ სტუმარ გოგონას ეკუთვნის. სადილის მირთმევის პორცესში პატარები ოცენებასაც ახერხებენ და სჯერათ, რომ ნუნუკა დეიდა მათ წერილებს სანდრა რულოვსს გადასცემს.

"ეს სასადილო ჩვენი შვილებისთვის დიდი შეღავათია. სხვა უფასო სასადილოებიც არის, მაგრამ იქ, ძირითადად, მოხუცები სადილობენ, ბავშვებს კი განსხვავებული კვება და გარემო სჭირდებათ," – ამბობენ მშობლები.

საბიუჯეტო-სახაზინო საწარმო "სიხარული" (ამჟამად ბავშვთა კვების ცენტრი) 1995 წელს მთაწმინდის რაიონის გამგეობის 13 მაისის გადაწყვეტილებით დაარსდა. თავიდან იგი 100 ბავშვზე იყო გათვლილი და ბიუჯეტიდან თვეში 700 ლარით ფინანსდებოდა. 2001 წელს გამგეობას გაერო-ც შეეშველა და ცენტრს პროდუქტით (ფქვილი, ლობიო, ზეთი...) ამარაგებდა. გასულ წელს გამგეობამ ცენტრს საბიუჯეტო დაფინანსება შეუწყვიტა. **"შარშანწინ უფასო სასადილოების პროგრამის განხორციელებაზე ტენდერი გამოვაცხადეთ. კონკურსზე გაიმარჯვა საქველმოქმედო ფონდმა, რომელსაც ვიქტორია მიქავა ხელმძღვანელობს. ბავშვთა კვების ცენტრი ამ ტენდერში მონაწილეობას ვერ მიიღებდა, რადგან მსგავსი ობიექტების ტენდერის მოწყობა მერიის განათლების სამსახურის პრეროგატივაა და არა გამგეობის. ამიტომაც ბავშვთა კვების ცენტრი საბიუჯეტო დაფინანსების გარეშე დარჩა,"** – განმარტავს გამგეობა. ამის მიუხედავად, ნუნუკა მჭედლიძემ ბიუჯეტიდან დაფინანსების მიღება მაინც შეძლო. **"გამგეობა ჩვენ სასადილოს მიზანმიმართულად ავიწროებდა, რადგან ტენდერში ვიკა მიქავას გამარჯვება უფრო აძლევდა ხელს; ამიტომაც დაგვტოვა დაფინანსების გარეშე, მაგრამ საკრებულოს ვთხოვე და ბიუჯეტის სხვადასხვა ხარჯიდან თვეში 300 ლარი მაინც გამომიყვეს. რა მექნა, ბავშვებს ქუჩაში ხომ არ გავყრიდი. საბიუჯეტო დაფინანსების შეწყვეტისთანავე გაერო-ს დახმარების პროგრამაც შეჩერდებოდა, რადგან ხელშეკრულება საბიუჯეტო თანადაფინანსებას ითვალისწინებდა,"** – ამბობს მჭედლიძე. **"წესით, ბავშვთა კვების ცენტრი საბიუჯეტო დაფინანსებას საერთოდ აღარ უნდა იღებდეს, რადგან ბიუჯეტიდან ტენდერში გამარჯვებული ფონდი ფინანსდება, მაგრამ ყოფილმა გამგებელმა ცენტრის ხელმძღვანელის თხოვნა გაითვალისწინა; ის კი, მადლობის მაგიერ, პრეტენზიებს გამოთქვამს,"** – აცხადებენ გამგეობაში.

ბავშვთა კვების ცენტრის ხელმძღვანელი ფარ-ხმალს მაინც არ ყრის და მთაწმინდა-კრწანისის რაიონის ახალი გამგებლის დახმარების იმედი აქვს.

ორი სიტყვით

თბილისი. მართლმადიდებლურ სამყაროში გუშინ მძიმე მარხვა დაიწყო. აღდგომის მარხვაში ტარდება პირველშეწირულის ნირვები და იკითხება ანდრია კრიტელის კანონი. თევზის მიღება მხოლოდ ბზობას და ბზობის წინა დღეს – ლაზარეს შაბათს შეიძლება. მარხვის პირველ და ბოლო კვირას მორწმუნეებმა უზეთო საკვები უნდა მიირთვან. მძიმე მარხვა 11 აპრილს, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე დასრულდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერიაში სტრუქტურული რეორგანიზაცია იწყება. სავარაუდოდ, გაერთიანდება კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტები, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ტურიზმის, ასევე - კეთილმოწყობის, საქალაქო მეურნეობისა და ენერგეტიკის სამსახურები. თბილისის მერის განცხადებით, ამ პროცესს თანამშრომელთა 30-40 პროცენტით შემცირება მოჰყვება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. თბილისის მერის ვანო ზოდელავას განცხადებით, ოფიციალურად, თბილისში ყოველდღიურად 1700 საქალაქთაშორისო სამარშრუტო ტაქსი შემოდის, არაოფიციალურად - კიდევ ერთი ამდენი. ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის ოთარ ჭიპაშვილის განცხადებით, ქალაქის მერია ამ ტრანსპორტის მარშრუტის შეცვლას გეგმავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქალაქთაშორისო და საგარეუბნო მარშრუტების მოძრაობის მოწესრიგება თბილისიდან იწყება. საავტომობილო ტრანსპორტის ადმინისტრაციის ცნობით, ამ სახის ტრანსპორტისთვის, კანონით, აკრძალულია ქალაქის ცენტრალური ქუჩებით მოძრაობა, თუმცა ეს წესი დღემდე ირღვევა, რაც გზების გადატვირთვას იწვევს. ადმინისტრაციის თანამშრომლებმა ფართომასშტაბიანი რეიდები უკვე დაიწყეს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოში სექსუალური გზით გადამდები დაავადებებისა და ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსის პრევენციის პროექტის ფარგლებში თბილისსა და ბათუმში მაღალი რისკის ჯგუფებთან გაცნობითი მუშაობა ჩატარდა. პროექტი, ძირითადად, მეძავებზე, ინტრავენურ ნარკომანებზე, მათ პარტნიორებზე და ჰომოსექსუალებზეა ფოკუსირებული. **ინტერ-პრესი**

დიალოგი, რომელიც არ შედგა

გუშინ სტუდენტური მოძრაობა "თავისუფალი აჭარისათვის" ბოლო დღეებში აჭარაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით საპროტესტო აქციის გამართვას აპირებდა. მსვლელობა, რომელსაც უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან გეგმავდნენ, აჭარის წარმომადგენლობასთან უნდა დასრულებულიყო. ცოტა ხანში პრესას აუხსნეს, რომ ხსენებულ სტუდენტურ ორგანიზაციასთან დიალოგის სურვილი აჭარიდან ჩამოსულმა სტუდენტებმა გამოთქვეს. შუამავლის როლს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ნეიტრალური სტუდენტები" ასრულებდნენ. თუმცა, მოგვიანებით გაირკვა, რომ მათ უკან "აღორძინება" იდგა. სტუდენტებს შორის მყოფი ერთ-ერთი პიროვნება, რომლის "არასტუდენტური ასაკითაც" "24 საათი" დაინტერესდა, "აღორძინების" თბილისის ორგანიზაციის წარმომადგენელი ზურაბ ხიდეშელი აღმოჩნდა. ბატონი ზურაბი გამოგვიტყდა, რომ მათი ორგანიზაცია ღონისძიების ინიციატორი იყო. აჭარის თბილისის ორგანიზაციის პრესსამსახურის წარმომადგენელმა თავი უფრო შორს დაიჭირა. მან აგვიხსნა, რომ გზამკვლევის როლს ასრულებდა: **"უბრალოდ, ბათუმელმა სტუდენტებმა არ იცოდნენ, სად უნდა მოსულიყვნენ და უნივერსიტეტში გამოვყევით".**

ბათუმიდან ჩამოსულმა სტუდენტებმა ცენტრალური მასმედია ტენდენციურობაში დაადანაშაულეს და ასლან აბაშიძის ხელისუფლების დაცვა სცადეს. მოძრაობა "თავისუფალი აჭარისათვის" წარმომადგენლებმა მათ სთხოვეს, რომ "ისტორიული ექსკურსისა" და ზოგადი ფრაზებისთვის თავი დაენებებინათ და კონკრეტული შეკითხვებისთვის გაეცათ პასუხი. სტუდენტებმა საერთო ენის გამონახვა ვერ შეძლეს. **"კარგი მასპინძლობა ვერ გცოდნიათ",** - ამგვარი განწყობილებით დატოვეს ბათუმელებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აუდიტორია. **"მასპინძელი ჩვენ კი არა, "აღორძინება" იყო,"** - გაკვირვებას ვერ ფარავდნენ სტუდენტური მოძრაობის "თავისუფალი აჭარისათვის" წევრები.

სტუდენტების საპროტესტო აქცია უნივერსიტეტთან.

თეიმურ ხუციშვილის ფოტო

24 საათი

კაბელები - განაცხადი ფასებზე

საქართველოსადმი ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ გაწეული დახმარების ფარგლებში გაერთიანებულ სადისტრიბუციო ენერგოკომპანიას ესაჭიროება კაბელები. წინამდებარე ფასზე მოთხოვნის მიზანია დენის და ძაბვის ტრანსფორმატორების და ასევე დამხმარე კაბელების შესაძენად კვალიფიციური მიმწოდებლებისგან ფასების ჩამონათვალის მოთხოვნა. ფი-ეი გოვერნმენთ სერვისი განიხილავს ამ შესყიდვებისათვის საკონკურსო მტკიცე ფასის კონტრაქტის გაფორმებას.

მოთხოვნების შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 5 მარტი 17:00 საათი, მისამართი: ლესელიძის ქ. N44 I, ფი-ეი გოვერნმენთ სერვისის მთავარი ოფისი. განაცხადი შემოტანილ უნდა იქნეს ორ ცალად ქრისტეფორ ტომასის სახელზე. მოთხოვნას ხელი უნდა მოაწეროს და კომპანიის ბეჭედი დაუსვას კომპანიის უფლებამოსილმა წარმომადგენელმა

ფასზე მოთხოვნის განაცხადის მისაღებად გთხოვთ დაუკავშირდეთ ქრისტოფერ ტომასს:
ტელ: 995 (32) 921 486
ელ ფოსტა: Christopher.Thomas@paconsulting.com

Cables - Request For Quotations

As part of the assistance program from the U.S. Agency for International Development (USAID) in Georgia, cables are needed for the United Electric Distribution Company, Georgia (UDC). The purpose of this Request For Quotations (RFQ) is to solicit quotes from qualified suppliers for the purchase of CT, VT, and auxiliary cables. PA Government Services is considering a competitive Firm Fixed Price (FFP) contract award for this acquisition.

Quotations are due on Friday, March 5, 2004 at PA's Tbilisi office at 44-i Leselidze Street, by 1700 hours local time. Bidder should submit two copies of the complete quotation made to the attention of Mr. Christopher Thomas. Quotations shall be signed by an authorized company officer, and shall bear the company seal.

Please contact Christopher Thomas, Contracts Manager, for a copy of the RFQ:
Telephone : +995 (32) 921 486
Email: Christopher.Thomas@paconsulting.com

ახალგაზრდების "აპოლიტიკური" შეხვედრები

ზაზა ფაჩუაშვილი

გუშინ თბილისში მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა ქართველი ახალგაზრდების "აპოლიტიკური" შეხვედრები, რომელშიც აჭარელი სტუმრები და თბილისელი მასპინძლები მონაწილეობდნენ.

ბათუმიდან სულ 12 სტუდენტი ჩამოვიდა. მათ შორის იყვნენ აჭარის ახალგაზრდული დეპარტამენტის, "ერთიანი აჭარის" და ახალგაზრდული პარლამენტის წარმომადგენლები.

ისინი ჩამოვიდნენ ერთი მიზნით - გამოეთქვათ საჯარო და ხმამაღალი პროტესტი მასმედიის მიმართ, რომელიც, მათი თქმით, სრულიად არაობიექტურად აშუქებს აჭარაში განვითარებულ მოვლენებს.

ბათუმელმა მეგობრებმა მიზნის განხორციელება "დემოკრატიული აღორძინების კავშირის" თბილისის ორგანიზაციის ოფისიდან დაიწყეს, სადაც მათი პრესკონფერენცია გაიმართა.

პრესკონფერენცია მასმედიის კრიტიკას მიეძღვნა და საქმე იქამდე მივიდა, რომ აჭარაში განვითარებული მოვლენები მთლიანად მასმედიას დაბრალდა. ბათუმელი ახალგაზრდების თქმით, რეგიონის მიმართ მიმდინარეობს ინფორმაციული ომი, რაც უკიდურესად აღიზიანებს აჭარის მოსახლეობას და აგრესიის პროვოცირებას იწვევს.

"აჭარაში არ ხდება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, ეს ხდება დანარჩენ საქართველოში," - განაცხადა ერთ-ერთმა გამომსვლელმა სულხან ხაბაძემ.

ასეთი განცხადებები კეთდებოდა "აპოლიტიკურობის" დეკლარირების ფონზე.

"ერთიანი აჭარის" და ახალგაზრდული პარლამენტის წარმომადგენლები.

ლევან ხუციშვილის ფოტო

უზენაეს სასამართლოში ევროპელი მოსამართლეები მოწმეებს დაკითხავენ

გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, უზენაეს სასამართლოში მიმდინარე დახურულ სხდომაზე ევროსასამართლოს მოსამართლეები იმ მოწმეებს ჰკითხავდნენ, რომლებიც საქართველო-რუსეთის საზღვრის დარღვევისა და იარაღის უკანონოდ ტარების ბრალდებით ქართული კანონმდებლობის მიხედვით გასამართლებული ჩეჩნების საქმესთან არიან დაკავშირებულნი. საქართველოს წინა ხელისუფლების მოთხოვნით რამდენჯერმე გადადებული სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დამცველი სასამართლოს სპეციალური მისიის ვიზიტი საქართველოში, ბოლოს და ბოლოს, შედგა.

საქართველოს მიერ რუსეთისთვის გადაცემულ ჩეჩენ პატიმართა განაჩენი ჯერ კანონიერ ძალაში არ შესულა.

ხათუნა ჯანგირაშვილი

ევროპელი მოსამართლეების დელეგაცია თბილისს ორი დღის წინ ეწვია. სამდღიანი მუშაობის შემდეგ ევრომოსამართლეები საქართველოს დატოვებენ. სავარაუდოდ, ევროსასამართლოს მისია საქართველოდან რუსეთის ფედერაციაში გადაინაცვლებს იმ ხუთი ჩეჩენი პატიმრის მოსანახულებლად და დასაკითხად, რომლებიც საქართველოს წინა ხელისუფლებამ რუსულ მხარეს გადასცა და რომლებსაც სტავროპოლის სასამართლომ რამდენიმე დღის წინ უკვე გამოუტანა განაჩენი. საქართველოსა და რუსეთში ვიზიტისას ევროპელი მოსამართლეები გირევის საგუშაგოზე წელიწადნახევრის წინ დაკავებული ჩეჩნების საქმესთან დაკავშირებულ ფაქტობრივ გარემოებებს გამოიკვლევენ და საქმეში მონაწილე ყველა წარმომადგენელს დაკითხავენ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოსა და რუსეთში სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლეთა ვიზიტი მას შემდეგ დაიგეგმა, რაც ევროსასამართლომ წარმოებაში მიიღო ქართველი ადვოკატების, არასამთავრობო ორგანიზაციის "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წევრების სარჩელი – "შამაევი და 13 სხვა რუსეთ-საქართველოს წინააღმდეგ" და ევროპელმა მოსამართლეებმა ერთხმად აღიარეს, რომ "ეს ურთულესი და პრეცედენტული საქმეა, რომელსაც დეტალური შესწავლა სჭირდება". იმასაც შეგახსენებთ, რომ სტრასბურგის ადამიანის უფლებების დაცვის სასამართლოს ისტორიაში ეს გახლავთ პირველი შემთხვევა, როცა ევროპელი მოსამართლეები კერძო პირების მიერ ერთდროულად ორი სახელმწიფოს წინააღმდეგ დაწერილ სარჩელებს განიხილავენ.

უზენაეს სასამართლოში გამართულ გუშინდელ დახურულ სხდომას, რომელზეც ჩეჩენი პატიმრების მხარე დაიკითხა, ქართველი მოსამართლეები არ ესწრებოდნენ. სასამართლოს სხდომას სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დაცვის საგამოძიებო უწყების 10-მდე წარმომადგენელი, ჩეჩენთა ადვოკატები და საქმეში მესამე მხარის - რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა სამართალდამცავი უწყების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. გუშინდელი დაკითხვების შინაარსი, ევროსასამართლოს პროცედურებიდან გამომდინარე, კონფიდენციალურია. დახურული სხდომიდან გამოსულებს არ ჰქონდათ უფლება, გაემჟღავნებინათ ის, თუ რა ხდებოდა რამდენიმე საათიან დახურულ სხდომაზე და რა კითხვებს სვამდნენ უცხოელი მოსამართლეები.

ჩვენი ინფორმაციით, დღეს დაიკითხება გენერალური პროკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი პაატა მსხილაძე, რომელიც ჩეჩენი პატიმრების სასამართლო პროცესზე პროკურორის სტატუსით იყო წარმოდგენილი. მსხილაძის გარდა, ევროპელი მოსამართლეები ცალ-ცალკე დაკითხავენ გენერალური პრკურატურის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების სხვა თანამშრომლებსაც. როგორც "24 საათისთვის" გახდა ცნობილი, სტრასბურგის მისიის მიერ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა მოუწევს ამჟამად უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ახალ მოსამართლეს, ყოფილ გენერალურ პროკურორს ნუგზარ გაბრიჩიძეს, რომლის უწყებაც რუსეთის გენერალური პროკურატურის კატეგორიული მოთხოვნის (ჩეჩენი პატიმრების რუსეთში ექსტრადიცია) დაკმაყოფილებას ცდილობდა. რამდენად აკმაყოფილებდა საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და საერთაშორისო ნორმებს ჩეჩენი პატიმრების რუსეთში ექსტრადირების თაობაზე გენერალური პროკურატურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება? ეს იქნება ის ძირითადი შეკითხვა, რაზეც გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებმა უნდა უპასუხონ უცხოელ მოსამართლეებს.

ერთი სიტყვით, ევროსასამართლოს მისია საქართველოსა და რუსეთში თავად მოიკვლევს მასალებს და სისხლის სამართლის საქმეზე – "შამაევი და 13 სხვა რუსეთ-საქართველოს წინააღმდეგ" – რამდენიმე თვეში განაჩენს სტრასბურგში გამოიტანს.

რაც შეეხება იმ ხუთ ჩეჩენს, რომელიც გირევის საგუშაგოზე დაკავებიდან რამდენიმე დღეში, ევროსასამართლოს რეკომენდაციის მიღებამდე რამდენიმე საათით ადრე ქართულმა მხარემ ისე გადასცა რუსეთს, რომ ადვოკატებმა ვერანაირი პროცესუალური ქმედების განხორციელება ვერ მოასწრეს: ჩვენი ინფორმაციით, სტავროპოლის სასამართლომ ხუთიდან ორს ტერორიზმისა და ბანდიტიზმის ბრალდებები მოუხსნა და ორივე მათგანს წელიწადნახევრიანი პატიმრობა მიუსაჯა. 5, 8 და ცხრა წელი – ასე განსაზღვრა სტავროპოლის სასამართლომ დანარჩენი სამი ჩეჩენი პატიმრის სასჯელის ზომა. საქართველოს მიერ რუსეთისთვის გადაცემულ ჩეჩენ პატიმართა განაჩენი, ჩვენი ინფორმაციით, ჯერ არ შესულა კანონიერ ძალაში.

რაც ყველაზე მთავარია, ევროსასამართლოს მისიის მიერ დასაკითხთა სიაში არიან ყოფილი ჩეჩენი პატიმრები - ალხანოვი და მულკოევი, რომლებიც სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლების შემდეგ, რამდენიმე დღეში გაუჩინარდნენ. ჯერ კიდევ არაფერია ცნობილი მათი ადგილსამყოფელის შესახებ. დაკარგულთა ახლობლებისა და ადვოკატების ეჭვებს, რომ ისინი უკვე რუსეთს გადასცეს, გენერალურ პროკურატურაში არ ეთანხმებიან.

წელიწადნახევრიანი პატიმრობის შემდეგ გამართლებული, სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლებული და მოგვიანებით დაკარგული ჩეჩნების საპოვნელად სამართალდამცველებმა პრეზიდენტისა და უშიშროების საბჭოს სპეციალური დავალება მიიღეს. სამართალდამცველებს მათი ადგილსამყოფელის დასადგენად პრეზიდენტმა ერთკვირიანი ვადა მისცა. ეს ვადა ევრომისიის საქართველოში ყოფნისას იწურება.

"მომხდარის გამო საქართველოს სამართლებრივად გარკვეული სანქციები დაეკისრება, რადგან ადამიანის გაუჩინარება ევროკონვენციის დარღვევაა, რაც ადამიანის სიცოცხლის ხელყოფას ნიშნავს", - აცხადებენ "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წევრები. მათივე განმარტებით, სახელმწიფოს სანქცია შედეგის მიხედვით დაეკისრება.

გამართლებულ-გათავისუფლებული ჩეჩნების უგზო-უკვლოდ დაკარგვის თაობაზე სტრასბურგის ადამიანის უფლებათა დამცველი სასამართლოს სპეციალური მისია, რომელიც სამი დღის განმავლობაში უზენაეს სასამართლოში, დახურულ სხდომებზე დაკითხვებს განახორციელებს, უკვე ინფორმირებულია.

რა კითხვები აწუხებს გენპროკურატურას მიხეილ მაჭავარიანის მისამართით

გენპროკურატურაში აღძრულ გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით, გენერალურმა პროკურორმა ირაკლი ოქრუაშვილმა ბევრჯერ გააკეთა მინიშნება – ეს საქმეები მაღალი თანამდებობის პირებამდე მიდის და არავის დანდობას არ ვაპირებთო. მინიშნებულ მაღალჩინოსანთა ნაწილი დღეს უკვე საპყრობილეშია, მაგრამ, როგორც ჩანს, დაპატიმრებები ამით არ ამოწურულა...

თამარ კაკიტაძე

"გაერთიანებული დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერის, საგადასახადო და შემოსავლების ყოფილი მინისტრის მიხეილ მაჭავარიანის გვარმა გენერალური პროკურორის მხრიდან "ომეგას" საქმესთან დაკავშირებით გაიჟღერა.

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ მიხეილ მაჭავარიანს საგადასახადო და შემოსავლების მინისტრობა პირველად საგადასახადო დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის ვახტანგ ჩახნაშვილის დაპატიმრებისას გაახსენეს.

გამოძიებამ ჩახნაშვილს მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის ხელმძღვანელობის პერიოდში აღძრული საქმე გაუხსენა და ბრალი თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში წაუყენა. გენერალურმა პროკურორმა პირველი მინიშნება მაჭავარიანზე სწორედ მაშინ გააკეთა: **"იმ დროს საგადასახადო და შემოსავლების მინისტრის თანამდებობაზე მიხეილ მაჭავარიანი მუშაობდა,"** – თქვა ირაკლი ოქრუაშვილმა. თუმცა, ნათქვამს მაშინ რეალური ქმედება არ მოჰყოლია და მაჭავარიანი დღემდე პროკურატურაში ახსნა-განმარტების მისაცემადაც არავის დაუბარებია.

მას შემდეგ თითქმის ერთი თვე გავიდა. გუშინ ერთ-ერთ ინტერვიუში გენერალურმა პროკურორმა მაჭავარიანის მინისტრობა განმეორებით გაიხსენა, ამჯერად, ფირმა "ომეგას" მიმართ აღძრულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

"ეს ეხება პერიოდს, როდესაც ძველი აქციზური მარკები ახლით შეიცვალა. ამ დროს საგადასახადო და შემოსავლების მინისტრი მიხეილ მაჭავარიანი იყო, - ამბობს გენპროკურორი და დასძენს, - **არ მინდა დაკონკრეტება, მაგრამ აქ თანამდებობრივი დანაშაული იკვეთება."**

დაკონკრეტებისგან ოქრუაშვილი თავს, ალბათ, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე იკავებს. აქედან გამომდინარე, საზოგადოებისთვის გაუგებარი რჩება, რა კავშირში შეიძლება იყოს საგადასახადო და შემოსავლების ყოფილი მინისტრი ფირმა "ომეგასთან".

სამაგიეროდ, გენერალური პროკურორისგან განსხვავებით, ამ საკითხზე უფრო თავისუფლად საუბრობს თავად მიხეილ მაჭავარიანი.

"ომეგასთან" დაკავშირებით ერთი წლის წინ უშიშროების სამინისტრომ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. შევარდნაძის ხელისუფლება ცდილობდა, არჩევნების წინ იგი ჩემს წინააღმდეგ გამოეყენებინა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. როგორც ჩანს, ეს საქმე დღეს გენერალურ პროკურორთან არის მისული. ირაკლი ოქრუაშვილმა თქვა, რომ იგი ჩემი მინისტრობის პერიოდს ეხება, რაც სიმართლეა. გამოიძიონ და ნახონ. მე თვითონ ვარ დაინტერესებული, რომ გამოძიება ბოლომდე მივიდეს და უშიშროების სამინისტროს იმ მაღალჩინოსნებს პასუხი მოვთხოვო, რომლებიც ჩემს წინააღმდეგ უამრავ სიბინძურეს ავრცელებდნენ," - განაცხადა ჩვენთან საუბარში მიხეილ მაჭავარიანმა.

მაჭავარიანის თქმით, საქმე "ომეგას" მხრიდან აქციზური მარკების გამოცვლას ეხება.

"ახლა დასმულია კითხვა - ის აქციზური მარკები, რომელიც "ომეგამ" ჩააბარა, ყალბი ხომ არ არის? მადლობა ღმერთს, რომ ისინი ბანკშია შენახული. როგორც ვიცი, ექსპერტების დასკვნები არსებობს და ყველაფერს გაარკვევენ. ეს ჩემს ინტერესშიც შედის. მინისტრი თვითონ ხომ არ დარბოდა გადასახადებზე და აქციზებს თვითონ ხომ არ ამოწმებდა? არსებობენ პასუხისმგებელი კონკრეტული პირები. ყველაფერზე პასუხი მაჭავარიანს შეიძლება მოსთხოვო?" – კითხულობს ყოფილი მინისტრი და გამოძიებასთან თანამშრომლობაზე მზადყოფნას გამოთქვამს.

"ჯერჯერობით, ჩემთან არავინ მოსულა. მაგრამ მე მზად ვარ, ყველა კითხვას ვუპასუხო, რადგან ვთლი, რომ ეს გამოძიება სამართლეს დაადგენს, წინა ხელისუფლების გამოძიება კი პოლიტიკური დაკვეთა იყო. აბსოლუტურად ყველა კითხვას გავცემ პასუხს, რომ მტყუან-მართალი გავარკვიოთ," – ამბობს მიხეილ მაჭავარიანი.

სხვათა შორის, ჩვენი ინფორმაციით, გამოძიება "ომეგას" 250 ათასი ლარის კონტრაბანდას ედავება. აქედან 50 ათასი ლარის საქონელი მაჭავარიანის მინისტრობის პერიოდს უკავშირდება, 200 ათასი კი - მომდევნო მინისტრს, მაგრამ მისი გვარი, ჯერჯერობით, ხმამაღლა არ დასახელებულა.

და კიდევ ერთი: ფირმა "ომეგას" კონტრაბანდასთან დაკავშირებით, პირველად, სისხლის სამართლის საქმე საგადასახადო და შემოსავლების სამინისტროს საფინანსო ლეგიონმა სწორედ მაჭავარიანის მინისტრობის პერიოდში აღძრა. დაკავებული იყო კონტრაბანდით დატვირთული 11 მანქანა, რომელიც თითქოსდა თურქმენეთში მიდიოდა, მაგრამ ეს საქმე მაშინ გენერალურ პროკურატურაში განადგურდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, რა დამოკიდებულება ჰქონდა მინისტრობის პერიოდში მაჭავარიანს ფირმა "ომეგასთან".

ზურაბ ლობჟანიძეს შვეიცარიელი სამართალდამცველები ზედამხედველობენ

რამდენიმე დღის წინ გენერალური პროკურორის მიერ გაკეთებული ხმაურიანი განცხადება "მადნეულის" გენერალური დირექტორის ზურაბ ლობჟანიძის დაკავებასთან დაკავშირებით, მოგვიანებით, არ დადასტურდა. ირაკლი ოქრუაშვილი ტექნიკური უზუსტობის გამო შეცდა. საქმე ისაა, რომ შვეიცარიიდან მოსული შეტყობინების შინაარსი გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებს არასწორად უთარგმნეს. შესაბამისად, გენერალურ პროკურორს ინტერპოლის მესიჯი ერთი დეტალის ხარვეზით მიაწოდეს. თუმცა, ეს შეცდომა ზურაბ ლობჟანიძის საქმეზე არსებულ სამართლებრივ სიტუაციას დიდად არ ცვლის.

ინგა ალავიძე

ზურაბ ლობჟანიძის საერთაშორისო ძებნა შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტმა 6 თებერვალს გამოაცხადა. შვეიცარიის ინტერპოლმა მისი ადგილსამყოფელი დაადგინა და ქართველ კოლეგებს აცნობა. თანაც, "მადნეულის" გენერალური დირექტორის ექსტრადიციისთვის საჭირო ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები და საქმის სხვა მასალები მოითხოვა. ზურაბ ლობჟანიძის დაკავება შვეიცარიის ინტერპოლმა მათი კანონმდებლობის საფუძველზე ვერ განახორციელა. საქმე ისაა, რომ ქართველი სამართალდამცველების მიერ ძებნილ, "მადნეულის" გენერალურ დირექტორს შვეიცარიაში, ქალაქ ბერნში, მუდმივი საცხოვრებელი ადგილი გააჩნია და მოქალაქეობის სტატუსის მიხედვით ზუსტად იგივე უფლებებით სარგებლობს, რომლითაც შვეიცარიის მოქალაქეები. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ზურაბ ლობჟანიძეს სამართლებრივი პრობლემები არ აქვს. მისი ძებნის შესახებ ინფორმაცია უცხოელ სამართალდამცველებს უკვე მოეპოვებათ და სხვა ქვეყანაში გადაადგილებისას მას დაუყოვნებლივ დააკავებენ. ანუ, მას შვეიცარელი კანონდამცველები, ფაქტობრივად, ზედამხედველობენ. ეს შეზღუდვა გაგრძელდება მანამ, სანამ შვეიცარიის სასამართლო ლობჟანიძის ექსტრადიციასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას არ გამოიტანს.

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ შვეიცარიის იუსტიციის სამინისტროს შაბათს დილით ექსპრესფოსტით უკვე გაუგზავნა "მადნეულის" გენერალური დირექტორის ბრალდების დამადასტურებელი მასალა. მასალის მიღებიდან 40 დღის ვადაში ბერნის სასამართლომ უნდა გამოიტანოს განაჩენი, რომლის მიხედვითაც გადაწყდება, მოხდება თუ არა ლობჟანიძის საქართველოში ექსტრადიცია.

იმ შემთხვევაში, თუ შვეიცარიის სასამართლო საქართველოდან გაგზავნილ მტკიცებულებებს სამართლებრივად სრულყოფილად არ მიიჩნევს, ქართველი სამართალდამცველების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებული, ყოფილი გენერალური დირექტორი ხელშეუხებლობის განტიციის სამინისტროს შაბათს დილით ექსპრესფოსტით უკვე გაუგზავნა "მადნეულის" გენერალური დირექტორის ბრალდების დამადასტურებელი მასალა. მასალის მიღებიდან 40 დღის ვადაში ბერნის სასამართლომ უნდა გამოიტანოს განაჩენი, რომლის მიხედვითაც გადაწყდება, მოხდება თუ არა ლობჟანიძის საქართველოში ექსტრადიცია.

იმ შემთხვევაში, თუ შვეიცარიის სასამართლო საქართველოდან გაგზავნილ მტკიცებულებებს სამართლებრივად სრულყოფილად არ მიიჩნევს, ქართველი სამართალდამცველების მიერ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაში ბრალდებული, ყოფილი გენერალური დირექტორი ხელშეუხებლობის განრანტიას მიიღებს, ანუ, მისი თბილისში ექსტრადიცია არ მოხდება.

ზურაბ ლობჟანიძის ადვოკატი შალვა შავგულიძე გამოძიებას პრეტენზიებს უყენებს და აცხადებს, რომ გამოძიება 5 დღის განმავლობაში მალავდა ზურაბ ლობჟანიძის ბრალდებულად ცნობისა და მისი სახლის ჩხრეკის ორდერის გაცემის ფაქტს და მისთვის ამ საგამოძიებო მოქმედებების შესახებ ინფორმაცია არ მიუწოდებია.

შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტის განყოფილების უფროსი ზაზა ყულოშვილი ადვოკატის განცხადებას კატეგორიულად არ ეთანხმება. **"ჩვენ კანონის სრული დაცვით ვმუშაობთ, როგორ მივაწოდებდით ადვოკატს ინფორმაციას, როცა მან დაცვის ორდერი რამდენიმე დღის წინ წარმოგვიდგინა. მაშინ, როდესაც მოსამართლემ დაპატიმრებისა და სახლის ჩხრეკის ბრძანება გასცა, ადვოკატს ორდერი წარმოდგენილი არ ჰქონდა და ამ ყველაფრის შესახებ ტელევიზიით ვერ გამოვაცხადებდით. ლობჟანიძის სახლი ერთხელ გავჩხრიკეთ, თანაც, მოსამართლის ნებართვის საფუძველზე და კანონის სრული დაცვით. ამიტომაც, გავრცელებული ინფორმაცია, რომ სახლის გაჩხრეკის მცდელობა ადრეც გვქონდა, მაგრამ სახლში ადვოკატებმა და ოჯახის წევრებმა არ შეგვიშვეს, არასწორია,** " – ჩვენთან საუბრისას განაცხადა ზაზა ყულოშვილმა, რომლის ინფორმაციით, "მადნეულის" ყოფილ გენერალურ დირექტორს შსს-მ ბრალი ოთხ თებერვალს წაუყენა. ხუთ თებერვალს მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოს ლობჟანიძისთვის აღმკვეთი ღონისძიების – წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შესახებ შუამდგომლობით მიმართა და მისი სახლის ჩხრეკის ნებართვაც მოითხოვა, რაც სასამართლომ დააკმაყოფილა. ექვს თებერვალს შსს-მ ზურაბ ლობჟანიძის ძებნა გამოაცხადა და ამის თაობაზე შეტყობინება ინტერპოლსაც გადასცა, რის შემდეგაც დადგინდა ლობჟანიძის ადგილსამყოფელი შვეიცარიაში.

ზაზა ყულოშვილის განცხადებით, ზურაბ ლობჟანიძის საქმის გამოძიება გრძელდება და ყოფილი გენერალური დირექტორისთვის წაყენებულ მუხლს, რომლის მიხედვითაც, მან საწარმო 13 მილიონით აზარალა, შესაძლოა, კიდევ ახალი ბრალდება დაემატოს.

შეტაკება კრიმინალებს შორის

გუშინ, ზუგდიდის რაიონის სოფელ ცაცხვში, ათი წუთის განმავლობაში განუწყვეტელი სროლის ხმა ისმოდა. სროლის შედეგად მოკლულია ცნობილი კრიმინალი, როგორც სამართალდამცველები ამბობენ, საერთაშორისო ძებნილი გოჩა სორდია, რომელსაც პოლიცია კარგა ხნის განმავლობაში ეძებდა.

ხათუნა ჯანგირაშვილი

საქმე ისაა, რომ მიკროავტობუსს, რომლის მგზავრებიც ზუგდიდი-თბილისის მატარებელს უცდიდნენ და რომელთა შორის გოჩა სორდიაც იმყოფებოდა, დაყაჩაღების მიზნით ორი შეიარაღებული, ნიღბიანი პირი დაესხა თავს. თავდამსხმელებმა მგზავრებს მიკროავტობუსიდან ჩამოსვლა უბრძანეს. ნიღბიანთა ამ ბრძანებას არ დაემორჩილა გოჩა სორდია და თავდამსხმელებს გაეცნო, როგორც ყველასთვის ცნობილი კრიმინალი. ბრძანების შეუსრულებლობის გამო გოჩა სორდიაზე განაწყენებულ ნიღბიანებსა და თავად სორდიას შორის შელაპარაკება მოხდა. სორდიამ მოულოდნელად ავტომატიდან მათ ცეცხლი გაუხსნა, რასაც თავდამსხმელთა მხრიდან საპასუხო სროლა მოჰყვა. ყველაფერი კი იმით დასრულდა, რომ ორმხრივი სროლისას მძიმედ დაჭრილი სორდია ადგილზევე გარდაიცვალა. მძიმედ დაიჭრა ნიღბიან თავდამსხმელთაგან ერთ-ერთი, რომლის გადარჩენაც შეუძლებელი გახდა. მეორე თავდამსხმელმა კი მიმალვა მოახერხა. ორმხრივი სროლისას არანაირი დაზიანება არ მიუღიათ მიკროავტობუსის მგზავრებსა და მძღოლს. ისინი გუშინ, მთელი დღის განმავლობაში, ზუგდიდის პროკურატურაში იკითხებოდნენ. რაც შეეხება მკვლელობის ადგილიდან გაუჩინარებულ მეორე შეიარაღებულ თავდამსხმელს, ზუგდიდელი სამართალდამცველები მეორე დღეა, მას უშედეგოდ ეძებენ.

დაკითხულ მგზავრთა ჩვენებებიდან ირკვევა, რომ გოჩა სორდიამ მიკროავტობუსი ერთ-ერთ სოფელთან გააჩერა და მგზავრებს სოფელ ცაცხვამდე გაჰყვა, სადაც ისინი ზუგდიდი-თბილისის მატარებელს უცდიდნენ, რათა დედაქალაქში გამომგზავრებულიყვნენ. აპირებდა თუ არა სორდია თბილისში გამომგზავრებას, ამის შესახებ არავინ არაფერი იცის.

ჩვენი ინფორმაციით, ძებნილი გოჩა სორდია ზუგდიდის რაიონის მოსახლეობას შიშის ზარს სცემდა – აყაჩაღებდა, ძარცვავდა და თან აცხადებდა, რომ ვერავინ ვერაფერს დააკლებდა, რადგან ის პოლიციასთან იყო შეკრული.

"სორდიას კარგა ხანია ვეძებთ. ის დაბალი ზონის სოფლების დამტერორებლად ითვლებოდა და აფხაზ კრიმინალებთანაც ჰქონდა კავშირი. ძირითადად, ენგურს იქით იმალებოდა. ზუგდიდში გადმოსული კი მიადგებოდა ნებისმიერ ოჯახს და ოჯახის წევრებს იძულებულს ხდიდა, შეეფარებინათ და დაემალათ. მისი ადგილსამყოფელის შესახებ ინფორმაცია მოსახლეობას პოლიციამდე არ მოჰქონდა. ამის მიზეზი ის მეთოდი გახლდათ, რასაც სორდია იყენებდა. იმ ოჯახის წევრებს, სადაც ის იმალებოდა, აშინებდა, თანაც არწმუნებდა, რომ სამართალდამცველებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა და მას დაკავების საშიშროება მაინც არ დაემუქრებოდა.

სორდიას მკვლელობის ბრალდებით უკვე მოხდილი ჰქონდა ოცწლიანი სასჯელი. მან ციხიდან გამოსვლის შემდეგ ყაჩაღობა-ძარცვის სერიალით გაითქვა სახელი. ყოველთვის ხელყუმბარითა და ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით აღჭურვილი დადიოდა, ზუგდიდელები მის "ჩაშვებას", ვერ ბედავდნენ," - განაცხადა ჩვენთან საუბრისას ზუგდიდის პოლიციის უფროსმა კახა რაფავამ.

რაც შეეხება გოჩა სორდიას მიერ სასიკვდილოდ დაჭრილ ნიღბიან თავდამსხმელს, მისი ვინაობა სამართალდამცველებმა გუშინ გვიან დაადგინეს. ის აფხაზეთიდან ლტოლვილი მანუჩარ დგებუაძეა. სამართალდამცველებს ეჭვი აქვთ, რომ მანუჩარ დგებუაძე ზუგდიდის რაიონში "მოღვაწე" ერთ-ერთი კრიმინალური დაჯგუფების წევრია.

ცხოვრება

უსტაბაში
ირაკლი ბერიაშვილი

სიგარეტა, სიგარეტა...

ისევ ისინი არიან. დიდი მიპატიჟება არ სჭირდებათ – უცბად მოგროვდებიან ხოლმე. თავს ოპოზიციას ეძახიან და არიან კიდეც. როგორც თვითონ ამბობენ და ასეც ჩანს, ამჯერად ლუბამ, სიგარეტის კანონიერმა ბიზნესმა და კუბომ გააერთიანათ.

დიდი ამბები ხდება საქართველოში. ბათუმში ნაადრევად დათბა და, ეტყობა, აბაშიძეს საზაფხულო სეზონის გახსნამდე დაიჭერენ ყურებით. ჯოხთაბერიძეს პარიზული ვოიაჟი ჩაუშალეს. კაცმა თადარიგი დაიჭირა, ორთავ მხარეს აიღო ბილეთი, ეკონომია გააკეთა, რა! ესენი კიდევ, ვერსად ვერ გაგიშვებთო! ოქუაშვილს საკუთარ სტამბაში არ უშვებენ, გარეთ დგას და წუწუნებს: ნულიდან დავიწყე ყველაფერი, ნულიდანო. ისე, ძალიან მინდა, არ დაიჭირონ, დატოვონ თავისი პატიოსნებისა და ტალანტის ამარა და ვნახავ, როგორ მოაგროვებს კანონიერი ბიზნესით ათობით მილიონს. ტალანტს ვინ ჩივის, ჩვენში დარჩეს და, ცოტა ჭკუა რომ ეხმარა, თავიდან ძვირი კი დაუჯდებოდა, მაგრამ ამ უნიჭო ხალხის მაგივრად თავიანი ხალხი მოეგროვებინა, აღარც ტელეარხი გაუხდებოდა შესანახი, აღარც ჟურნალი და აღარც გადასახადების დამალვის ბრალდებას წაუყენებდნენ.

ლუბას არხზე მოლოდინაშვილებსა და კომპანიას ჩემი "სალაყბო" არ მოსწონთ. ამ ორიოდე დღის წინათ ისევ გამიხსენეს და ჩვენი გაზეთის პარასკევის ნომერში დაუწყიათ ჩემი ძებნა. ეგრე სად არი! ყოველდღე რომ ვწერო, ძალიან ძვირი დაუჯდება ჩემს რედაქტორს. სამშაბათობით, ძვირფასებო, სამშაბათობით. მოითმინეთ, შვიდთვიანები ხომ არა ხართ!

სულმა სული იცნო, გულმა – გული და ცოტა ხანში ტელეკომპანია "იბერია" მოვლენათა ცენტრში აღმოჩნდა. თვითონ კომპანიის ცენტრში კი, ცხადია - ლუბა. გარეთაც ერთი ამბავია. ვის არ ნახავთ აქ: როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს, ვიხილე ქართული სადეპუტატო აზრის ორი წარმომადგენელი – ოქუაშვილ-ჩხეიძის წყვილი. აქვე არიან აკაკი ასათიანი, დავით საგანელიძე, დაჩაგრულების გულმხურვალე დამცველი ნანა კაკაბაძე, ირაკლი მინდელი, ადა მარშანია, ზაქარია ქუცნაშვილი, ნუგზარ მოლოდინაშვილი, ირაკლი ბათიაშვილი, სიგარეტის გამყიდველები, კაგებეშნიკები, ყოფილი სახელისუფლებო ბლოკის ნარჩენები. სად იყო და სად არა, ირინა სარიშვილი და თაკო ჩარკვიანიც გაიჩითნენ. თითოეულ მათგანს ერთი, ერთადერთი კითხვა აწუხებს: რა ეშველება საქართველოს, ვინღა შემოიტანს შორს, დასავლეთში დაწუნებულ სიგარეტს და ვინ მოწამლავს ქვეყანას – ზაზა ოქუაშვილს, მოწაფეობის მთელი პერიოდი რადიატორთან რომ გაატარა, დაპატიმრება ემუქრება!

აი, ეგეთ გაწამაწიაში ვარ, ამდენი საქმე მაქვს და სწორედ ამ დროს, სულ რომ არ ველოდი, იმ მხრიდან მივიღე გამოწვევა. არც მეტი, არც ნაკლები, ნოდარ ლადარიასგან. ხელთათმანის გადაგდება-გადმოგდების წინააღმდეგი არა ვარ, მე რომ მკითხოთ, დუელი უნდა დაბრუნდეს, ოღონდ ყველა აუცილებელი წესით – ორივე მხარეს თითო გასროლა, მერე კიდევ და ასე შემდეგ მანამ, სანამ ერთ-ერთი მხარე არ დაიჭრება ან ეს ყველაფერი რომელიმე მათგანისთვის ლეტალური შედეგით არ დასრულდება.

რა გულუბრყვილო ვარ. კალვერასი არ იყოს, მეგონა, ერთ მხარეს ვიდექით, ერთნაირი იარაღით ვშოულობდით პურს ჩვენი არსობისა.

ჭკუა ვერ ვისწავლე. ახლა ისიც კი არ ვიცი, ვანანო თუ არა ეკა ხოფერიასა და ინგა გრიგოლიას მისამართით ჯენტლმენური ნორმის ფარგლებში ნათქვამი კომპლიმენტი – "მომხიბლავი ქალი".

კალვერა ვახსენე და ის ფინალური სცენაც დამიდგა თვალწინ: სასიკვდილოდ დაჭრილი კალვერა, თავზე წამომდგარი კრისი და მომაკვდავის სიტყვები: ეგეთი დიდი ადამიანი ამ პაწაწინა სოფლისთვის როგორ მობრუნდიო!

სწორედ რომ კალვერას დღეში ვარ ახლა. არა, სასიკვდილოდ არ ვარ დაჭრილი, სულ ოდნავ გამკაწრა ტყვიამ. ჩემს წინ მეტოქე დგას. ხელში აბოლებული იარაღი უჭირავს. მე კი გაკვირვებული ვეკითხები: ასეთი ჭკვიანი კაცი ამ ორი მართლაც მომხიბლავი ქალისთვის გამეტებული კომპლიმენტისთვის მწირავ-მეთქი?

ამ დროს კი გარეთ ისევ ისინი დგანან. ისინი, ვინც სიგარეტისა თუ სხვა ბიზნეს-გობიდან მიირთმევენ სალაფავს, აქციობენ, პროტესტობენ, იმუქრებიან.

მაგალითად, კაკოს ფიქრით, ჰორიზონტზე უკვე გამოჩნდა კონტრრევოლუცია: როგორც დიდი ედუარდი გადმოვაგდეთ, ამათაც ისე გადმოვაგდებთო. რა უნდა ვთქვა, ოცნებას კაცი არ მოუკლავს. ისე კი, კაკოს გადმოგდებული არავინ მინახავს, აი, თვითონ გადმოვარდნილი კი – არა ერთხელ და ორჯერ.

ზაზას ნერვები ღალატობს და ნიღბიანებზე იწევს – თქვენი არავის ეშინია, სათითაოდ ჩამოგაგლეჯთო. ამ ბიჭებს ცუდი თვალით უყურებს ლუბაც. არ ვიცი, თანდაყოლილია თუ "დიალოგის" გულახდილ საუბრებში შეიძინა ეს ჩვევა. ერთი კი არის, ისე უყურებს ამ ხალხს, თითქოს ადამიანები კი არა, ხისგან გამოჩორკნილი უსულო ფიგურები იყვნენ.

არადა, ეს ბიჭები, ნიღბით თუ უნიღბოდ, თავის საქმეს აკეთებენ. ჯადოსნური ჯოხის აქნევით გაჩენილ მილიონერებს იჭერენ, იმათ დასდევენ, დედაჩემსა და ათასობით მისნაირებს დასამარხად გადადებული ფული რომ მოპარეს. მაინცდამაინც სასიამოვნო სამუშაო არ არის. ეს საქმე ადამიანების გართობას არ გულისხმობს. ისინი არც ლექსებს წერენ, არც მღერიან, არც ხორბალი მოჰყავთ. ეს შავი და უმადური სამუშაოა, მაგრამ ისეთივე მარტივი, აუცილებელი და საჭირო, როგორც სუნთქვა – ვიღაცამ ხომ უნდა გაიტანოს ნაგავი!

ლუბას და ლუბასნაირებს კი ჰგონიათ, უფლება აქვთ, ზემოდან უყურონ ამ ბიჭებს, ისეთ პოზას იღებენ, თითქოს ცუდი ჟურნალისტი ან ცუდი დეპუტატი რითიმე სჯობდეს კარგ მეწაღეს ან კარგ პოლიციელს.

აი, ეგეთები დარბიან ახლა აქეთ-იქით. ეგეთებთან ომში გადის ლამის მთელი ცხოვრება. ეგეთები ებრძვიან ნიგნებს, არა აქვს მნიშვნელობა, რა ერქმევა ამ წიგნს, "ჰარი პოტერი" თუ სხვა რამ.

სხვათა შორის, ამ სათვალიან ბიჭთან ბრძოლის ფერხულში "იბერიაც" ენერგიულად იყო ჩართული. მართალია, მე ეს წიგნი არ წამიკითხავს, მაგრამ მხოლოდ იმის გამო, რომ უფრო მაგარ ჯადოსნურ წიგნს ვკითხულობ. მთელი სერიაა. პირველ წიგნს "ჯადოქრის პირველი წესი" ჰქვია, მეორეს – "ჯადოქრის მეორე წესი" და ასე შემდეგ. დიდი იმედი მაქვს, ბოლოში რომ გავალ, ისეთი ფოკუსს ვისწავლი, რომელიმე დეფიციტისგან მაინც დავიცავ ქვეყანას. მაგალითად, პურის დეფიციტისგან. ჩემს მეზობლად, ჯიხურში ვიყიდი რამდენიმე პურს და, მთელ ქალაქს თუ ვერა, საბურთალოს მოსახლეობას მაინც დავაპურებ.

დადიან ზევით-ქვევით და, ნახეთ, რა პატიოსნები ვართო. ყოველგვარი პროკურორისა და გამომძიებლის გარეშეც იცის მთელმა საქართველომ, რაც არის "ომეგა". იქაური თანამშრომლები რომ თავიანთი სამუშაოს შესანარჩუნებლად იბრძვიან, ჩემთვის სავსებით გასაგებია და ვერც გაამტყუნებ კაცი. მაგრამ ბრძოლაც არის და ბრძოლაც. ტყუილი ცუდი მოკავშირეა.

გინდა თუ არა, ტელემაუწყებლობაში შეგვიშალეს ხელიო. ხუთი დღეა, ლამის ოცდაოთხი საათის განმავლობაში "ოლვეისის" რეკლამასავით რომ ატრიალებთ "დაჩაგრულთა და დარბეულთა" აქციებს, წუთით მაინც გაგახსენდათ ბათუმში დარბეული მიტინგი და ნაცემი ხალხი? ან რატომ გაგახსენდებოდათ, მაგ ჩხრიალა გველს თავი რომ თბილისში აქვს, კუდს ბათუმში იქნევს.

ცივილური მეთოდით დაგვაპატიმრეთო. მაინც როგორია ეს ცივილური მეთოდი, რა, ტელეფონით უნდა შეატყობინოს პროკურორმა ქურდობაში ეჭვმიტანილებს, მოვდივარ, დამალეთ, რაც დასამალი გაქვთო? მთელ მსოფლიოში ეგეთები ხელბორკილებით მიჰყავთ. მადლობის მაგიერია?

ბარემ გატყდით. აი, ამ შავი დღისთვის უნდოდათ "ომეგას" პატრონებს დეპუტატობაცა და ტელეკომპანიაც. ტელეკომპანია, რომელიც იმდენად უნიჭოა, რომ, ბოლოს და ბოლოს, კომედიად აქცია საკუთარი აქცია და საკუთარ თავსვე გამოუტანა ვერდიქტი – მაყურებელი არა მყავს, პირველი არხის ეთერი დამითმეთო. ისე, "იბერიაში" ძველი და ახალი თაობის შესანიშნავი სინთეზია. გამოცდილ ლუბას პატარა გოგო-ბიჭები უმშვენებენ მხარს. ეს ყველაფერი ძალიან კარგი იქნებოდა, ერთი გარემოება რომ არა – ახალგაზრდა ჟურნალისტები ერთიმეორისგან ვერ არჩევენ ბანკნოტსა და ბანკროტს. ახალგაზრდობა ყოველთვის არ არის უპირატესობა, მაგრამ რადგან სწავლისა და დაოსტატების შანსს მაინც იძლევა, არ დავიზარებ და ბარემ შევახსენებ: ბანკნოტი ეს ის არის, რაც წარსულსა და აწმყოში ბევრი ჰქონდა და აქვს თქვენს მარჩენალს, ბანკროტი კი ის – რაც, ალბათ, მომავალში ელის. თვითონ ლუბამ კი, ამ მხნე და ენერგიულმა ქალმა, ისეთი რამ თქვა, გული დამეთუთქა: ექიმმა ლაპარაკი ამიკრძალა, თუ ასე გააგრძელებ, სამუდამოდ დაკარგავ ხმასო. ემანდ ენამ არ უყივლოს და არ დავიღუპოთ!

ციხეში მოხვედრილ კაცზე ღადაობა ღირსეულ საქციელად არ მიმაჩნია. სულ სხვა საქმეა მანამდე. ამის გათვალისწინებით, ოქუაშვილს ვურჩევდი, ზევით-ქვევით სირბილის ნაცვლად, ახლავე შეისწავლოს ერთიორი ბლატნოი სიმღერა. მაგალითად, აი, ის, სიგარეტის ერთგულებაზე როა. რა თქმა უნდა, თავის მისამღერიანად:

Сигарета, сигарета,
Никогда не изменяешь...

ეეჰ! იზმენილა და მერე როგორ!

ბოლო ნაფაზი

კანტი ამტკიცებდა, ჩვენი თავისუფლება იქ მთავრდება, სადაც სხვების იწყებაო. კანტზე უწინ ფრანგი ფილოსოფოსი იმასაც წერდა, რახან ვაზროვნებ, მაშასადამე ვარსებობო. მთლად ადრე კი ერთი ჭკვიანი ბერძენი ირწმუნებოდა, ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველიაო. სამივეს აზრს ვიზიარებ და სილოგიზმის ჩემეულ კანონს გთავაზობთ: თუ ცხოველი ხარ, მაგრამ საზოგადოებრივი; აზროვნებ და, შესაბამისად, არსებობ, აუცილებლად უნდა დაინტერესდე, სად მთავრდება შენი თავისუფლება - საკუთარი ოფისის გადაღმა თუ კანცელარიის კედელთან?

სოფიო თოდუა

ყველა იმ კადრის შემდეგ, ბოლო დღეების განმავლობაში "ომეგას" ოფისებთან ჟურნალისტებმა რომ დააფიქსირეს, მომკალით და, მაინც ვერ გავარკვიე: ხდება თუ არა ზეწოლა თავისუფალ მედიაზე და რამდენად სწორად იწერება ქართულ სინამდვილეში საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების ახალი ფორმა, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება გვთავაზობს. პირველი რეაქცია ასეთი იყო: როცა კაცი "დემოკრატიისაკენ მიიჩქარის" და შლეიფივით ძვირადღირებული მანქანების ესკორტი მიჰყვება, უნდა იცოდე, რომ ასეთ ადამიანს მამალი მგლის არ შეეშინდება და ჰაერში გასროლილი ტყვიით, დიდი-დიდი, გაზსადენი დააზიანო. ეს ერთი.

მეორე და არანაკლებ მნიშვნელოვანი: ეს ადამიანები, მათ შორის ჩემი კოლეგებიც, მხოლოდ თავისუფალი პრესის უფლებების სადარაჯოზე არ დგანან - ისინი იმ მუშების შრომის უფლებასაც იცავენ, ჩვენმა ძალოვანებმა ასე დელიკატურად რომ გამოაბრძანეს გარეთ. შრომის უფლების დაცვამ კი, შესაძლოა, შრომის სუფევამდეც მიგვიყვანოს და ამ კეთილშობილურ საქმეში მდიდარი ბიზნესმენიც თუა ჩაბმული, რა სინდისით უნდა შეეხო მის ბიზნესს?

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ამთავითვე ვიტყვი: ერთ დროს მეც "ომეგა ჯგუფის" დაქირავებული თანამშრომელი, უფრო ზუსტად, დაქირავებული ჟურნალისტი ვიყავი. სიტყვას - "დაქირავებული" ყოველგვარი ირონიის გარეშე ვხმარობ და მხოლოდ იმას ვგულისხმობ, რომ ისინი მე შრომის საფასურად ხელფასს მიხდიდნენ. თერთმეტი თვის განმავლობაში მქონდა პატივი, გაზეთ "ახალი ეპოქის" ფურცლებზე დროდადრო ჩემი ნაცოდვილარი გამომექვეყნებინა. სწორედ ამიტომ ვაცხადებ: "თავისუფლება" და "ომეგა" გვერდიგვერდ ისევე უცნაურად ჟღერს, როგორც სიტყვათა შეთანხმება "თეთრი ყვავი" ან "ცხელი თოვლი". ლიტერატურის თეორიაში ამას რაღაც ტერმინით მოიხსენიებენ, რომელიც მე, სამწუხაროდ, არ მახსოვს, მაგრამ ბატონ როსტომს აუცილებლად ემახსოვრება და სათქმელსაც მიმიხვდება. იმავე მიზეზით განვავრცობ: მიუხედავად იმისა, რომ ეს რედაქცია ჩემივე სურვილით დავტოვე (როგორც ტაქტიანი გაყრილი ცოლქმარი იტყოდა - ხასიათებით ვერ შევეწყვეთ), ხელში მაინც "მგლის ბილეთი" მიჭირავს და "ომეგას" სიახლოვეს ისედაც არ გამაჭაჭანებენ. ამას შეგუებული ვარ და თავს იმით ვიმშვიდებ, რომ მსგავსი რამ მხოლოდ პოსტსაბჭოთა საქართველოში არ ხდება. მაგალითად, ფრანგები ამ პრობლემამ ისე შეაღონა, კომედიაც კი გადაიღეს პიერ რიშარის მონაწილეობით ("სათამაშო"). დღეს რომ იქ ვმუშაობდე, ალბათ დემოკრატიის ძიებაში მეც ქუჩა-ქუჩა ვივლიდი და საბოლოოდ კანცელარიას მივადგებოდი. ჯერ ერთი, ადამიანური სისუსტეები ჩემთვისაც ნაცნობია და კარგად მესმის, სამსახურის დაკარგვა ულუკმაპუროდ დარჩენას რომ ნიშნავს. მეორეც, კაცის ბუნება ისეთია, დაჩაგრული ყოველთვის ეცოდება და ნიღბიანი ოყლაყის შემყურეს ხაზინის ქურდი კი არა, რეციდივისტიც შეგებრალება. "ომეგას" შემთხვევაში მით უფრო გაღიზიანდები, რადგან დამონსტრანტების დაშლა წყლის ჭავლითაც შეიძლებოდა. როგორც ჩანს, ტელედაჭერებმა აშკარად უკურეაქცია გამოიწვია. და ბოლოს: 96 პროცენტით მოსულ ხელისუფლებას, ფაქტობრივად, ოპოზიცია არა ჰყავს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, არც ახლო მომავალში ეყოლება. ამდენად, ნებისმიერი განსხვავებული აზრი, მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ოფიციოზისას არ ემთხვევა, საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა, შესაძლოა, აიტაცოს და ბოლომდე მის დაცვას შეეცადოს.

ასეა თუ ისე, იმ დღეს "ომეგა ჯგუფის" შესამოწმებლად მისული "სპეცნაზი" ტელეკომპანია "იბერიაშიც" შევიდა. როგორც მოგვიანებით გენერალურმა პროკურორმა განგვიმარტა, ასე იმიტომ მოხდა, რომ მათი მისამართები ერთმანეთს დაემთხვა. ზოგისთვის ეს ჩვეულებრივი დამთხვევაა, ზოგისთვის - წინასწარ გათვლილი ნაბიჯი. მე მაინც მეორე ვერსიას ვემხრობი და ამის მიზეზიც გამაჩნია. საქართველოში, ჯერჯერობით, სამი მედიაჰოლდინგია და სამივეს ოფისები სხვადასხვა პრინციპითაა გადანაწილებული. მაგალითად, ტელეკომპანია "რუსთავი 2", გაზეთი "24 საათი" და "ჯორჯია ონლაინი" ერთ შენობაშია განთავსებული და სამივე ერთად საკმაოდ შორსაა როგორც ჯორჯ სოროსის, ისე ედუარდ შევარდნაძის რეზიდენციებისაგან. მეორეში, რომელიც ბადრი პატარკაციშვილს ეკუთვნის, ოფისები თბილისის სხვადასხვა უბნებშია გაბნეული: ტელეკომპანია "იმედი" - დიღომში, "მთავარი გაზეთი", ჟურნალები "კაკადუ" და "იმიჯი" - ვაკეში, რადიო "იმედი" - საბურთალოზე. ყველა მათგანი ასევე შორსაა მათი მფლობელის ადგილსამყოფელისაგან. რაც შეეხება "ომეგას" მედიაჰოლდინგს, ტერიტორიული დანაწევრების პრინციპი აქ განსხვავებულია. გაზეთ "ახალი ეპოქისა" და სააგენტო "მედია ნიუსის" რედაქციები მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარეობს, ჟურნალი "ომეგა" და "ჩვენი მწერლობა" მელიქიშვილზე იწყობა, ტელეკომპანია "იბერია" კი "ომეგა ჯგუფის" სათავო ოფისშია მოთავსებული. ტელეკომუნიკაციის სპეციალისტები ჩემთვის გასაგებ ენაზე თუ ამიხსნიან, რომ სიგნალის გადაცემის მხრივ ოქროს უბანი საშური ზონაა, ხომ კარგი, თუ არადა, უნდა ვირწმუნო, რომ ტელევიზია ჩუბინაშვილის ქუჩაზე შემთხვევით არ ჩაუსახლებიათ. როგორც უკანასკნელმა მოვლენებმა ცხადყო, საჭიროების შემთხვევაში "იბერიას" სხვებზე ოპერატიულად უნდა ემოქმედა. ასეც მოხდა - ოფისის ჩხრეკა თავისუფალ მედიაზე ზეწოლად გამოცხადდა და წინასწარ გამოცხადებული დარბევის ქრონიკაც სულ რაღაც ერთი საათის შემდეგ "იბერიის" ეთერითვე გადაიცა.

მე თუ მკითხავთ, თავისუფალი მედია საქართველოში არ არსებობს. გამოგიტყდებით, არც "24 საათი" მეგულება თავისუფალი სიტყვის ფლაგმანად, რადგან ქაღალდზე დეკლარირებულ თავისთავადობას ფინანსური დამოუკიდებლობაც სჭირდება, ფინანსები კი, მოგეხსენებათ, უმთავრესად გაპოლიტიკოსებული ბიზნესმენებისა და გაბიზნესმენებული პოლიტიკოსების ხელშია. "ომეგას" საქმიანობაზე თავის დროზე, თუ არ ვცდები, "რუსთავი 2"-ის ეთერში, ირინა სარიშვილი შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრს კახა თარგამაძეს სინდისზე აგდებდა: თქვენ თუ კარგი მინისტრი ხართ და კონტრაბანდისტებს დასდევთ, "ომეგას" საქმიანობის მამხილებელ ვიდეოკასეტებს თავად გადმოგცემთ და ვნახოთ, რას მოიმოქმედებთო. რაოდენ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, მაშინ ამ მედიაჰოლდინგის მფლობელებმა და თანამშრომლებმა სარიშვილის გამოწვევა იმხელა შეურაცხყოფად არ აღიქვეს, ქუჩაში გამოსულიყვნენ და საპროტესტო მანიფესტაციები მოეწყოთ. ისედაც ყველამ იცოდა, "ომეგას" საქმიანობას არც არავინ შეამოწმებდა და დასჯითაც არავინ დასჯიდა, ტყუილუბრალოდ ქუჩა-ქუჩა წანწალი კი არავის ეპატნავებოდა. დღეს ქალბატონი ირინა ტელეკომპანია "იბერიას" სტუმრობს და ის ავადსახსენებელი ვიდეოკასეტები რატომღაც აღარც ახსოვს.

ჩხეიძე-ოქუაშვილის მედიაჰოლდინგში არც მაშინ გასჩენიათ დემონსტრაციების მოწყობის სურვილი, როცა ლიტერატურული პაექრობა, ერთი მხრივ, "ჩვენი მწერლობისა" და, მეორე მხრივ, "ლიტერატურული საქართველოს" ფურცლებზე იქამდეც მივიდა, რომ სიტყვაკაზმული ქართული მწერლობის ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, ყველა სიკეთესთან ერთად, სერიოზულად იკვლევდა და ასევე სერიოზულად ამტკიცებდა, ვინ ცვედანი იყო და ვინ - არა, ვინ ქართველი და ვინ - სომეხი. ვერ დავიჩემებ, რომ მეც ისევე კარგად მესმის ქართული მწერლობა, როგორც ჯანსულ ჩარკვიანს ან როსტომ ჩხეიძეს, მაგრამ კლასგარეშე ლიტერატურას მოცალეობის ჟამს მეც ვეცნობოდი. ამადაც მგონია, საზოგადოებრივი ცხოველი შეთავსებით მწერალიც თუა, სათქმელი უნდა მოზომოს და ქუჩის ბიჭებისაგან თუ აშარი დედაკაცებისგან რაღაცით განსხვავდებოდეს. ჩარკვიანისა და ჩხეიძეების შერიგება დიახაც მახარებს (ალბათ შეთანხმდნენ, რომ ამიერიდან ქართველი პროზაიკოსების ყველა ხუთეულში, მე-5 საუკუნიდან დღემდე და დღეის იქით, ოთარ ჩხეიძე აუცილებლად მოხვდება, თუ, რასაკვირველია, უფრო სერიოზული საკითხების გამო არ მოხდა მათი ინტერესების გადაკვეთა). ბოლოს და ბოლოს, ყველა სავლეს აქვს შანსი, პავლედ მოექცეს და ცოდვები მოინანიოს. მაგრამ ახლადმოქცეული პავლეები ჯერ კიდევ სავლეებად დარჩენილთ ჯვარზე გაკვრას რომ უპირებენ, ასეთ პავლეს ისევ სავლე მირჩევნია. სხვათა შორის, ბოლო დროს ბატონ ჯანსუღსაც ხშირად მოჰკრავთ თვალს "ომეგას" მიმდებარე ტერიტორიაზე. პირადად მას ამ კითხვას ვერ შევკადრებ, მაგრამ მის ქალიშვილს, ქალბატონ თაკოს, ლუბა ელიაშვილის საყვარელ რესპონდენტსა და ქართული ღირებულებების დამცველს კი შევეხმიანები: პოეტი მამათქვენი ყოველთვის ასე ხშირად იცვლის ხოლმე აზრს? და თუ იცვლის, მე, უბრალო მოკვდავმა, მისივე ლექსებზე შექმნილი თქვენივე ძმის სიმღერებს რომ ვღიღინებ სამზარეულოში, სიმართლე როგორღა შევიტყო - ბოლო ჩვენებას "მივაწვე"?

თავისუფალ პრესაზე ზეწოლა საკმაოდ მძიმე დანაშაულია და ამის სიმპტომები ადრევე თუ შეინიშნება, წინასწარ განგაშის ატეხვა ღირს. როცა რამდენიმე წლის წინათ "რუსთავი 2"-ის ოფისში სუკის თანამშრომლები შეესამოწმებლად მიბრძანდნენ, სიმართლე გითხრათ, ზომაზე მეტად აღვშფოთდი იმ ვაი-უშველებელის გამო, ტელევიზიის თანამშრომლებმა რომ ატეხეს. განსაკუთრებით გამაღიზიანებელი იყო ერთი წამყვანი ჟურნალისტის აღტყინება, მიკროფონით ხელში სუკის ბრგე თანამშრომელს რომ დასდევდა და ხშირ-ხშირად უმეორებდა: "რატომ იცინიხართ, რატომ იცინიხართო?" ის კი იცინოდა და იცინოდა. მერე კი მივხვდი, რომ ჩვენს ქვეყანაშიც დგებოდა დრო, როცა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მათ უმთავრეს ფუნქციას, საზოგადოებრივი აზრის შექმნას მოახერხებდნენ და, შესაბამისად, პოლიტიკოსები ამას სათავისოდ გამოიყენებდნენ. ამიტომაც არ მიკვირს, "ომეგა ჯგუფი" "იბერიას" თუ "ახალ ეპოქას" საკუთარი ინტერესების დასაცავად რომ იყენებს და თავისუფალ სიტყვას ამოფარებული, მეტი რომ არ შეიძლება, ისე თავისუფლად ვაჭრობს ენგურს გაღმაც და გამოღმაც. რამდენიც არ უნდა მიმტკიცონ ჩემმა კოლეგებმა, რომ ტელეკომპანია "იბერიას" გასაქანს არ აძლევენ, საპირისპიროში დარწმუნება უფრო მეადვილება და ჩემი საკმაოდ მოძველებული ტელევიზორითაც კი "იბერიის" გადაცემებს შეუფერხებლად ვადევნებ თვალს. ერთი კია, ძალიან მეშინია, ლუბა ელიაშვილის საავტორო გადაცემაში თამაზ წივწივაძეც არ დამიხვდეს. ამას ჩემი გული ნამდვილად ვეღარ გაუძლებს და რამე თუ დამემართება, იცოდეთ, მეც თავისუფალ სიტყვას შევეწირები.

ჯანდაცვის სამინისტროს არაერთგზისი გაფრთხილების მიუხედავად, მწეველი ვარ და ეს მაინე ჩვევა ვერა და ვერ მოვიშალე. გამოგიტყდებით, უპირატესობას "ფილიპ მორისის" ფირმის სიგარეტებს ვანიჭებ, ამდენად, მეც "ომეგას" კლიენტად მიგულეთ. ასევე ვარ "მაგთის" აბონენტი და ამ კომპანიის სერვისითაც კმაყოფილი ვარ. მაგრამ ისევ ადამიანის უფლებებს მინდა დავუბრუნდე და მათ, ვინც ღირსების შელახვას ჯიუტად მხოლოდ "ომეგას" ოფისების ჩხრეკაში ხედავს, მოწიწებით შევახსენო: ყველაზე დიდი უფლება ამ ქვეყნად სიცოცხლის უფლებაა და ბიზნესმენების უმრავლესობა გადასახადებს თუ არ იხდის, უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენი თანამემამულეების დიდი ნაწილი ფიზიკურად ნადგურდება. მერწმუნეთ, მათი ახლობლებისთვის ვერაფერი შეღავათი იქნება, თუ ამ სამწუხარო ფაქტით აღშფოთებულები ნერვებს სიგარეტის გაბოლებით დავიმშვიდებთ და ჩვენს წუხილს ბოლო ნაფაზს გავატანთ.

ნომრის სტუმარი

ეს არ არის ბავშვების მთავრობა

A1 გვერდიდან

ნიკო ლეკიშვილი.

გიორგი ბაბაური, ფოტო

- ემხრობით თუ არა მსგავსი საკონსტიტუციო ცვლილებებით შექმნილ მინისტრთა კაბინეტს?

- ყოველთვის ამ ვარიანტს ვემხრობოდი. სახელმწიფო მინისტრად გახდომიდან 2 თვის მერე ერთ-ერთ გაზეთს დიდი ინტერვიუ მივეცი და ვთქვი, რომ ის სისტემა არ ვარგოდა. ისიც ვთქვი, არ ვიცი, ვინ ვარ-მეთქი, რადგან ეს იყო სტრუქტურა, რომელსაც დიდი პასუხისმგებლობა არ ჰქონდა, მაგრამ ისეთი გადაწყვეტილებების მიღება შეეძლო, რომლითაც ბევრი რამ გაფუჭდებოდა, ან გაკეთდებოდა. ამ სტრუქტურით მთავრობის კოორდინაცია შეუძლებელი იყო. თუ გახსოვთ, მაშინ გავრცელებული იყო ფრაზა: "თავის დარგში ყველა მინისტრი პრემიერ-მინისტრია" - ეს ნონსენსია. გადაწყვეტილებები, რომელთა მიღებაც ასეთი სისტემის დროს ხდება, არ არის კოლექტიური და შეჯერებული.

არ შეიძლება, სტრატეგიულ დარგებში (მაგალითად, ენერგეტიკა, სოფლის მეურნეობა, პრივატიზების საკითხი) გადაწყვეტილება ერთმა სტრუქტურამ მიიღოს. კონსტიტუციურად კოლექტიური ორგანო არ არსებობდა. არსებობდა მთავრობა, რომელიც პრეზიდენტის საკონსულტაციო ორგანო იყო. გარკვეული პერიოდის მერე კი, მთავრობის შემადგენლობა ძალიან გაიზარდა.

- თქვენს დროს არ არსებობდა მრეწველობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის სამინისტროები... რატომ გაიბერა მთავრობა ასე უსასრულოდ?

- რადგან კოლექტიური პასუხისმგებლობის თემა არ არსებობდა, პრობლემის ნამოჭრისთანავე ახალი სტრუქტურა ჩნდებოდა. ეს აბსოლუტურად არასწორია.

- სტრუქტურისა და შემადგენლობის მიხედვით შეგიძლიათ თქვათ, რა ტიპის იქნება ახალი მთავრობა?

- არ ვეთანხმები მოსაზრებას, რომ ეს არის ბავშვების მთავრობა. 30-40 წლის კაცს ბავშვს ვერ დავარქმევ.

- თავად სად მუშაობდით 30 წლის ასაკში?

- რაიკომის მდივანი ვიყავი. მახსოვს, 30 წლის რესან კონცელიძე კვების მრეწველობის მინისტრად დანიშნეს; სრულიად ახალგაზრდა სოლიკო ხაბეიშვილი ცეკას მდივანი გახდა; 30 წლის ჯუმბერ პატიაშვილიც ცეკას მდივანი იყო. მთავარი წლოვანება კი არა, საქმის გაკეთების უნარია. ბებრის გაფუჭებული საქმეც მინახავს.

- როცა მინისტრთა ასაკს მიუთითებენ, ალბათ, ხელმძღვანელობის გამოცდილების არქონას გულისხმობენ. რამდენად წაადგებოდათ დღევანდელ მინისტრებს წინა ხელისუფლებაში შეძენილი გამოცდილება?

- ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება გამოდგომოდათ კიდეც. არ ვემხრობი ყველა ძველი თანამშრომლის სამსახურიდან გაშვების ახლანდელ ტენდენციას. ჩინოვნიკთა აპარატს ახალი ხელმძღვანელობისთვის აუცილებელი გამოცდილების არეალი გააჩნია. ასე ხელაღებით გაშვება, შეიძლება, სწორი არ იყოს, მაგრამ პოლიტიკური რეალობაც უნდა გავითვალისწინოთ - მოდის ახალი პოლიტიკური ძალა, რომელმაც მთლიანად უნდა დაკომპლექტოს უწყებები და მან უნდა განსაზღვროს, ჭირდება თუ არა ესა თუ ის ძველი თანამშრომელი.

სხვაგვარად ვუყურებ ადგილობრივ მმართველობას - ცენტრალურისგან განსხვავებით, ადგილობრივ ხელისუფლებაში შეიძლება სულ სხვა ძალამ გაიმარჯვოს.

მიმაჩნია, რომ მთავრობის სტრუქტურა საკმაოდ ეფექტურია, თუმცა, კიდევ ღრმად წასვლაც შეიძლებოდა. მეშინოდა, ენერგეტიკის სამინისტროს შემცირება და გაერთიანება არ შეხებოდა. ენერგეტიკა მხოლოდ ელექტროენერგია არ არის. ჩვენ აზერბაიჯანის მეზობელი სატრანზიტო ქვეყანა ვართ, უნდა გავატაროთ ნავთობსადენი - ამ სამინისტროს ცალკე არსებობა, სტრატეგიული თვალსაზრისით, აუცილებელი იყო.

დეპარტამენტების შემცირებას კი აბსოლუტურად ვეთანხმები. მათი ცალკე არსებობა საბიუჯეტო სტრატეგიას ფანტავს. როდესაც საქმიანობა კოორდინირებულია, ბევრად ადვილია ფინანსური სტრატეგიის განსაზღვრა. ადრე ფინანსთა მინისტრი ადგენდა ბიუჯეტს, ახლა მთელმა მთავრობამ უნდა შეადგინოს - ეს სერიოზული განსხვავებაა და 1995 წლის შემდეგ ეს არ მომხდარა. არ არსებობდა მთავრობის მცნება. ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტს პარლამენტში წარადგენდა და ოპონენტები ისევ მინისტრები იყვნენ... ეს იყო აბსოლუტური სისულელე, რაც შიგნით ანტაგონიზმს ბადებდა და მინისტრების მუშაობა მარცხისთვის იყო განწირული.

- შეიქმნა პრეზიდენტის ადმინისტრაცია, რომლის დებულებაშიც მთავრობის პარალელური ფუნქციები ჩანს...

- ადმინისტრაციის კონტროლის ქვეშ მარეგულირებელი რგოლების არსებობა პოლიტიკური საკითხია და პარალელიზმის საშიშროება, მართლაც, არსებობს. მაგრამ, ადმინისტრაციის დებულებას საკონსტიტუციო ცვლილებები და კანონის მიღება არ სჭირდება. თუ დაინახავენ (და, ალბათ, დაინახავენ), რომ იქ ბევრი რამ არის შესაცვლელი, შეცვლიან. მთავარია, რომ ადმინისტრაცია დიდი არ არის.

- მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურაში ხედავთ თუ არა სამინისტროების შემდგომი ზრდის თავიდან ასაცილებელ მექანიზმებს?

- ასეთ მექანიზმებს ვერ ვხედავ. მთავრობა საკუთარი რიგების გაზრდის თემამ არ უნდა გაიტაცოს.

ქალაქის მერი ვიყავი და ძალიან არ მინდოდა სახელმწიფო მინისტრად გადასვლა. თავიდანვე ვერ აღვიქვი, რას ნიშნავდა ეს თანამდებობა. მიმაჩნია, რომ ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი შეცდომა იყო. ვერ გავუმკლავდი შემოტევას, რომელიც მხოლოდ შევარდნაძისგან არ მოდიოდა - ზურაბ ჟვანია, ელდარ შენგელაია, გია ბარამიძე მოდიოდნენ და დათანხმებას მთხოვდნენ. მაშინ, მინისტრთა კაბინეტისა და სახელმწიფო მეთაურის თითქმის რვაასაკციანი აპარატი სამას კაცზე დავიყვანეთ. აპარატი მერე გაიზარდა... არ მინდა, ამ მთავრობასაც იგივე დაემართოს.

უშიშროების აპარატი ათკაციანი იყო და მერე გახდა უზარმაზარი, ცალკე სტრუქტურა. რეგიონული სამსახური სამკაციანი იყო. შემდეგ გაიზარდა და პირდაპირ პრეზიდენტს ექვემდებარებოდა... მსგავსი საშიშროება ახლაც არსებობს - პრობლემებმა სტრუქტურების გაბერვის საშიშროება არ უნდა შექმნას.

- საკადრო ცვლილებებში დაშვებულ რა შეცდომებს ხედავთ?

- ნებისმიერი დანიშვნიდან რაღაც პერიოდის გასვლას ველი. თუმცა, განსაკუთრებულ შეცდომებს ვერ ვხედავ. ხალხმა უკვე უნდა დაინახოს დინამიკა. შსს-ს საქმიანობის დინამიკას ვხედავ და დადებითად ვაფასებ. საქართველოში დანაშაულის თემა გაუბრალოვდა. ნებისმიერ კაფეში შეიძლებოდა გაეძარცვეთ და პასუხს არავის სთხოვდნენ. დღეს ეს პროცესი, თითქოს, შენელებულია, ტარდება ანტიკრიმინალური ოპერაციები... თავის დროზე, შოკში ჩავვარდი, როდესაც გადამცემ ხაზს ვიღაცამ ესროლა, ყველამ იცოდა, ვინც ეს ჩაიდინა და პასუხს არა შინაგან საქმეთა, არამედ ენერგეტიკის მინისტრს სთხოვდნენ...

- დღევანდელ დაკავებებს როგორ უყურებთ?

- დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენელთა, კრიმინალთა დაკავება დადებით პროცესად მიმაჩნია. მინისტრებისა და პასუხისმგებელ პირთა დაკავება მოსალოდნელი იყო. ფორმა კი სადავოა, მაგრამ, რადგანაც ქვეყანაში გატაცებული ფულის გადახდის კანონმდებლობა არსებობს, მიმაჩნია, რომ ეს ზოგ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ.

- დაპატიმრებები ბიზნესსაზოგადოებასაც შეეხო. "ომეგასგან" განსხვავებით "მაგთი" მსხვილ გადამხდელთა კავშირის წევრია. წევრი კომპანიების უფლებების დაცვა თქვენი ორგანიზაციის ფუნქციებში არ შედის?

- მსხვილ გადამხდელთა კავშირში შევთანხმდით, რომ დავები სასამართლო სიბრტყეში უნდა გაირკვეს და ამ პროცესებში არ ვერევით. შეიძლება, ჩვენი დამოკიდებულება გამოვხატოთ...

- და განაცხადოთ, მართლა არის თუ არა ესა თუ ის ბიზნესი ღია და გამჭვირვალე...

- ინფორმაციას თანხების გადახდის შესახებ "მაგთი" პრესაში აქვეყნებდა და დეკლარირებული იყო. ყოველ შემთხვევაში, ასე ჩანდა. ჩვენ არ ვფლობთ ინფორმაციას, რას იხდის და რას არა კომპანია. ჩვენი კარები ყველასთვის ღიაა.

თუმცა, ამა თუ იმ ბიზნესის შემოწმება აუცილებელია, მაგრამ წარმოების გაჩერება არასწორია. კომუნისტების დროსაც კი არ ჩერდებოდა საწარმოები. მახსოვს, მაუდ-კამვოლის ფაბრიკის მთელი ხელმძღვანელობა დაიჭირეს და წარმოება ერთი წამითაც არ შეჩერებულა.

ყველაფერი ისე უნდა მოხდეს, რომ კომპანია და იქ მომუშავე ადამიანები არ დაზარალდნენ. წარმოების ერთი დღით შეფერხებაც კი ძალიან ცუდად ურტყამს ბიუჯეტს, შეიძლება არანაკლებად, ვირე ჩრდილოვანი ეკონომიკა.

კონტრაბანდა და ფალსიფიკაცია ცალსახად აღმოსაფხვრელია, მაგრამ ხალხი არასდროს უნდა გაანაწყენო. თუ იმ წარმოებაში, მართლაც, არის დარღვევა, ხალხი თავს არ მოიკლავს ამისთვის - მათთვის მთავარია სამუშაო და მით უფრო დღეს.

- ამბობენ, ბიზნესწრეებში შიშის სინდრომი გაჩნდაო. თქვენი ორგანიზაციის წევრებსაც დაეუფლათ ეს შიში?

- დიახ. დარწმუნებული ვარ, არსებობენ აბსოლუტურად სუფთა კომპანიები, მაგრამ არიან კომპანიები, რომლებიც საგადასახადო კოდექსის მოუწესრიგებლობის გამო იძულებულნი არიან, დამალონ შემოსავლები. ამ მოუწესრიგებლობის გარდა არსებობდა უამრავი ბარიერი, არაოფიციალური და აუცილებელი გადასახადი - პირდაპირ ტაქსები იყო დაწესებული - ვაგონის გამოყოფაზე, საბაჟოში, პოლიციაში, საგადასახადოში... სხვადასხვა ტიპის პროდუქციაზე სხვადასხვა ტაქსა იყო გადასახდელი. საგადასახადო კოდექსით დაწესებული გადასახადები ცალკე ტვირთია.

ბიზნესმენის ფსიქოლოგია ასეთია - ნებისმიერი სახით გადახდილი თანხა უნდა ამოიღოს. საიდან უნდა აიღოს? საბაჟოსთვის, საგადასახადოსთვის და პოლიციისთვის ფული მიცემული აქვს, ისინი ხმას არ ამოიღებენ - ამიტომ აკლებს ბიუჯეტს... ეს მოსაწესრიგებელია, რადგან საგადასახადო ტვირთი ისეთია, მეწარმემ რომ ყველაფერი კანონიერად გადაიხადოს, ბიზნესს ვერასდროს ააწყობს.

ამბროლაურის დეპუტატი ვარ და ზუსტად ვიცი, რაც ხდება. ამბროლაურში მხოლოდ 600 ტონა ხვანჭკარის ყურძენი მოდის და მეტი არც ბუნებაში არსებობს. ეს, დაახლოებით, 600 000 ბოთლია. საქართველოდან კი 10 მილიონი ბოთლი "ხვანჭკარა" გადის... ეს არის ფალსიფიკაცია და ამაში ყველა სტრუქტურაა ჩართული.

- ინიციატივა დამალული გადასახადების ლეგალიზების შესახებ კონტრაბანდასთან ბრძოლის ერთ-ერთ ხერხად, ალბათ, გამოდგება.

- რა თქმა უნდა, მაგრამ თუ ამას პარალელურად საგადასახადო კოდექსის გამარტივება და კონტრაბანდასთან ბრძოლის გააქტიურება არ მოჰყვა, მეწარმე პირველ აპრილამდე არსებული შემოსავლების ლეგალიზებას გააკეთებს და 2 რიცხვიდან ისევ დამალავს... ან წარმოებას დახურავს.

ბევრად უფრო რთული იქნება კონტრაბანდისა და ფალსიფიკაციის წინააღმდეგ ბრძოლა, რადგან ფალსიფიკატორი ამის ლეგალიზებას არასდროს გააკეთებს. 1997-1998 წლებში რესტორნები და ტაქსები პრაქტიკულად არ იყო. ახლა ამდენია, ამდენი ტვირთები გადადის და გადმოდის და ნავთობპროდუქტების შემოტანის მაჩვენებელი, იმ პერიოდთან შედარებით, სამჯერ არის შემცირებული.

პარლამენტმა სასწრაფოდ უნდა გაატაროს საგადასახადო ცვლილებები. ეს პარლამენტი კი ამას ვერ გააკეთებს, ნება არ აქვს...

- რა იყო თქვენი 22 ნოემბრის სხდომაზე მისვლის მოტივი?

- ერთმა ჯგუფმა ვთქვით, რომ ამ სხდომაზე არ მივიდოდით. პრეზიდენტისგანაც კი იყო ზარი, მაგრამ მისვლას მაინც არ ვაპირებდი. როდესაც ტელევიზორში დავინახე, რომ "ახლები" მივიდნენ, მეც ჩავედი. ისე გამომივიდა, რომ, ფაქტობრივად, ხალხს მე შევუძახე - შევედი და 5-6 წუთში შემოცვივდნენ...

- კვორუმი რომ არ შემდგარიყო, რა მოხდებოდა?

- მე რომ შევედი, კვორუმი უკვე იყო. კიდევ ნახევარ საათს რომ არ შემოსულიყო მიშა, ხალხი მაინც შემოვიდოდა და იქ უბედურება მოხდებოდა. კარგ დროს შემოვიდნენ... სხდომაზე ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას აპირებდნენ, რომლის მიღებაც არ შეიძლებოდა. აპირებდნენ რეგლამენტში ცვლილებების შეტანას და რაღაც ისეთს, რაც უბედურებას მოიტანდა და პროცესები უსისხლოდ არ დამთავრდებოდა.

გახსოვთ, ალბათ, 11 ნოემბერს "გადამხდელთა კავშირმა" შეკრება ჩაატარა და 2 ნოემბრის არჩევნების შედეგების გაუქმება მოითხოვა, რის გამოც საკმაო უსიამოვნებები შეგვხვდა. 22 ნოემბერი პარლამენტის ლეგიტიმაციის ბოლო ვადა იყო. გაუგებრად იჩქარეს... მიმაჩნია, რომ ყველაფერი კარგად მოხდა... წასულ საქმეზე საუბარი არ მიყვარს და არ დავიწყებ იმაზე საუბარს, მერე უნდა ავმდგარიყავი და წავსულიყავი სხდომიდან, თუ არა და ა.შ. კენჭისყრაში მონაწილეობის მიღებას არ ვაპირებდი, ის უბედურებას მოგვიტანდა.

- როგორ იქნება წარმოდგენილი ოპოზიცია მომავალ პარლამენტში?

- გულახდილად გეტყვით. მიუხედავად იმისა, რომ გამარჯვებული მაჟორიტარი ვარ და ამბროლაურში ჩემი დამარცხება არც ისე ადვილი იყო, მაინც მხარს ვუჭერდი მაჟორიტარული არჩევნების შედეგების გაუქმებას. ბუნებრივია, არჩევნებისას ამის მომხრე არ ვიყავი იმიტომ, რომ ნამდვილად გავიმარჯვე. ახლაც ვფიქრობ, რომ შედეგები მთლიანად უნდა გაუქმებულიყო...

ოპოზიციის გაერთიანების მატარებელი უკვე წავიდა. უმრავლესობა "ნაციონალებს" ექნებათ. არა მგონია, რომ მაჟორიტარებისგან ოპოზიციური სეგმენტი ჩამოყალიბდეს. ოპოზიცია ბევრს ვერაფერს შეძლებს, თუმცა, ვფიქრობ, რომ "ახლებისა" და "მრეწველების" გაერთიანებას პარლამენტში შესვლის შანსი აქვს.

- მიგაჩნიათ თუ არა, რომ ახალი საკონსტიტუციო ცვლილებები პარლამენტს ასუსტებს და თუ ასეა, როგორ უნდა დააღწიოს თავი პარლამენტმა ამ საშიშროებას?

- პარლამენტის დათხოვნის მექანიზმის მომხრე ყოველთვის ვიყავი, მაგრამ მხოლოდ სენატის არსებობის შემთხვევაში. დეპუტატებში არის ის ფსიქოლოგიური მომენტი, რომ რაღაც დროს, მათი დათხოვნაა შესაძლებელი. ეს კი ხელისუფლებასაც ასუსტებს და სახელმწიფოსაც. როდესაც 60 დღის განმავლობაში პარლამენტი არ არსებობდა, არ არსებობდა რგოლი, რომელიც საკანონმდებლო ფუნქციებს იტვირთებდა. სენატის არსებობისას, ქვედა პალატის დათხოვნის შემთხვევაში, ის ასრულებს საკანონმდებლო ფუნქციებს. საკონსტიტუციო ცვლილებები სრულყოფილი არ არის. თუნდაც, ორმოკაციანი სენატი ქვეყანაში აუცილებლად უნდა არსებობდეს.

- რა უნდა იყოს ახალი პარლამენტის პირველი ეკონომიკური ინიციატივა?

- საგადასახადო სისტემის გამარტივება, ლიბერალიზაცია, გადასახადების რაოდენობის შემცირება. თუ ეს არ გაკეთდა, არანაირ ფინანსურ ამნისტიას აზრი არ აქვს.

ჩვენი უბედურება ის იყო, რომ საგადასახადო კოდექსი მოვარგეთ მათ, ვინც მუშაობს - არსებული 100 გადამხდელიდან დავიწყეთ შემოსავლების პროცენტის თვლა. კოდექსი შედგენილი უნდა იყოს 100 000 გადამხდელზე და გადასახადი არა 20, არამედ - 5 პროცენტი იყოს. როგორც ჩანს, მთავრობა ამისთვის მზად არის. თუ მთავრობის ერთობლივი პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება, ნოლაიდელი კარგად ამოიღებს გადასახადებს.

ძალიან გამიხარდა, როდესაც პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ გაუქმდება უშიშროების სამინისტროს ეკონომიკური სამსახური. 1996 წლის იანვარში სახელმწიფო მინისტრად ახალი დანიშნული ვიყავი და ამ სამსახურის შექმნას ვიზა არ მივეცი. ჩემს წინაალმდეგობას მოჰყვა ის, რომ უშიშროებამ პირადად ჩემს საწინააღმდეგოდ დაიწყო მუშაობა, ჩემ შესახებ ინფორმაციებს აგროვებდნენ და პრეზიდენტს აწვდიდნენ.

პირდაპირ დაწესდა არაოფიციალური ე.წ. "ხელის არშეშლის" გადასახადი. ხაბურძანია კი ეცადა რაღაცის შეცვლას, მაგრამ როდესაც კორუფციის მატარებელი სტრუქტურა გაქვს, ბევრს ვერაფერს შეცვლი. ეს იყო მეექვსე განყოფილების ანალოგია, "ობეხეესი" უშიშროებაში. ამიტომაც იყო, რომ უშიშროებას აღარ აინტერესებდა თავისი საქმე - პანკისი, გატაცებები - ისსდნენ და თვლიდნენ, სად რამდენმა მანქანამ გაიარა და რა ტვირთი იდო ამ მანქანებში.

ჩემი ვიზა დღესაც არ არსებობს. უშიშროების საბჭომ შემოიღო დებულება, რომლის მიხედვითაც ეს სტრუქტურა დაარსდა. თუ გაუქმდა, სწორედ ეს იქნება რეფორმა.

მთავრობამ დაწყებული საქმე უნდა გააგრძელოს - ხალხმა ყოველ თვე უნდა მიიღოს პენსია-ხელფასები, მერე კი ძველ დავალიანებებზეც შეიძლება საუბარი.

მეორე - თავი დავანებოთ დეპრივატიზაციაზე საუბარს. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ - ეს საუბრები ძალიან აზიანებს საინვესტიციო გარემოს. ბიზნესმენს ნუ დავადანაშაულებთ - თუ ჩინოვნიკმა რაღაც არასწორად გაყიდა ან იყიდა, ის დავაჯარიმოთ. ზუსტად გუშინ მქონდა საუბარი ძალზე სერიოზულ კომპანიასთან, რომელიც საქართველოში ჩამოსვლას და სერიოზულ ინვესტირებას აპირებს. პირველ რიგში, სწორედ დეპრივატიზაციით დაინტერესდნენ. მკვეთრად უნდა განვმარტოთ, რას ნიშნავს ეს ტერმინი. ჩვენთან საინვესტიციო გარემო ძალზე კარგ სასტარტო მდგომარეობაშია და ეს უნდა გამოვიყენოთ.

დღეს მსხვილ საწარმოებს აქვთ საშუალება, განახორციელონ შიდა ინვესტიციები. მარტო უცხოური ინვესტიციების განხორციელება დიდ სიკეთეს ვერ მოგვიტანს.

სერიოზულად მისახედია განათლების სისტემა და კულტურა. განსაკუთრებით, რეგიონებში. ერთი მოსწავლეც თუ არის, ის სკოლა არ უნდა დავხუროთ, რათა ამას სოფლის აყრა არ მოჰყვეს.

იმედი მაქვს, რომ არაორდინარული გადაწყვეტილებების ფონზე ყველაფერი ნორმალურად გაგრძელდება და ეკონომიკას პოლიტიკა ჩამოშორდება. ეს რომ არ მოხდა, ჩვენი უახლოესი წარსულის ყველაზე დიდი შეცდომა იყო.

ფინანსთა სამინისტრო ბიუჯეტს პარლამენტში წარადგენდა და ოპონენტები ისევ მინისტრები იყვნენ... ეს სრული ნონსენსია. ახლა ბიუჯეტს მთელი მთავრობა წარადგენს.

ძალიან არ მინდოდა სახელმწიფო მინისტრად გადასვლა. მიმაჩნია, რომ ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე დიდი შეცდომა იყო.

ამა თუ იმ ბიზნესის შემოწმება აუცილებელია, მაგრამ წარმოების გაჩერება არასწორია. აწყობილი წარმოების ერთი დღით შეფერხებაც კი ცუდად ურტყამს ბიუჯეტს. შეიძლება არანაკლებად, ვიდრე ჩრდილოვანი ეკონომიკა.

კიდევ ნახევარ საათს რომ არ შემოსულიყო მიშა, ხალხი მაინც შემოვიდოდა და იქ უბედურება მოხდებოდა. კარგ დროს შემოვიდნენ...

ანონსი

თეატრები

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი
ვიქტორ დოლიძე
"ქეთო და კოტე"
დირიჟორი: რევაზ ტაკიძე
დას: 18:00 სთ.

თეატრალური სარდაფი ვაკეში
ავქსენტი ცაგარელი
"ხანუმა"
რეჟისორი: ლევან წულაძე
დას: 19:00 სთ.

თეატრალური სარდაფი
პრემიერა
ანდრო კაკულია
"ფანჯარა"
რეჟისორი: ლელა ჭინჭარაული
დას: 20:00 სთ

პანტომიმის თეატრი
ამირან შალიკაშვილი
"კრიმანჭული"
(პანტომიმური ნოველები)
დადგმა: ამირან შალიკაშვილი
დას: 18:00 სთ.

გამოფენა

TMS
იური ბერიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

"ქარვასლა"
კახა ზარნაძის ნამუშევართა
პერსონალური გამოფენა
(ცივი იარაღი, აქსესუარები)

"ორიენტი"
თანამედროვე ქართველი მხატვრების ნამუშევართა
გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე: culture@24hours.ge

რუსებს "მაკდონალდსის კულტურის" ეშინიათ. ჩვენ?

თეონა ჯაფარიძე

ტელევიზორს ვუყურებ. "ხუთი საათია მივფრინავთ და ძლივს გადავუფრინეთ რუსეთს. დიდი ქვეყანაა" – ამბობს ამერიკაში ოფიციალურ ვიზიტზე მიმავალი საქართველოს პრეზიდენტი და მოგვიანებით გლობალიზაციაზე ესაუბრება ამერიკელებს.

პარალელურად სატელევიზიო პროგრამების სხვადასხვა არხებს ვათვალიერებ და მოულოდნელად ერთ-ერთ არხზე ასეთ ფრაზას ვაწყდები: "ჩვენ, რუს ხალხს გენეტიკურად არ გაგვაჩნია თავდაცვის ელემენტები, რომ გლობალიზაციის ეპოქაში შევინარჩუნოთ ნაციონალური კულტურა. ეს დიდი ხალხის პრობლემაა." ეს ტელეარხი Мир-ია და გადაცემას C.C.C.P ჰქვია. გადაცემის თემა "კულტურული ექსპორტია", სტუმრები კი ცნობილი მიუზიკლების "მეტროსა" და "ნოტრ-დამის" პროდიუსერი ეკატერინე ფონ გეტმენ-ვოლდეკი და მოძრაობა "ევრაზიის" ლიდერი ალექსანდრე დუგინი არიან. თბილისიდან გადაცემას სერგი გვარჯალაძე ერთვება, როგორც ერთ-ერთი დასავლურ ყაიდაზე მომუშავე თბილისური კლუბის - "აჭარა მიუზიკ-ჰოლის" წარმომადგენელი.

დიდი და პატარა ქვეყნების შიში გლობალურ კულტურასთან მიმართებაში დღეს აქტუალური თემაა: თავის დროზე ეშინოდათ "ევროპაში გაჭრილი ფანჯრის". დღეს თავის მხრივ ევროპასაც კი ეშინია ე.წ. "მაკდონალდსის კულტურისა". კულტუროლოგები დღეს ამტკიცებენ, რომ მას-კულტურამ მოკლა მაღალი კულტურა. პოპ-კულტურა, რომელმაც მთელი მსოფლიო დაიპყრო, არაფერია, თუ არა ყველა დროის კულტურული მემკვიდრეობის რემიქსი. ოღონდ მას გაწყვეტილი აქვს კონტექსტუალური კავშირი ისტორიასთან და მხოლოდ კომერციული თვალსაზრისით გამოიყენება... მას კოკა-კოლას ბოთლს ადარებენ, რომლის მეორადი გამოყენება შესაძლებელია, ისევე როგორც ძველი ფირფიტებისა, საიდანაც დღეს რემიქსებს ქმნიან.

ეკო ბასილაია ფოტო

ემუქრება თუ არა მაკდონალდიზაცია ქართულ კულტურას?

გადაცემა CCCP-ის რუსი სტუმრები განსაკუთრებულად მწვავედ განიცდიან მაკდონალდსის კულტურის ექსპანსიას ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე: "საბჭოთა კავშირის დანგრევასთან ერთად დაინგრა საბჭოთა კულტურაც. ვიდრე გონს მოვედით და ახალი შევქმენით, ცარიელი ადგილი "მაკდონალდსის კულტურამ" დაიკავა. როგორ გავუმკლავდეთ მას?" – კითხულობენ ისინი და შენდეგ ისევ მიუზიკლ "ნოტრ-დამს", იხსენებენ, "რომელმაც მიუხედავად გამოკვეთილი დასავლური ჟანრულობისა, რუსი მსახიობების ოსტატობით რუსული სული და ხასიათი წამოსწია წინა პლანზე და პარალელურად ადაპტაცია მოახერხა გაბატონებულ პოპ-კულტურასთან. ე.ი. შეიქმნა პროდუქტი, რომლის გაყიდვაც შესაძლებელი გახდა."

გადაცემის ქართველი სტუმარი მშვიდად ხვდება კოკა-კოლით, მაიკლ ჯექსონითა და მაკდონალდსით გამოწვეულ შიშს და ამტკიცებს, რომ ისეთი პატარა ქვეყნიდანაც კი, როგორიც საქართველოა, შესაძლებელია გავლენა მოახდინო გლობალურ კულტურაზე. მაგალითისთვის მას ბრიტანულ ჩარტებში ამ ბოლო დროს პირველ ადგილზე მოხვედრილი ქართველი მომღერალი ქეთი მელუა მოჰყავს, იხსენებს საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მუსიკოსთა ემიგრაციას დასავლეთში, რომელთა ცხოვრებაც და შემოქმედებაც უკვე დასავლური შოუ-ბიზნესის ნაწილი გახდა და მიგვითითებს გერმანიაში თურქულენოვანი რეპ-ჯგუფების მომრავლებაზე. "მაკდონალდსის კულტურა საშიში სულაც არ არის ნაციონალური კულტურისათვის, უბრალოდ პრობლემა იმაშია, რომ ჩვენ ვიღებთ დასავლურ ტექნოლოგიებს, მაგრამ არ ვიცით როგორ გამოვიყენოთ ის. არ გვყავს კულტურის პროფესიონალი მენეჯერები თუ პროდიუსერები. ალბათ საჭიროა კულტურისათვის მოპოვებული გრანტები სწორედ ამ მიმართულებით, საგანმანათლებლო მიმართულებით დაიხარჯოს." – ამბობს სერგი, და შემდეგ სუხიშვილების განახლებულ საკლუბო პროექტს, "ასა ფართის" იხსენებს, რომლითაც გადაცემის დანარჩენი სტუმრებიც აღფრთოვანებულები არიან. (როგორც ჩანს მათ განახლებული ქართული ნაციონალური ბალეტი პეტერბურგულ გასტროლებზე უნახავთ) სუხიშვილებმა მოახერხეს გამკლავებოდნენ დასავლურ ექსპანსიას და მშვენიერი ექსპორტიც შექმნეს. უფრო მეტიც: "დღეს საქართველოში თითქმის ყოველი ოჯახიდან ბავშვები ნაციონალურ ცეკვებზე დაჰყავთ. ეს სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით, მთავრობის კულტურული პოლიტიკა არაა. მაგრამ ეს ჩვენთან თავისთავად ხდება." – ამბობს სერგი.

ნაციონალურ ცეკვებზე, გადაცემის რუს სტუმრებს ნაციონალური კოსტუმებიც ახსენდებათ: "იქნებ რუსმა დიზაინერებმა და მოდამ მოახერხოს მისი ყოფაში დაბრუნება. ან იქნებ რუსეთის პრეზიდენტმა ან ჩინოვნიკებმა ჩაიცვან დემონსტრაციულად ნაციონალური ტანსაცმელი და ამით შეახსენონ ბეისბოლის კეპებიან რუსებს გლობალიზაციით გამოწვეული საფრთხე. მაგრამ დიდ ერს თავდაცვისათვის არასოდეს არ ეცალა. და არც ახლა სცალია. რუსეთი თავის ენერგიას უფრო დიდ პროექტებში – იმპერიის შექმნაში დებს. ეს ჩვენი მისიაა და უარი არ უნდა ვთქვათ მასზე. იმიტომ რომ, მსოფლიო მისიის გარეშე, რუსი ადამიანი დაიკარგება. " – თავს იმშვიდებენ ისინი.

P.S. დიდი რუსეთის თავზე ხუთსაათიანი ფრენის შემდეგ, საქართველოს პრეზიდენტის თვითმფრინავს, როგორც აღმოჩნდა საწვავი გაუთავდა და ამერიკამდე, ყველასათვის მოულოდნელად გრენლანდიაში, ერთ-ერთ დასახლებულ პუნქტში მოუხდა იძულებითი დაჯდომა. "რუსთავი 2-ის" ჟურნალისტი თავის რეპორტაჟში გადმოსცემდა, რომ "გრენლანდიელმა აბორიგენებმა, რომლებიც ინგლისურად ვერ ლაპარაკობდნენ იცნეს საქართველოს პრეზიდენტი". ეგებ ეს არის გლობალიზაციის სწორი გაგება: ხარ ყველასთან და ყველგან, მაგრამ გცნობენ მხოლოდ შენთვის დამახასიათებელი ნიშნებით. ამისათვის სულაც არაა საჭირო პლანეტარული მისია დაიბრალო.

წერტილ-მძიმე ჯობია, თუ სამი წერტილი

ნანა ბასილაშვილი

თუკი ტაბიძის ქუჩაზე აჭარის წარმომადგენლობაში ოდესმე ყოფილხართ, ჩვენს დედაქალაქში დაფუძნებულ, ახალი საზოგადოების შესახებ, ადვილად შეგიქმნით წარმოდგენას. ფალიაშვილის №60-ში ოფისად ქცეულ საცხოვრებელ ბინაში, ამიერიდან თემურ შაშიაშვილის "დემოკრატიის ცენტრი" იფუნქციონირებს. ცენტრს მრავალპუნქტიანი და ქვეპუნქტიანი სტრუქტურა აქვს შემუშავებული და მისი მთავარი მიზანი შაშიაშვილის თქმით, "ეროვნულ-დემოკრატიული ღირსებების დაცვა იქნება". "მნიშვნელოვნია, რომ დღეს რამდენიმე ადამიანი დემოკრატიის ცენტრის სტრუქტურას ვაყალიბებთ... ჩვენ გვინდა, რომ ქვეყანა ინტელექტუალურ საყრდენზე იყოს და არა პუტჩის... სასიამოვნოა, რომ ჟურნალისტიკაშიც გამოვლინდნენ ადამიანები, რომლებიც ასე უბრალოდ არ მიდიან დათმობაზე...", - ახლად აღმოცენებული "დემოკრატიის ცენტრის" დამფუძნებელი, მისივე თქმით ზოგადსაკაცობრიო იდეების შესახებ, დიდ ხანს საუბრობდა. ბოლოს, შეკრებილ საზოგადოებას დაპირდა, რომ მათი ყოველი მსგავსი

ლევან ნარიმანიძის ფოტო

გურამ დოჩანაშვილი და თემურ შაშიაშვილი

შეხვედრა თუ სხვა საინტერესო წარმოდგენა, მათ მიერვე, სამომავლოდ დაარსებულ გაზეთსა და ჟურნალში გაშუქდება, წლის ბოლოს წიგნად გამოიცემა და რომ სექტემბერში ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, "დემოკრატიის ცენტრის" პირველი გრანდიოზული ყრილობა გაიმართება, სადაც "ქუჩიდან კი არ შეყრიან ხალხს", არამედ იქ თავს მოიყრის განათლებული, ინტელექტუალი და ჭეშმარიტად სამშობლოს სიყვარულით გულანთებული საზოგადოება.

აქვე "დემოკრატიის ცენტრის" სტრუქტურის ერთ-ერთ უპირველეს პუნქტს მოგახსენებთ. ყოველ ორშაბათს, საღამოს 6 საათზე, აქ გაიმართება "განსაკუთრებული აზრის დარბაზი". გუშინ "განსაკუთრებული აზრის დარბაზის" დებიუტი არ ყოფილა. დარბაზს, ასე ვთქვათ ფუნქციონირება უკვე დაწყებული აქვს, თუმცა მან საზოგადოების ყურადღების მიპყრობა მხოლოდ გუშინ მოახერხა. ამდენად, მისმა დამფუძნებელმა ცენტრი ოფიციალურად სწორედ გუშინ წარადგინა. როგორც ბატონმა შაშიაშვილმა აღნიშნა, "განსხვავებული აზრის დარბაზის" მორიგი სტუმარი, ცენტრის საბჭოს წევრებმა ერთხმად შეარჩიეს. მათ მიიწვიეს ადამიანი, რომელიც არასდროს არც ერთ პარტიას არ ეკუთვნოდა და რომელსაც ყოველთვის, ყველა დროში საკუთარი თავი თავადვე ეყუდვნის. "დემოკრატიის ცენტრის" არჩევანი მწერალ გურამ დოჩანაშვილზე შეჩერდა. ვერაფერს იტყვი, ეს მასმედიის ყურადღების მიპყრობის და მათი საშუალებით საზოგადოებაში დაფიქსირების არაჩვეულებრივი საშუალება იყო.

გურამ დოჩანაშვილთან შეხვედრა ყოველთვის ყველასათვის საინტერესო და სასურველია, მითუმეტეს, რომ ეს ის მწერალია, რომელთან შეხვედრითაც საზოგადოება განებივრებული ნამდვილად არ არის. ირაკლი ბათიაშვილთან, დიმიტრი ჯაიანთან და ახალ მთავრობაზე გამწყრალ სხვა ადამიანებთან ერთად, გუშინდელ შეხვედრაზე ბევრი ისეთი ადამიანიც მივიდა, რომელმაც, უბრალოდ გურამ დოჩანაშვილთან შეხვედრის ბედნიერება არ გაუშვა ხელიდან. იმედი არ გაცრუებიათ, თუმცა დასაწყისში მწერალმა საუბარი დღეს არსებული ვითარების ანალიზის უარყოფითი შეფასებებით დაიწყო. "არავინ იფიქროს, რომ ჩემი გამოსვლით ვინმეს ჭკუას ვასწავლი. მინდა უბრალოდ ჩემი განწყობა გაგიზიაროთ", - პოლიტიკას მწერალი, ძირითადად, საუბრის დასაწყისში და დასასრულს შეეხო. მისი საუბრის მთავარი თემა სულ სხვა იყო. მწერალი სიკეთეზე, სახარებაზე, სული წმიდაზე, სიძლიერეზე, სიმამაცეზე და ღმერთზე საუბრობდა.

ჩემგან განსხვავებით, ირაკლი ბათიაშვილმა და სხვა რამდენიმე "ტელევიზორის ნაცნობებმა", ალბათ ზუსტად იცოდნენ სადაც მიდიოდნენ, თუმცა ალბათ არც ასე იყო საქმე, რადგანაც არ ვიცი, საუბრის თემა არ მოეწონათ თუ რისი ბრალი იყო, ბატონ გურამის საუბარის დასრულებამდე გაცილებით ადრე დატოვეს "დემოკრატიის ცენტრის განსაკუთრებული აზრის დარბაზი", ზუსტად არ მახსოვს - "ჩემი საფიქრალი ის არის წერტილ-მძიმე ჯობია, თუ სამი წერტილიო", - ბატონი გურამის ამ სიტყვების შემდეგ, თუ მანამდე.

ნეიკო

გამოფენა მრგვალ ბაღთან

მას ჰქვია ნესტან ნეიძე, ის ახალგაზრდა ქალია. ჯერ კიდევ მაშინ, როცა თბილისის სამხატვრო აკადემიაში, სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე დაზგური გრაფიკის სპეციალობას ეუფლებოდა, მრავალ ჯგუფურ გამოფენაში მიიღო მონაწილეობა. მისი პირველი პერსონალური გამოფენა, "საჭადრაკო ფანტაზიები" – ალბათ, არ გაგიკვირდებათ – ჭადრაკის სასახლეში მოეწყო. შემდეგ ის ერევანშიც წაიღეს, 32-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის აღსანიშნავად.

ნესტანს (ანუ ნეიკოს) და ჭადრაკს საუკეთესო ურთიერთობა აქვთ: ის ინგლისურ საჭადრაკო ჟურნალ EG-სთან თანამშრომლობს, ხოლო 1999 წელს, თბილისში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე ჭადრაკში (ქალთა შორის), მისი გრაფიკული სერია "ფიგურები" პრიზების სახით დარიგდა.

ლევან ნარიმანიძის ფოტო

ნეიკო ნეიძე ფოტოგრაფ აბდალაძესთან ერთად

ნესტან ნეიძე მხატვარ-დიზაინერად რამდენიმე ქართულ გაზეთში მუშაობდა და 11 წიგნის გამფორმებელიც გახლავთ. ის თბილისის კონსერვატორიის საოპერო ჯგუფისეული "ჯადოსნური ფლეიტის" დამდგმელი მხატვარია, და ზემოთაღნიშნულის გარდა, კიდევ რამდენიმე გამოფენა ჰქონდა: 2000 წელს "თი-ბი-სი ბანკში" – მაშინ კოლექციონერებს მისი 11 ნამუშევარი შეუძენიათ. იმავე წელს მან გერმანიაში, ერლანგენში, ეკა ნათენაძესთან ერთად გამოფინა თავის ნამუშევრები.

გუშინ ნეიკოს კიდევ ერთი გამოფენა გაიხსნა, ამჯერად ვაკეში, მრგვალ ბაღთან, გაეროს წარმომადგენლობის ოფისში. მიუხედავად იმისა, რომ ქარი გამვლელებს კედლებს ახეთქებდა და საშინლად ციოდა, დარბაზი სავსე იყო – როგორც ჩანს, თბილისელებს ძალიან უყვართ ხელოვნება – ან ნეიკო ნეიძე.

აუტანელი გოგო, რომელიც უყვართ

კორტნი ლავის ცხოვრება ყოველთვის მხიარული როდი იყო. აი, მისი ერთ-ერთი ეპიზოდი: მოქმედება 1995 წლის "ოსკარის" გადაცემის დროს ხდებოდა. მაშინ კორტნი ჟურნალისტ ლინ ჰირშბერგს დაესხა თავს. ამ ქალმა "ვენიტი ფეარში" დაწერა, კორტნი ჰეროინს ორსულობის პირველ თვეებშიც ეტანებოდაო. მუსიკოსმა ლავმა ჟურნალისტისთვის თავის გასახეთქად "ოსკარის" ქანდაკებას წამოავლო ხელი, სწორედ იმას, რომელიც კვენტინ ტარანტინომ "მაკულატურისთვის" მიიღო.

ეს საქციელი, სავსებით გულწრფელი, ბრწყინვალე შოუდ იყო აღქმული – ასეთ სიმაღლეს თავად კვენტინ ტარანტინოს ხელმძღვანელობით უმა თურმანიც კი ვერ აღწევდა. პრესა წერდა, რომ ამ სცენის წყალობით კორტნი ლავს, თვითმკვლელობის შემდეგ ლამის საკულტო ფიგურად აღიარებული კურტ კობეინის ქვრივს, ქალის როლის საუკეთესო შესრულებისთვის "ოსკარი" ნამდვილად ეკუთვნოდა.

1965 წელს დაბადებული ლავ მიშელ ჰარისონი თავის სახელს და ცხოვრების წესს ჰიპი მშობლებს უმადლის. მრავალი სასამართლო პროცესის მიუხედავად, მის მიმართ საზოგადოების დამოკიდებულება ფრიად არაერთგვაროვანია: ის უყვართ, მაგრამ არ მოსწონთ.

კორტნი ყოველგვარ გაუგებრობაში ეხვევა. ცოტა ხნის წინათ დაპატიმრებას უპირებდნენ, იმის გამო, რომ რიგით სასამართლო მოსმენაზე არ გამოცხადდა, საერთოდ, ქალაქში არ იყო. ამავე დროს თავის სოლო ალბომის, America's Sweetheart-ის გარეკანზე მომღერალი ფრთებითაა გამოსახული, და შორ მარშრუტებზე მიმავალ მძღოლებს ის მფარველი ანგელოზივით საქარე მინაზე ჰყავდათ მიკრული.

წიგნის სახლი წარმოგიდგენთ

ხუთშაბათს, 26 თებერვალს, 17 საათზე ციკლი "ახალი განზომილება" და ზაალ სამადაშვილი მემოთხრობეებისა და თხრობის შესახებ.

მისამართი: გამსახურდიას 31; ტელ:91 07 50

მოკლედ

წიგნი ლაზების შესახებ

გამომცემლობა "აჭარამ" ლაზეთის ისტორიის შესახებ ახალი წიგნი – "საქართველოს იქით" გამოსცა. წიგნის ავტორია რევაზ ბაქრაძე, რომელიც რამდენიმე წლის წინათ თურქეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენელი იყო.

წიგნი ავტორმა თურქეთში ცხოვრებისას დაწერა. მასში შესულია ლაზი მეცნიერისა და მკვლევარის ზურაბ თანდილავას კვლევები, აგრეთვე ლაზების წარმოშობა და დღევანდელი ყოფა საქართველოსა და თურქეთში. "საქართველოს იქეთ" ქართულ ენაზე გამოიცა და უახლოეს მომავალში ის თურქულ ენაზეც ითარგმნება და ის თურქეთშიც გავრცელდება. ***მედია-ნიუსი***

თოჯინების თეატრი სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის

თოჯინების სახელმწიფო თეატრი სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის საქველმოქმედო წარმოდგენებს გამართავს. აქციის ორგანიზატორია ასოციაცია „ერთობა", რომელიც ძირითადად მოსახლეობის დაუცველი ფენების დახმარებას ცდილობს და კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ეწევა. თოჯინების თეატრი გლდანი-მუხიანის რაიონებში მცხოვრებ 120 ბავშვს უმასპინძლებს. თეატრის დასი ძველი და ახალი რეპერტუარიდან რამდენიმე სპექტაკლს შეარჩევს. სპექტაკლები თებერვლის ბოლოს გაიმართება. ***მედია-ნიუსი***

საანგარიშო გამოფენა

ნიკო ფიროსმანის სახელობის დედოფლისწყაროს სამხატვრო სკოლაში ამავე სკოლის აღსაზრდელებისა და რაიონის 40-მდე პროფესიონალი მხატვრის ჯგუფური გამოფენა მიმდინარეობს, რომლის სახელწოდებაა "ჩემი საქართველო".

გამოფენის მონანილეთა ნამუშევრებში წარმოდგენილია როგორც საქართველოს ისტორიული წარსულის, ისე დღევანდელობის ამსახველი სიუჟეტები. გრაფიკული, ფერწერული თუ კომპოზიციური ტილოები სრულიად საქართველოს აერთიანებს.

აღსანიშნავია, რომ ნიკო ფიროსმანის სახელობის დედოფლისწყაროს სამხატვრო სკოლის მოსწავლეებისთვის ეს გამოფენა საანგარიშოა. რამდენიმე საუკეთესო ნამუშევარი საფრანგეთში დაგეგმილ საერთაშორისო გამოფენაზე გაიგზავნება. გამოფენის "ჩემი საქართველოს" მონაწილეთა შორის არიან ნორჩი მხატვრები: მაკა ობოლაშვილი და ნათია კოჭლამაზაშვილი, რომლებმაც ჩეხეთის ქალაქ ლიდიცეში გამართულ 31-ე საერთაშორისო გამოფენაზე გაიმარჯვეს.

ნიკო ფიროსმანის სახელობის ხელოვნების სკოლა 22 წელიწადია ფუნქციონირებს. იქ ამჟამად 200-მდე მოსწავლე ეუფლება ხელოვნების სხვადასხვა დარგს. ***მედია-ნიუსი***

მოჩვენებებთან თამაში

12 მარტიდან ბრიტანულ ტელეარხზე სტარტს აიღებს რეალითი-შოუ I'm Famous And Frightened!, რომლის მონაწილეებიც – შოუ-ბიზნესის, კინოსა და მოდის ვარსკვლავები, ჩაიკეტებიან ჩილინგემის ციხეში, რომელიც თავის მხრივ ცნობილია თავისი მოჩვენებებით.

ანონსების მიხედვით, შოუს მონაწილეებს შორის არიან: სერიალის Coronation Street-ის მსახიობი ჯული გუდიერი, მოდელები: ნენი სორელი და ლინსი დაუნ მაკენზი; რადიოწამყვანი ტობი ანსტისი, ჟურნალისტი ჰერი ბაშელი და სხვა მრავალი, ბრიტანეთში პოპულარული ადამიანი. ისინი ჩილინგემის კედლებში გაატარებენ უიკ-ენდს, სადაც საკუთარი ნერვების გამოცდა მოუწევთ.

ტელეთამაშის შემოსავლის მნიშვნელოვანი ნაწილი საქველმოქმედო ორგანიზაციებს გადაერიცხებათ.

"ოსკარამდე" ხუთი დღით ადრე

პროფესიონალთა გილდიებისა და ევროველების არჩევანი

ორშაბათიდან, 23 თებერვლიდან "ოსკარის" ცერემონიალამდე დარჩენილი ბოლო კვირა დაიწყო. გთავაზობთ, რომ დარჩენილი დრო რაციონალურად გამოვიყენოთ – გადავხედოთ ახალ ამბებს, გავიხსენოთ "ოსკარის" წარსული და ჰოლივუდის მთავარ საზეიმო საღამოს სათანადო ინფორმაციით აღჭურვილნი შევხვდეთ.

შაბათ-კვირა იმით იყო აღსანიშნავი, რომ ეკრანის მსახიობთა გილდიამ პუბლიკას თავისი არჩევანის შესახებ ამცნო. ამ ღონისძიებას ისევე, როგორც "ოსკარამდე" გამართულ ყველა სხვა ცერემონიალს პუბლიკა იმის მინიშნებად იღებს, რაც 29 თებერვალს შეიძლება მოხდეს. ასე რომ, გასულ კვირას შარლიზ თერონის დაჯილდოება საუკეთესო ქალი მსახიობის ტიტულით, იოლად შეიძლება მოასწავებდეს იმას, რომ თერონი იგივე პრიზით "ოსკარზეც" დაჯილდოვდება. თუმცა, წარმოშობით სამხრეთ აფრიკელი მსახიობი, რომელიც "მონსტრში" სერიული მკვლელის როლს ასრულებს, ხელცარიელი დაბრუნდა "ბერლინალედან" – იქ, როგორც ჩანს, მას გაცილებით უფრო მკაცრი სტანდარტებით დახვდნენ, ვიდრე ჰოლივუდშია მიღებული. ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ მსახიობმა თავი უფრო შინაურულად ბევრლი ჰილსზე იგრძნო და არა ბერლინის კინოსასახლეში. ამერიკული აღიარებისთვის ის მადლობას ასე იხდიდა: "პირველ რიგში, ჩემს მფარველ ანგელოზს ვემადლიერები. მადლობას ვუხდი დედაჩემსაც, რომელიც დღეს დარბაზში ზის. 19 წლის ვიყავი, როცა მან ერთი მიმართულების ბილეთი ამიღო და ჰოლივუდში გამომისტუმრა. გმადლობთ, დედა მაშინ ამხელა სიმამაცე რომ გამოავლინე და ოცნების ახდენაში დამეხმარე".

მოგვიანებით თერონმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ჰოლივუდელი ქალები ხშირად არ თამაშობენ უარყოფით, არასწორხაზოვან როლებს, ისეთებს, როგორების ოსტატებიც ჯეკ ნიკოლსონი, დასტინ ჰოფმანი და რობერტ დე ნირო არიან. "ქალები იშვიათად მონაწილეობენ ისეთ ფილმებში, როგორიცაა "ვის ეშინია ვირჯინია ვულფის?". სასურველია, რომ სცენარისტებმა მსგავსი როლები ქალებისთვისაც ხშირად წერონ".

კინომსახიობთა გილდიამ ერთი მოულოდნელი გადაწყვეტილებაც მიიღო – საუკეთესო მსახიობი მამაკაცის ტიტული მიანიჭა ჯონი დეპს, როცა ყველა ელოდა, რომ საუკეთესოთა შორის საუკეთესო შონ პენი გახდებოდა "იდუმალ მდინარეში" შესრულებული როლისთვის. დეპი, რომელიც მეკობრის როლს ასრულებს ფილმში "კარიბის ზღვის მეკობრეები", საღამოს არ ესწრებოდა. მის ნაცვლად ალ პაჩინო ალაპარაკდა: "მიხარია რომ ჯილდო დეპს გადაეცა. მას შეიძლება ცოტა უცნაური კაცის რეპუტაცია ჰქონდეს, მაგრამ სინამდვილეში ჯონი შესანიშნავი მსახიობია. ეს მან სხვადასხვა დროს შესრულებული როლებით დაგვიმტკიცა". თავად პაჩინომ იგივე ტიტული საკაბელო ტელევიზიის მინი-სერიალში "ანგელოზები ამერიკაში" შესრულებული როლისთვის მიიღო. დაჯილდოვდა იგივე სერიალში მისი პარტნიორი მერილ სტრიპიც.

შარლიზ თერონი და კლინტ ისტვუდი

ალ პაჩინო

საუკეთესო მსახიობთა დასის პრიზი "ბეჭდების მბრძანებელს" გადაეცა. სცენაზე მადლობის გადასახდელად ლივ ტაილერი, შონ ოსტინი, ბილი ბოიდი და ენდი სერკისი ავიდნენ. შარშან იგივე ჯილდოს მისაღებად სცენა მიუზიკლ "ჩიკაგოს" დასს ჰქონდა დაპყრობილი.

მეორეხარისხოვანი მსახიობების პრიზები ასე განაწილდა: მამამაკაცებიდან ტიმ რობინსი აირჩიეს "იდუმალ მდინარეში" შესრულებული როლისთვის, ქალებიდან კი – რენე ზელვეგერი "ცივ მთაში" თამაშისთვის.

საეკრანო მსახიობთა გილდიის ეს არჩევანი მართლაც ყურადღებით უნდა დავიმახსოვროთ. ორგანიზაციის 1300 წევრი ხომ კინოაკადემიის ამომრჩეველთა 5800 კაცშიც შედის – ასე რომ, უკვე უნდა ვიგულისხმოთ, რომ 5800-დან 1300-მა "ოსკარები" სწორედ ისე გაანაწილა, როგორც ზემოთ მოგახსენეთ.

თუმცა, ამ დღეებში გაიმართა კიდევ რამდენიმე ისეთი ღონისძიება, რომლებიც "ოსკარის" შედეგების პროგნოზირებაში დაგვემხარება. დიდი ბრიტანეთის რეჟისორთა გილდიამ შაბათს საუკეთესო საერთაშორისო ფილმად "ბეჭდების მბრძანებელი" დაასახელა. ამერიკელ სცენარისტთა გილდიამ კი "ამერიკული ბრწყინვალება" და "თარგმანში დაკარგული" გამოარჩია – პირველი საუკეთესო ადაპტირებული სცენარის, მეორე კი – საუკეთესო ორიგინალური სცენარისთვის. "ცეზარის" – ამერიკული "ოსკარისა" და ბრიტანული "ბაფტას" ფრანგული ეკვივალენტის საზეიმო ცერემონიალს მასპინძლობდა საფრანგეთიც. "ცეზარის" ჟიურიმ საუკეთესო უცხოურ ფილმად კლინტ ისტვუდის "იდუმალი მდინარე" დაასახელა. კანადელი დენის არკანის "ბარბაროსების შემოსევა" კი საუკეთესო ფილმი გახდა.

შეგახსენებთ, რომ ზემოთ ბრიტანეთში, საფრანგეთსა და ამერიკაში გამართული ცერემონიალებიდან მხოლოდ ის ფილმები და მსახიობები გამოვყავით, რომლებიც "ოსკარზეც" არიან წარდგენილნი და რომელთაც გამარჯვების ამბიციაც აქვთ. საინტერესოა, რით დასრულდება "კინორალი" 29 თებერვალს.

სექსი დიდ ქალაქში და დიდ ეკრანზე

უკვე დღეიდან, დიდ ქალაქში გამართული სექსის პერიპეტიები ამერიკული ტელეეთერის ისტორია გახლავთ – კვირა საღამოს ხომ სერიალის ბოლო, მეექვსე სეზონის უკანასკნელი ნაწილი უჩვენეს.

ბოლოს ოთხივე ქალმა სიყვარული იპოვა, თუმცა, თავისებურად. როგორც სერიალის ფანები იმედოვნებდნენ კერი ბრედშოუ მისტერ ბიგთან დარჩა. კრის ნოტის პერსონაჟმა მოახერხა, სარა ჯესიკა პარკერის გმირი რუსი ხელოვანის (შეგახსენებთ მის როლს ცნობილი მოცეკვავე მიხაილ ბარიშნიკოვი ასრულებდა) კლანჭებიდან დაეხსნა. "კერი შენ ერთადერთი ხარ", - განუცხადა ბიგმა კერის პარიზის ქუჩებში სეირნობისას. "მაკოცე, შე მტირალა", - უპასუხა კერიმ, - "ნიუ იორკი მენატრება, წამიყვანე სახლში!" და ბიგმაც კერი შინ წაიყვანა. ამასობაში, მანჰეტენზე შარლოტა (კრისტინ დევისი) და მისი მეუღლე ჰარი (ევან ჰანდლერი) ბავშვის აყვანაზე მსჯელობენ. სამხრეთ კაროლინელი წყვილი გადაიფიქრებს მათთან კონტრაქტის გაფორმებას, მაგრამ ახალ ბავშვზე შარლოტა წინადადებას ჩინეთიდან მიიღებს. ასე რომ, ბოლოს-დაბოლოს, მასაც ეღირსება ნანატრი შვილი.

ბრუკლინში კი მირანდა (სინტია ნიქსონი) ისწავლის, როგორ შეიყვაროს დედამთილი. სტივის (დევიდ ეიგენბერგი) დედა ინფარქტის შემდეგ მათთან გადმოვა საცხოვრებლად და მირანდაც იძულებული ხდება დედამთილს აბაზანები მიაღებინოს. სიყვარულს ბოლოს სამანტა ჯონსიც (კიმ კეტრელი) კი იპოვის. ის ბოლო სერიების განმავლობაში მკერდის კიბოს ქიმიოთერაპიით მკურნალობდა, ბოლოს კი ერთგულების ფიცს თავისზე ახალგაზრდა საყვარელს სმიტს (ჯეისონ ლუისჯი) ჩამოართმევს. სმიტიც შუაღამეს დაადგება სამანტას თავზე და ნამდვილ სიყვარულში გამოუტყდება. ბოლოს კადრში ნიუ იორკის ქუჩებში მოხეტიალე კერი ბრედოუში ჩანს, მხიარული სახით, ის მიდის და თან ფიქრობს, რომ ყველაფერი შესანიშნავად არის. აი, ასე მთავრდება სერიალი ტელერაკზე. თუმცა, როგორც ამბობენ, ეს დასასრული არ იქნება. მანჰეტენელი გოგონები ჩვენს ტელეეთერში ცხოვრებას კვლავაც გააგრძელებენ, ოღონდ ამჯერად კინოფილმის სახით.

კიმ კატრალი, სინტია ნიქსონი, კრისტინ დევისი

როგორც რამდენიმე დღის წინ, სერიალის აღმასრულებელმა პროდიუსერმა მაიკლ პატრიკმა განაცხადა, ის უკვე წერს სცენარს მომავალი სურათისთვის, რომელშიც სავარაუდოდ იგივე მსახიობები დაკავდებიან. პატრიკის თქმით, ტელესერიალის კინოვერსიაში საბოლოოდ უნდა დასრულდეს ცნობილი პერსონაჟების სექსუალური და სოციალური თავგადასავლები. ის თავად იქნება ფილმის რეჟისორი, თუმცა, ჯერ არ იცის, თუ რომელი სტუდია იკისრებს დისტრიბუციის ვალდებულებებს და საერთოდ როდის იხილავს დღის შუქს დიდ ეკრანზე დიდ ქალაქში გაჩაღებული "სექსი".

სერიალი ამერიკულ ტელეეთერში პირველად 1998 წელს გავიდა და მრავალი პრესტიჟული ჯილდო მოიპოვა. ის გახდა კაბელური არხის პირველი სერიალი, რომელიც, როგორც საუკეთესო კომედიური შოუ, 2001 წელს "ემით" დაჯილდოვდა. გოგონებმა ყველაზე კრიტიკულად განწყობილი კრიტიკოსებიც კი აღაფრთოვანეს და მიმდევართა ურიცხვი არმია გაიჩინეს. სარა ჯესიკა პარკერსა და მის მეგობრებს, უპირველეს ყოვლისა, ინდივიდუალური მოდის ჩამოყალიბებას "აბრალებენ". უკვე არსებობს ის ტანსაცმელი და აქსესუარები, რომლთაც ექსკლუზიურად სარა და მისი დაქალები ატარებენ და რომელთა შეძენაც მერე ყველა ქალის სურვილი ხდება.

ერთი სიტყვით, "სექსი დიდ ქალაქში" ამერიკელებისთვის დღეს დასრულდა. თუმცა, სანამ ეს სასაცილო და სექსუალური ამბები კინოეკრანზე გაგრძელდება, სარა და მისი მეგობრები სერიალის დროინდელი მოგონებებითა და ტანსაცმლით იცხოვრებენ – კონტრაქტის გათვალისწინებით, გადაღებების დროს შექმნილი კოსტუმები ხომ მათი საკუთრება გახდა. ასე რომ, სარა ჯესიკა პარკერს უხვად რჩება თავისი პერსონაჟის უცნაური ჰობის წყალობით შეძენილი "მანოლო ბლაჰნიკის" ფეხსაცმელები, "დოლჩე & გაბანას" ბლუზები და კაბები, პოლ სმიტის კაშნეები, კიმ კეტრელი შინ სამანატას ნაქონ სექსუალურ კაბებს, ფერად კოსტუმებსა და ღრმად დეკოლტირებულ პერანგებს წაიღებს. არ დაიჩაგრებიან არც სინტიასა და შარლოტას როლების შემსრულებლები. კრისტინ დევისი, იგივე შარლოტა ამბობს: "ჩემმა პერსონაჟმა მრავალი ძველმოდური კაბა და ფეხსაცმელი მისახსოვრა. თუმცა, ზოგიერთებზე შეგნებულად ვთქვი უარი - ფეხებს მტკენდა".

დაბოლოს, უკანასკნელი ახალი ამბავი ბევრისთვის ფავორიტი სერიალის შესახებ. საეკრანო მსახიობთა გილდიის ცერემონიალზე ოთხ ნიუ იორკელ ქალბატონს საუკეთესო კომედიური დასის მორიგი საპატიო პრიზი გადასცეს. უნდა ითქვას, რომ იგივე ჯილდო მათ ორი წლის წინაც მიიღეს. სარა ჯესიკა პარკერი კი საუკეთესო კომიკოსი ტელემსახიობის ტიტულით 2001 წელს დაჯილდოვეს.

ნაადრევად ავინიონის შესახებ

მოემზადეთ ფრანგულ-გერმანული მეგობრობის დემონსტრირებისთვის

მართალია, ავინიონის თეატრალური ფესტივალის დასაწყისს ივლისში უნდა ველოდოთ, მაგრამ ფესტივალის პროგრამა როგორც არასდროს, წელს განსაკუთრებით ნაადრევად გახდა ცნობილი. ფესტივალის ახალი ხელმძღვანელობა, რომელიც ყოფილი პრეზიდენტის, ბერნარ ფევრ დარსიეს 22 წლიანი მმართველობის შემდეგ შეიცვალა, საჭიროდ მიიჩნევს, უკვე ისაუბროს საკუთარი გეგმებისა და პროგრამის შესახებ.

ავინიონის ორივე ახლადდანიშნული დირექტორის ასაკი ჯამში თითქმის გამოცდილი ბერნარ ფევრ დარსიეს ასაკს უტოლდება. ენსან ბოდრიიე (რომელიც ფესტივალის მხატვრულ პოლიტიკას განსაზღვრავს) 35 წლისაა, გორტენზი არშამბო (მას ადმინისტრაციული მხარე ჩააბარეს) – 32 წლის. ახალგაზრდა და ენერგიულმა ხელმძღვანელებმა მუშაობა რამდენიმე საკმაოდ რადიკალური ჟესტით დაიწყეს.

რეორგანიზაციის მთავარი სიახლე იმაშია, რომ ამიერიდან საფესტივალო პროგრამის პასუხისმგებლობას ავინიონის ხელმძღვანელობა რომელიმე მსხვილ ევროპელ რეჟისორთან ერთად გაიზიარებს. მიწვეული რეჟისორების სია განსაზღვრულია 2007 წლამდე. 2005-ში პროგრამის ფორმირებაში მონაწილეობას მიიღებს ბელგიელი იან ფაბრი, 2006-ში უნგრელი - ჟოზეფ ნაჯი, ხოლო 2007-ში - ფრანგი ფრედერიკ ფისბახი. "ავინიონი 2004-ის" გმირი კი იქნება ბერლინის "შაუბიუნეს" თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი თომას ოსტერმაიერი, რომელიც ოცდაათიანი წლების თაობას ეკუთვნის. "ის, რომ მუშაობას გერმანელებთან ერთად ვიწყებთ, სერიოზული ნიშანია ფესტივალისთვის, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაარსდა", - განაცხადა გორტენზია არშამბომ.



ავინიონის ხედი

ავინიონის ორივე ახლადდანიშნული დირექტორი ასაკი ჯამში თითქმის გამოცდილი ბერნარ ფევრ დარსიეს ასაკს უტოლდება. ენსან ბოდრიიე (რომელიც ფესტივალის მხატვრულ პოლიტიკას განსაზღვრავს) 35 წლისაა, გორტენზი არშამბო (მას ადმინისტრაციული მხარე ჩააბარეს) – 32 წლის. ახალგაზრდა და ენერგიულმა ხელმძღვანელებმა მუშაობა რამდენიმე საკმაოდ რადიკალური ჟესტით დაიწყეს.

ავინიონის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სიახლე – პირველად ფესტივალის გახსნა გაიმართება არა პაპის აღლუმების სასახლეში, არამედ შუასაუკუნეების ქალაქის ქუჩებში. თუმცა, არავინ აპირებს დაივიწყოს ფესტივალის მთავარი მოედანი: იქ ოსტერმაიერი ბიუხნერის "ვოიცეკს" აჩვენებს. არ შეიძლება არ მიექცეს ყურადღება წლევანდელი ავინიონის პროგრამაში გაკეთებულ აშკარა გერმანულ აქცენტს. თავად ოსტერმაიერი "ვოიცეკის" გარდა, ფესტივალზე წარადგენს იბსენის "ნორას"; გერმანელი ქორეოგრაფი საშა ვალცი – სპექტაკლს, "იმპროვიზაციები". "შაუბიუნეს" მთავარი მეტოქე, ბერლინის თეატრი "ფოლკსბიუნე" ავინიონზე აჩვენებს "კოკაინს", რომლის დამდგმელიც რადიკალი ფრანკ კასტორფია. ფესტივალზე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გერმანული სპექტაკლი იქნება ნაჩვენები, ოღონდ შვეიცარიელების მხრიდან – ესაა კრისტოფ მარტალერის "მიწაზე დაშვება".

თუ არ ჩავთვლით არგენტინულ სპექტაკლს, "მაკდონალდის კლოუნის, რონალდის ისტორია", შარშანდელი, გადადებული ფესტივალისთვის ყოფილი დირექტორის მიერ სიყვარულით შედგენილი აფიშიდან წლევანდელ საფესტივალო პროგრამაში თითქმის არაფერი გადმოუტანიათ. აღმოსავლეთ ევროპის თეატრი, რომელსაც საკმაო ყურადღებას აქცევდა ფევრ დარსიე, თითქმის არანაირად არ ფიგურირებს წლევანდელ აფიშაზე. ასე რომ, "ავინიონი 2004" მხოლოდ ფრანგულ-გერმანული მეგობრობის ნიშნით ჩაივლის.

დაბოლოს: ვენსან ბოდრიიე და ჰორტენზია არშამბო წინამორბედი დირექტორისგან განსხვავებით, ფესტივალებს შორის დროს პარიზში არ გაატარებენ. ისინი ავინიონში გადავლენ. ახალმა ხელმძღვანელებმა როგორც ჩანს, გადამწყვეტი უარი უთხრეს ცხოვრების ძველებურ წესს და მზად არიან სიახლეებისთვის.

სვეტი

კოტე.GE

კოტე ყუბანეიშვილი

აზიას რომ ცივად ზურგი უქცია,
საქართველომ შეიძინა ფუნქცია,
რომელითაც ის დასავლეთს ეკრობა
და გონია თავის თავი ევროპა.

■ ■ ■

ქართველს რად უნდა შექსპირი,
სონეტი აფრთხობს დუპლეტებს,
მეტყველებაა ზეპირი
ერთადერთს რაც ცნობს კუპლეტებს.
ქართველს რად უნდა გოეთე,
ანდა ვერტერის განცდები,
მისი გმირია პრომეთე,
თუ რა თქმა უნდა არ ვცდები.
ქართველს რაც ღუპავს, Moneyა
არ მინდა ეჭვით დავება,
ქართველი ამირანია
და ღმერთებს ეჭიდავება.

■ ■ ■

საქართველო სამოთხეა,
ხალხი ცხოვრობს გულოვანი,
ბიზნესს ძირი გამოთხრია,
შედეგია ნულოვანი.

■ ■ ■

ბიჭო ავქსენტი რას შვრები,
რატომ აღმოჩნდი ჩამშვები.

■ ■ ■

ქაჯური აზრის საზეთი
და გოიმობის მკურნალი,
ხომ საჭიროა გაზეთი
და რა თქმა უნდა ჟურნალი.

■ ■ ■

დღესაც ისევ მოთქმა ისმის იობის,
თავის შვილებს კვლავაც ტირის რახილი,
არ თავდება ტანჯვა კაცობრიობის
და ეს გახლავთ დროის გამოძახილი.
ბედის კარტიც უცნაურად ჩაიწყო,
საქართველო დაიტვირთა ფუნქციით
და ახალი საუკუნე დაიწყო
ეკლიანი ვარდის რევოლუციით.

■ ■ ■

ლექსს არ სჭირდება რეზოლუცია,
ლექსს არ სჭირდება ნებართვა მართვის,
ლექსებს წარმოშობს რევოლუცია
და ხმამაღლა თქმა სიტყვების მართლის.

■ ■ ■

ვერაფრით რომ დააბრალებ სიმორცხვეს,
რადგან მისი ძალადობა არ წყდება,
სიკვდილია, სულ რომ ებრძვის სიცოცხლეს
და ზღაპრებში როგორც წესი მარცხდება.

■ ■ ■

ზაზა შენ გელიან

■ ■ ■

დევნა შენ გელაია.

■ ■ ■

ყაზბეგი სიამოვნების მწვერვალი
ყაზბეგი ყინულოვანი სიამოვნება.

■ ■ ■

ადამიანი, როგორც Ჯნუსი,
მისი ბუნება არის ორმაგი,
ხან მას ღმერთივით ტანჯავს ნამუსი,
ხან ეშმაკია მისი ქომაგი.
ადამიანი არის კოსმოსი,
ის მთელ სამყაროს თავში შეიცავს
და გასაღებიც სახელოსნოსი
ხელში უპყრია როგორც შვეიცარს.
თავისუფლება სადავიანი
სწორედ ეს არის ადამიანი.

■ ■ ■

ჯერ კამფეტი, მერე როზგი,
ყალიბდება ასე მოზგი.

■ ■ ■

რა ლუსტრაცია, რის ლუსტრაცია,
თუ არ გვივარგა ილუსტრაცია.

■ ■ ■

თუმცა ვისვრით ირგვლივ ვარდებს,
გამოსწორდეს აქ რომ ყოფა
ამისათვის გადავარდეს
ჯერ ხომ უნდა ბატონყმობა.
მაღლა როგორ აუშვებენ
ამირანებსა თუ დალებს,
სანამდე არ ჩაუშვებენ
ძველ ბობოლა ფეოდალებს.
ასე მართლაც შეიძლება
სახელმწიფო გასავათდეს,
არაფერი შეიცვლება
მეფე რომ არ გასამართლდეს.

■ ■ ■

პოეტი ხომ ის კაცია,
ვინც ლექსს წერს და სხვას ანათლებს,
უყვარს კომუნიკაცია
და არავის ასამართლებს,
არ სჭირდება ინსტანცია,
ენერგიას მასას ართმევს
და მკითხველთან დისტანცია,
ვისაც ბედათ დაანათლეს.

■ ■ ■

ერი რომ არ გადაჯიშდეს,
ცოტა უნდა გავარჯიშდეს.

■ ■ ■

მუსუსური ხელისუფლება.

■ ■ ■

არ ადარდებს მსროლელს ისრის,
ისარს რომელ მხარეს ისვრის,
მთავარია ისე მოხდეს,
რომ ისარი ვინმეს მოხვდეს.

დიდი მატჩის მოლოდინში

ზე რობერტო: "შანსი მხოლოდ მაშინ გვექნება, თუ 110 პროცენტით დავიხარჯებით"

ზე რობერტოს სასწაულის იმედი აქვს.

"ბაიერნსა" და "რეალს" შორის დუელი ორი მეგობრის, ზე რობერტოსა და რობერტო კარლოსის დუელიც არის. ერთი "ბაიერნში" თამაშობს, მეორე - "რეალში". ორივე ბრაზილიის ნაკრების წევრია და მოედნის მიღმა კარგი მეგობრებიც არიან. დღევანდელი მატჩის წინ ზე რობერტოს აზრის მოსმენა იმითაც არის საინტერესო, რომ "ბაიერნში" გადასვლამდე ის მადრიდის "რეალის" ღირსებას იცავდა.

- უკვე დაენაძლევეთ რობერტო კარლოსს?

- არა. მე და რობერტოს ყოველდღიური კონტაქტი ნამდვილად არ გვაქვს. მაგრამ როდესაც ბრაზილიის ნაკრებში ერთად ვთამაშობთ, ახლო ურთიერთობა გვაქვს.

- ყველა აღფრთოვანებულია რობერტო კარლოსის ფეხის სიძლიერით. თქვენც?

- მას, მართლაც, არანორმალური ფეხები აქვს. ასეთი ფეხები არასოდეს მინახავს. არ შევხვედრივარ სხვა არც ერთ ფეხბურთელს, რომელსაც რობერტოს მსგავსი ძალა აქვს. ჩვენ კარგად ვიცით მისი პოტენციალი. ამიტომ საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ, რაც შეიძლება, იშვიათად დავჯარიმდეთ. რობერტო კარლოსს ხომ განუმეორებელი დარტყმა აქვს, ბომბივით დარტყმა.

- თქვენთვის ხომ არ გაუმხელია, საიდან ფლობს ასეთ ძალას?

- წარმოდგენა არ მაქვს. ყოველ შემთხვევაში, ეს ნამდვილად არ არის ნორმალური. მე ამის მხოლოდ ერთი ახსნა მაქვს: თავის დროზე, ალბათ, ბევრ ცხენის ხორცს ჭამდა.

- ერთი წლის განმავლობაში რობერტო კარლოსთან ერთად თქვენც თამაშობდით "რეალში". რატომ ვერ მოიკიდეთ ფეხი ამ გუნდში?

- ჩემი პრობლემა ის იყო, რომ ახალგაზრდა ვიყავი. ევროპაში 22 წლის ასაკში გავემგზავრე, თანაც, პირდაპირ მადრიდის "რეალში". ბრაზილიაში კარგად ვთამაშობდი, თუმცა "რეალში" ჩემი პოტენციალის გამოვლენა ვეღარ შევძელი. არც მწვრთნელი ფაბიო კაპელო მიცნობდა მთლად კარგად. ეს ჩემთვის დიდი პრობლემა იყო. ამის გამო თითქმის არ მინევდა თამაში. ერთი წლის შემდეგ იძულებული გავხდი, ბრაზილიაში დავბრუნებულიყავი.

- თქვენზე კარგად, ალბათ, არავის შეუძლია ამ ორი კლუბის ერთმანეთთან შედარება.

- მადრიდში ისეთივე დიდი ინტერესია "რეალის" მიმართ, როგორც აქ "ბაიერნის" მიმართ. არა აქვს მნიშვნელობა, გულშემატკივრები იქნებიან ეს, მედია თუ კიდევ ვინმე სხვა. ორივე, უბრალოდ, უდიდესი კლუბია. როდესაც ეს გუნდები წააგებენ, ორივე მათგანისთვის უდიდესი ტრაგედიაა.

- სხვა რა მსგავსება ან განსხვავებაა მათ შორის?

- "რეალს" უამრავი ფული აქვს, უამრავ ძვირფას ფეხბურთელს ყიდულობს. "ბაიერნსაც" ბევრი ფული აქვს, თუმცა, ტრანსფერების საკითხს აქ უფრო სერიოზულად, უფრო ფრთხილად უდგებიან. ეს ჩვენთვის, ფეხბურთელებისთვისაც კარგია.

- მატჩის წინ ბევრი აცხადებს, რომ "რეალის" წინააღმდეგ "ბაიერნს" არავითარი შანსი არა აქვს. მართლა ასე უშანსოდ ხართ?

- თუ ჩვენ კონცენტრირებულები ვიქნებით და 110 პროცენტით ვითამაშებთ, მაშინ გვაქვს შანსი. ყველაფერი უნდა გავიღოთ. თუ ერთი პროცენტით ნაკლებად დავიხარჯებით, მაშინ არ გვექნება შანსი.

- დასანანია თუ არა, რომ ეს გუნდები მერვედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს?

- ეს, მართლაც, ვადამდელი ფინალია. ერთმანეთს ხვდება არა მხოლოდ ორი ევროპული კლუბი, არამედ ორი უდიდესი კლუბი. გუნდი, რომელიც ამ ორთაბრძოლას მოიგებს, ჩემპიონთა ლიგის უმთავრესი ფავორიტი იქნება.

- და ვინ არის ფავორიტი ამ მატჩში?

- ფავორიტი, ცხადია, "რეალია". ეს შესანიშნავი გუნდია და განმეორებით, გადამწყვეტ მატჩს საკუთარ მოედანზე ჩაატარებს.

- "ბაიერნს" რეალის ეშინია?

- ჩვენ მათი რიდი გვაქვს. ასეც უნდა იყოს. ჩემი აზრით, "რეალს" მსოფლიოში საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს. მაგრამ ჩვენც დიდი გუნდი ვართ.

TV-სპორტი

სამშაბათი. 24 თებერვალი

НТВ+ ФУТБОЛ

07:30 NBA TV – NBA შიგნიდან
08:00 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2002. პირველი წრე. "NEW JERSEY NETS" - "INDIANA PACERS". მე-5 თამაში
10:00 10:00-დან 13:00-მდე შესვენება
21:00 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "ლოკომოტივი" – "მონაკო". პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:35 ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "სპარტა" – "მილანი". პირველი მატჩი
03:30 ლიბერტადორესის თასი. მატჩების მიმოხილვა
04:00 NBA TV. ყველაფერი კალათბურთის შესახებ
04:30 NBA TV. NBA-ს დიდი თამაშები. წელი 2002. აღმოსავლეთ კონფერენციის ნახევარფინალი. "NEW JERSEY NETS" - "CHARLOTTE HORNETS". მე-5 თამაში
06:30 NBA TV. დღიური

НТВ-ПЛЮС СПОРТ

11:00, 14:05, 17:10, 22:00 პრესცენტრი
11:15, 22:15 "ოლიმპის შვილები"
11:20, 14:20 აერობიკა
11:45 "რკინის ფაქტორი". ოლიმპია 2003-ის საუკეთესო მომენტები
12:15 სპორტული ცეკვები. ევროპის ჩემპიონატი. ევროპული პროგრამა
13:10 "სპორტული გლობუსი". "Trans World Sport" წარმოგიდგენთ
13:35 "ორშაბათამდე მივატანთ"
14:45 ბრძოლა წესების გარეშე - "Ultimate Fighting Championship"
16:10 სინქრონული ცურვა. რუსეთის ღია თასი. დუეტი. ფინალი
17:25 სინქრონული ცურვა. რუსეთის ღია თასი. სოლო. ფინალი
18:25 სათხილამურო ორჭიდი. მსოფლიო თასის ეტაპი ნორვეგიაში. ვაუები. ქალები. სპრინტი. პირდაპირი ტრანსლაცია
20:00 "ვარსკვლავური სამშაბათი"
21:00 სნოუბორდი. მსოფლიო თასის ეტაპი გერმანიაში
21:30 "ბილიარდის მეუფენი"
22:20 სახვალიო ტელეპროგრამა
22:25 სუმო. მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი
23:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. "სელტა" – "არსენალი". პირველი მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
01:35 ახალი ამბები
01:50 კრივი. ევროპის ჩემპიონატი ხორვატიაში. მეოთხედფინალი

EUROSPORT

11:30 მულტისპორტი
12:00 მძლეოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება დიდ ბრიტანეთში
13:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კლასიკა
15:00 ფეხბურთი. ევროგოლები
16:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის ბედნიერი საათი
17:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
17:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
18:00 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგა – სუპერ 16
18:30 სათხილამურო რბენა. მსოფლიო თასი ნორვეგიაში
20:00 ფეხბურთი. ევრო-2004. ჩემპიონთა თაობა
20:30 ფეხბურთი. უეფას ჩემპიონთა ლიგის ბედნიერი საათი
21:30 კრივი. ევროპის ჩემპიონატი ხორვატიაში
00:00 კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი – ათენი
02:30 ახალი ამბები
02:45 ნასკარის ავტორბოლები. ვინსტონის თასი
03:45 მულტისპორტი
04:15 ახალი ამბები

ფეხბურთი

მოემზადეთ - ლიგა იწყება!

აკა ტონია

"ბაიერნი" და "რეალი" კვლავ ერთმანეთს დაუპირისპირდა.

დღეს საღამოს ჩემპიონთა ლიგა ბრუნდება "შვებულებიდან", თანაც, როგორ! – "ბაიერნი" "რეალის" წინააღმდეგ. ამისთვის როგორ არ ღირდა ლოდინი! ფეხბურთის გულშემატკივრებს დღეს ნამდვილი ზეიმი ელით: აშვეთიასა და ასათიანის "ლოკომოტივი" "მონაკოს" წინააღმდეგ – ქართველი გულშემატკივრისთვის ეს მეტად საინტერესო მატჩი დანარჩენ შეხვედრებზე ადრე იწყება და "ბაიერნი"-"რეალის" წინ კარგად "გაგვიხსნის მადას". ამ შეხვედრის პარალელურად კიდევ ორი მატჩი იმართება: "სელტა"-"არსენალი" და კიდევ უფრო საინტერესო "სპარტა"-"მილანი". მოკლედ, მოემზადეთ, ლიგა იწყება!

ლოკომოტივი – მონაკო

მოსკოვის "ლოკომოტივის" მატჩები წლეულს ძალზე საინტერესო გახდა ჩვენთვის. იმის გამო, რომ ამ კლუბში მიხეილ აშვეთია და მალხაზ ასათიანი თამაშობენ, ქართველ გულშემატკივრებს მოსკოველთა ქომაგობაც უწევთ. ცხადია, გვინდა, რომ ჩვენი ფეხბურთელები რაც შეიძლება შორს გავიდნენ ჩემპიონთა ლიგაში. ამის შანსი "ლოკომოტივს" ნამდვილად აქვს. დღევანდელი მატჩის წინ იური სიომინს ბევრი პრობლემა დაუგროვდა. ტრავმირებულები არიან დმიტრი ლოსკოვი, ოლეგ პაშინინი და დეივიდას ჩესნაუსკასი, თუმცა, უკანასკნელი ინფორმაციით, ისინი მაინც შეძლებენ მოედანზე გამოსვლას. სამაგიეროდ, უფრო რთულად არის მარატ იზმაილოვის, რუსლან პიმენოვისა და მაქსიმ ბუზნიკინის საქმეები. მათ გუნდის უკანასკნელ ვარჯიშზე ცალკე, ინდივიდუალური პროგრამით ივარჯიშეს და მათი თამაშის საკითხი ჯერაც სათუოა. ტრავმები არა აქვთ აშვეთიას და ასათიანს. აშვეთია დღეს სასტარტო შემადგენლობაში იქნება, თუმცა, იმედი გვაქვს, მოედანზე ასათიანსაც ვიხილავთ. მან "ლოკომოტივის" მიერ ბოლო დროს ჩატარებულ ყველა ამხანაგურ მატჩში მიიღო მონაწილეობა და "ლოკომოტივის" ხელმძღვანელობა მისით კმაყოფილია.

ბევრი პრობლემა აქვს "მონაკოსაც". წინასწარი ინფორმაციით, დღევანდელ მატჩში ტრავმის გამო ვერ ითამაშებენ ლუდოვიკ ჟული, შაბანი ნონდა, ჟოზეფ ოადოგანი და სებასტიან სკილაჩი.

სელტა – არსენალი

ამ წყვილის უდავო ლიდერი, ცხადია, "არსენალია". ზედიზედ 27 მატჩია, ინგლისის ჩემპიონატში ლონდონელებს არ წაუგიათ. არსენ ვენგერის გუნდი ჩინებულ ფორმაშია. უკანასკნელ შეხვედრაში მათ სტუმრად დაამარცხეს თანაქალაქელი "ჩელსი" (1:2) და "სელტასთან" მატჩსაც დიდი იმედით ხვდებიან. თუმცა, ჩემპიონთა ლიგაში "არსენალი" არასტაბილურად გამოიყურება და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თანაც, კითხვის ნიშნის ქვეშ დგას ლონდონელთა ლიდერის, პატრიკ ვიეირას თამაშის საკითხიც. "ჩელსის" წინააღმდეგ შეხვედრაში მან მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო და დიდია იმის ალბათობა, რომ "სელტასთან" პირველ მატჩს გამოტოვებს. "პატრიკს ყინული ადევს მუხლზე და ჯერ არ ვიცით, შეძლებს თუ არა თამაშს. მისი მებრძოლი ხასიათი რომ ვიცი, მაინც ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. თუმცა, საბოლოო სიტყვა ექიმებზეა", - ამბობს "არსენალის" ფრანგი მწვრთნელი არსენ ვენგერი.

"სელტას" რიგებში პრობლემები აქვს თავდამსხმელ ხესულის. გასულ შაბათს, "მალაგას" წინააღმდეგ მატჩში, მას კუნთი დაეჭიმა და დღეს მისი თამაში სათუოა.

სპარტა – მილანი

კალაძე საბოლოოდ გამოჯანმრთელდა და დღევანდელ მატჩშიც მიიღებს მონაწილეობას. თუმცა, მილანელთა დაცვას ახალი პრობლემა გამოუჩნდა. "ინტერის" წინააღმდეგ უკანასკნელ მატჩში, რომელიც "მილანმა" 3:2 მოიგო, ტრავმა მიიღო ალესანდრო ნესტამ. კარლო ანჩელოტის თქმით, "სპარტას" წინააღმდეგ დღევანდელ შეხვედრაში ნესტას თამაში თითქმის გამორიცხულია. დღევანდელ მატჩში, ალბათ, მონაწილეობას ვერ მიიღებს თავდამსხმელი იონ დალ ტომასონი, რომელიც ასევე "ინტერის" წინააღმდეგ თამაშისას დაშავდა. მაგრამ მილანელთათვის ტომასონის არყოფნა დიდი დანაკლისი არ იქნება. ანდრეი შევჩენკო ჩინებულ ფორმაშია, ხოლო პიპო ინძაგიმ ტრავმა მოიშუშა და დღეს უკვე შეძლებს მოედანზე გამოსვლას.

პრაღის "სპარტას" მწვრთნელს, ჟირი კოტრბას კი ახალი საზრუნავი არ დამატებია. დღევანდელ მატჩში პრაღელთა ერთადერთი დანაკლისი იქნება მცველი მარტინ პეტრასი, რომელიც ტრავმის გამო ისედაც დიდი ხანია, ვეღარ თამაშობს.

ბაიერნი – რეალი

ჩემპიონთა ლიგის დღევანდელი საღამოს ეპიცენტრი მიუნხენში იქნება: "ბაიერნი" "რეალის" წინააღმდეგ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მიუნხენელები წლეულს საუკეთესო ფორმაში არ არიან, "რეალი" ფავორიტად უნდა მივიჩნიოთ, მაგრამ... ამ ორ მეტოქეს შორის აბსოლუტური ფავორიტი არც ერთი გუნდი არ იქნება. "ბაიერნი" საკუთარ შანსს პესიმისტურად უყურებს, თუმცა, ზედმეტად თავდაჯერებული არც "რეალია". მადრიდელები "ბაიერნთან" დაპირისპირებას სერიოზულად უდგებიან და ამის გამო 10 მილიონ ევროზე უარიც კი თქვეს. საქმე ის არის, რომ 2 მარტს სამეფო კლუბი ამხანაგურ მატჩში სამხრეთ აფრიკის ნაკრებს უნდა შეხვედროდა. ამის სანაცვლოდ "რეალი" 10 მილიონ ევროს მიიღებდა. მიუხედავად ამისა, მადრიდელებმა ამ მატჩზე უარი თქვეს და მთლიანად "ბაიერნზე" კონცენტრირება არჩიეს. უკვე ცნობილია, რომ დღევანდელ მატჩს სამეფო კლუბი ოპტიმალური შემადგენლობით ჩაატარებს. გუნდის განაცხადში უკლებლივ ყველა ვარსკვლავია შეყვანილი. "ესპანიოლის" წინააღმდეგ უკანასკნელ მატჩში მიღებული ტრავმის გამო პრობლემები ჰქონდა ივან ელგერას, თუმცა, დღევანდელ შეხვედრაში თამაშს ის მაინც შეძლებს.

სამაგიეროდ, დიდი პრობლემები აქვს "ბაიერნს". კითხვის ნიშნის ქვეშ დგას გუნდის ორი ლიდერის, ოლივერ კანისა და მიხაელ ბალაკის თამაშის საკითხი. კანმა გერმანიის ნაკრებში თამაშისას ზურგის ტრავმა მიიღო, ხოლო ბალაკს ბრონქიტი აქვს. ამ ფეხბურთელების შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ცნობები ვრცელდება. ზოგი საინფორმაციო წყარო იუწყება, რომ მათი თამაში გამორიცხულია, ზოგიც ამტკიცებს, რომ კანი და ბალაკი შეძლებენ მოედანზე გამოსვლას. ამ კითხვაზე ზუსტი პასუხი ჯერ თავად ოტმარ ჰიცფელდსაც არა აქვს. მიუნხენელთა მწვრთნელი ჯერ კიდევ გუშინ აცხადებდა: იმედი მაქვს, "ბაიერნის" ექიმები სასწაულს მოახდენენო.

მადრიდელთა მწვრთნელის, კარლოს კეირუშის თქმით, სამეფო კლუბისთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, შეძლებს თუ არა თამაშს ბალაკი. მისი აზრით, ბალაკის არყოფნაში "ბაიერნი" ნაკლებად სანახაობრივ, მაგრამ უფრო პრაგმატულ ფეხბურთს თამაშობს. კეირუშმა ისიც აღნიშნა, რომ "რეალი" მიუნხენში, დღევანდელ მატჩში აპირებს მერვედფინალის ბედის გადაწყვეტას.

იტალია ახლა მაინც უნდა გახდეს ჩემპიონი!

მომავალი ევრო 2004-ის პროგნოზები

ნინო პირველი

ძაკერონი ჰოლანდიის ნაკრების მწვრთნელობაზე ოცნებობს.

ოთხი წლის წინ იტალიელმა ფეხბურთელებმა და ტიფოზებმა უდიდესი შოკი გადაიტანეს, როცა ევროპის ჩემპიონის ტიტული სულ რაღაც ნახევარ წუთში გაუშვეს ხელიდან. ბელგია-ჰოლანდიაში "სკუადრა აძურა" შესანიშნავ ფორმაში იყო. დამაჯერებლად მიიწევდა წინ და ყველას, ვინც კი გზაზე გადაეღობებოდა, უმოწყალოდ იშორებდა თავიდან. იოლი არ არის ტურნირის მასპინძელი ქვეყნის ნაკრების წინააღმდეგ თამაში. მით უმტეს მაშინ, თუ მასპინძლებს შესანიშნავი გუნდი ჰყავთ და ფინალში გასვლაზე აქვთ პრეტენზია. ნახევარფინალში იტალიელებს ჰოლანდიის გუნდთან მოუხდათ ურთიერთობის გარკვევა და მაინც გაიმარჯვეს, მიუხედავად იმისა, რომ მატჩის გერმანელმა არბიტრმა მარკუს მერკმა ჯერ ჯანლუკა ძამბროტა გააძევა მოედნიდან, მერე კი ჰოლანდიელების სასარგებლოდ ორი პენალტი დანიშნა. დინო ძოფის გუნდი ფინალში გავიდა და... ასეთი მწარე მარცხი იტალიის ნაკრებს 1994 წლის მერე აღარ განუცდია - "სკუადრა აძურამ" მაშინაც ფინალში წააგო და მსოფლიო ჩემპიონი ბრაზილია გახდა. საშინელებაა ფინალში დამარცხება, ძალიან ძნელია ამ უდიდესი იმედგაცრუების დავიწყება. აი, უკვე ოთხი წელი გავიდა, იტალიელებს კი ჯერაც კარგად ახსოვთ ის საშინელი დღე. მომავალ ევროპის ჩემპიონატს კი ყველა დიდი იმედით მოელის, მიუხედავად იმისა, რომ "სკუადრა აძურას" ახლანდელ თავკაცს, ჯოვანი ტრაპატონის ბევრს აკრიტიკებენ და მუშაობის სტილს უწუნებენ. ცოტა ხნის წინ იტალიელებმა ამხანაგური მატჩი გამართეს ჩეხეთის ნაკრების წინაალმდეგ, რომელიც ევროპის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდად ითვლება. იმის მიუხედავად, რომ შეხვედრა ფრედ დასრულდა, ჯოვანი ტრაპატონი მაინც კმაყოფილი დარჩა თავისი ფეხბურთელების თამაშით. "ამ ნაკრებს თავისუფლად შეუძლია, ევროპის ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძოლოს", - განაცხადა "ტრაპმა" მატჩის შემდეგ. იტალიელი სპეციალისტებიც ასე ფიქრობენ. მოკლედ, იტალიაში ყველა დარწმუნებულია, რომ 2004 წელს მაინც გაიმარჯვებს სამართლიანობა და "სკუადრა აძურა" ევროპის ჩემპიონი გახდება. სწორედ ასეთი ოპტიმისტური განწყობა სუფევდა ევრო 2004-ის ოფიციალური სპონსორის, ცნობილი დანიური ლუდის, "კარლსბერგის" ხელმძღვანელობის მიერ მოწყობილ საღამოზე, რომელიც მომავალ ჩემპიონატს მიეძღვნა. სცენაზე ალბერტო ძაკერონი და ჯენე ნიოკი ისხდენენ, ჟურნალისტები და დამსწრე საზოგადოება კი კითხვებს სვამდა, პროფესიონალთა პროგნოზებს ისმენდა და საკუთარ მოსაზრებებს გამოთქვამდა. როგორც გაირკვა, მილანის "ინტერის" მთავარი მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი, რომლის კლუბმაც შაბათს კიდევ ერთი მარცხი განიცადა თანაქალაქელ "მილანთან", ჰოლანდიის ნაკრებთან მუშაობაზე ოცნებობს, ჩეხეთის ეროვნული გუნდი კი ევრო 2004-ის ფავორიტად არ მიაჩნია. ძაკერონის აზრით, A ჯგუფიდან ესპანეთი და პორტუგალია გავლენ მერვედფინალში, B-დან საფრანგეთი და ინგლისი, C ჯგუფში იტალია და დანია აჯობებენ ყველას, D-ში კი ჰოლანდია და გერმანია. იტალიის ნაკრებს, დანიის გარდა, შვეიცარია და ბულგარეთი ჰყავს მეტოქედ. პირველ მატჩს "სკუადრა აძურა" 14 ივნისს გამართავს დანიელებთან...

- ერთი სიტყვით როგორ დაახასიათებდით იტალიის ნაკრების მოწინააღმდეგეებს?

ჯემე ნიოკი: შვეიცარიას სოლიდურ ნაკრებს დავარქმევდი, დანიას - კარგად აწყობილს, ბულგარეთს კი - გაუმართავს.

ალბერტო ძაკერონი: ერთი სიტყვით ძალიან ძნელია ამ სამი გუნდის დახასიათება. სამივეს თავისი სათამაშო სტილი აქვს, რომელიც ძალიან განსხვავდება იტალიური ფეხბურთისგან.

- თქვენი აზრით, რომელი ფეხბურთელები ქმნიან ამ განსხვავებას იტალიის ნაკრებსა და სხვა გუნდებს შორის?

ძაკერონი: ტოტი, დელ პიერო, ვიერი... ისინი ვარსკვლავები არიან, შვეიცარიელებს, დანიელებსა და ბულგარელებს კი არ ჰყავთ ასეთი გამოკვეთილი ლიდერები. მათთან ინდივიდუალურ ოსტატობაზე უფრო მაღლა ჯგუფური თამაში დგას. ამ გუნდებს სწორედ ჯგუფური თამაშის ხარჯზე სურთ წარმატების მოპოვება. ჩვენც არ გვაწყენდა ამ საკითხზე ყურადღების გამახვილება.

- რას ურჩევდით ჯოვანი ტრაპატონის?

ნიოკი: ალბათ, უმჯობესი იქნებოდა, ტოტი-კასანო-ვიერის ტრიოს ხშირად დაყენება თავდასხმაში.

ძაკერონი: არა მგონია, ტრაპატონის ჩემი რჩევები სჭირდებოდეს. ის ბევრს მუშაობს ნაკრებთან და კარგ შედეგებსაც აღწევს. მას ისეთი დიდი გამოცდილება აქვს, რომ პირიქით, ჩემთვის შეუძლია რჩევების მიცემა.

- თქვენი აზრით, რომელი გუნდი გახდება ევრო 2004-ის აღმოჩენა?

ნიოკი: ლატვია. მიუხედავად იმისა, რომ ასეთ ტურნირზე პირველად მონაწილეობს და არავითარი გამოცდილება არა აქვს, საკვალიფიკაციო ეტაპზე ისეთი მტკიცე ხასიათი და ბრძოლის უნარი გამოავლინა, რომ, ალბათ, ჩემპიონატზეც შეძლებს კიდევ ერთი სენსაციის მოხდენას.

ძაკერონი: ჩემი აზრით, პორტუგალიას წარმატების მოპოვების დიდი შანსი აქვს, ბოლოს და ბოლოს, შინ თამაშობს. ესპანეთიც კარგ ფორმაშია. რუსეთი, როგორც ყოველთვის, ახლაც დაუსრულებლობის შთაბეჭდილებას ახდენს. საფრანგეთი? მათ, ალბათ, მოტივაცია არ ეყოფათ. უკანასკნელ წლებში იმდენი რამ მოიგეს... ვფიქრობ, იტალიის ნაკრების მსგავსი პოტენციალი არც ერთ სხვა გუნდს არა აქვს: ინძაგი, დელ პიერო, ვიერი, ტოტი... ყველა მათგანი საოცრად ნიჭიერია. მთავარია, რაიმე სულელური შეცდომა არ დავუშვათ.

- ვის მიიჩნევთ ჩემპიონატის ფავორიტად?

ნიოკი: იტალიას, საფრანგეთს და პორტუგალიას.

ძაკერონი: იტალიას, რადგან ჩვენ ყველაფერი გვაქვს, რაც გამარჯვებისთვისაა საჭირო. ისეთი ფეხბურთელები გვყავს, რომ ყველა შურით გვიყურებს. ჩვენი ვარსკვლავები ახლა საუკეთესო ფორმაში არიან. იტალიის ნაკრებმა წლეულს მაინც უნდა მოიპოვოს ევროპის ჩემპიონის ტიტული.

- სინიორ ძაკერონი, გასულ წელს თქვენ რომის "ლაციოს" წვრთნიდით, ამ სეზონში კი "ინტერის" თავკაცი ხართ. რა განსხვავებაა რომაელ და მილანელ ტიფოზებს შორის?

ძაკერონი: მილანში ტიფოზები საკუთარი გუნდის გამარჯვებით ხარობენ, რომში კი ყველაზე მეტად "ბიძაშვილის", ანუ თანაქალაქელი კლუბის დამარცხება უხარიათ. როცა "ლაციოც" იგებდა და "რომაც", ტიფოზების ბედნიერება სრული არ იყო, ამისთვის მათ აუცილებლად სჭირდებოდათ "რომას" მარცხი. მილანში ასე არ არის.

- წლეულს ვინ გახდება იტალიის ჩემპიონი?

ძაკერონი: "რომა" ან "მილანი".

ინფოთეკა

ფეხბურთი. უახლოეს მომავალში ლონდონის "არსენალს" ახალი სტადიონი ექნება. წინასწარი შეფასებით, ახალი სტადიონის მშენებლობა გუნდს 673 მილიონი დოლარი დაუჯდება. "ბოლო დროს ჩემი მიზანი იყო, გუნდის ხელმძღვანელობისთვის ბიძგი მიმეცა, ახალი სტადიონი უფრო აქტიურად აეშენებინა. ახალი სტადიონი ხომ საშუალებას მოგვცემს, ადგილი დავიმკვიდროთ გრანდების მარაქაში, რომელთაც შესანიშნავი სტადიონები აქვთ", - განაცხადა "არსენალის" მთავარმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა. არენის გახსნა 2006-2007 წლების სეზონის დაწყებისთვის იგეგმება. სტადიონი ლონდონის ჩრდილოეთით, ძველი "ჰაიბერის" სტადიონის გვერდით შენდება და 60 000 გულშემატკივარს დაიტევს.

■ ■ ■

ფეხბურთი. ვლადიკავკაზის "ალანიას" ფრანგი მთავარი მწვრთნელი როლან კურბისი დიდ ცვლილებებს ამზადებს და აპირებს, ოსურ გუნდში მოიწვიოს თანამემამულე, 30 წლის მეკარე სტეფანო პორატო, რომელიც 1997 წელს საფრანგეთის ჩემპიონი გახდა. შეგახსენებთ, რომ პორატო მარსეის "ოლიმპიკის" ძირითადი მეკარე იყო, მაშინ, როცა კლუბში როლან კურბისი მუშაობდა. "ოლიმპიკის" გარდა, პორატომ მოასწრო "ტულონის", "მონაკოსა" და "კრეტეის" გუნდების ღირსების დაცვა. სტეფანმა ერთხელ საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მაისურაც მოირგო. საინტერესოა, რომ 4 წლის წინათ, როცა ფეხბურთელი მარსელიდან მონაკოში გადავიდა, მისი სატრანსფერო ფასი 5,12 მილიონ დოლარს შეადგენდა.

■ ■ ■

ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონს, "მანჩესტერ იუნაიტედს" ჩემპიონთა ლიგის მატჩის წინ სერიოზული პრობლემა შეექმნა. მუხლის მყესების დაზიანების გამო "მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი მიქაელ სილვესტრი სამ კვირას გამოტოვებს. ამის შესახებ გუშინ ალექს ფერგიუსონმა განაცხადა. ფრანგმა მცველმა "ლიდს იუნაიტედის" ფორვარდ ალან სმიტთან შეჯახებისას მიიღო ტრავმა. ამრიგად, ჩემპიონთა ლიგის შეხვედრაში პორტუგალიის "პორტუს" წინააღმდეგ, "მანჩესტერ იუნაიტედი" თავისი ორი წამყვანი მცველის - მიქაელ სილვესტრისა და დისკვალიფიცირებული რიო ფერდინანდის გარეშე ითამაშებს.

■ ■ ■

ფეხბურთი. მიუნხენის "ბაიერნის" ნახევარმცველი მიხაელ ბალაკი, როგორც ჩანს, მონაწილეობას მიიღებს მადრიდის "რეალის" წინააღმდეგ ჩემპიონთა ლიგის მატჩში. ბალაკი, რომელსაც ბრონქიტი აწუხებდა, გამოჯანმრთელდა და კვირას გუნდთან ერთად ივარჯიშა კიდეც. "სამედიცინო თვალსაზრისით, ბალაკს არავითარი პრობლემა არ აწუხებს", - განაცხადა გუნდის ექიმმა ვოლფგანგ პეტერმა. მთავარი მწვრთნელის, ოტმარ ჰიტცფელდის აზრით კი, უარეს შემთხვევაში, ბალაკი მატჩს სათადარიგოთა სკამზე დაიწყებს. ექიმების შეფასებით, "ბაიერნის" კიდევ ერთი ლიდერი ოლივერ კანიც ითამაშებს მადრიდის "რეალის" წინააღმდეგ. ორივე ფეხბურთელმა გამოტოვა გერმანიის ჩემპიონატის უკანასკნელი ტურის მატჩი "ჰამბურგთან", რომელიც "ბაიერნმა" მინიმალური ანგარიშით - 1:0 მოიგო.

■ ■ ■

ფეხბურთი. გუშინ მოსკოვის "ლოკომოტივის" სტადიონზე პრეს-კონფერენცია გამართა საფრანგეთის "მონაკოს" მთავარმა მწვრთნელმა დიდიე დეშამმა. შეკითხვაზე, ითამაშებს თუ არა "ლოკომოტივის" წინააღმდეგ გუნდის კაპიტანი ჟიული, დეშამმა განაცხადა: "ის უკვე ერთი კვირაა ვარჯიშობს. ასრულებს სხვადასხვა ვარჯიშებს. ამასთან დაკავშირებით ჯერჯერობით კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით. მატჩში მისი მონაწილეობის საკითხი უშუალოდ თამაშის წინ გადაწყდება", - თქვა დიდიე დეშამმა. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩზე "ლოკომოტივს" მხარდაჭერა გარანტირებული აქვს. ყველა ბილეთი გაყიდულია და სტადიონზე ანშლაგი იქნება.

■ ■ ■

ჩოგბურთი. გუშინ გამოქვეყნდა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ახალი რეიტინგი. ისევე, როგორც ერთი კვირის წინათ, რეიტინგს შვეიცარიელი როჟე ფედერერი უდგას სათავეში. მის ანგარიშზე 212 ქულაა. მეორე ადგილზეა რუსი მარატ საფინი 140 ქულით. მესამე საფეხურზე კი ესპანელი ხუან კარლოს ფერერო დამკვიდრდა - 126 ქულა. რეიტინგში ყველაზე დიდი ნახტომი გააკეთა მემფისის ტურნირის გამარჯვებულმა იოაჰიმ იოჰანსონმა. ის 34-ე საფეხურიდან მეცხრეზე აღზევდა.

■ ■ ■

კალათბურთი. ლეგენდარული კალათბურთელი ქარიმ აბდულ ჯაბარი, რომელმაც თავისი ხანგრძლივი და შთამბეჭდავი კარიერის განმავლობაში ქულათა რეკორდული მარაგი დააგროვა (38387), "ნიუ-იორკ ნიქსში" სკაუტად იმუშავებს. ამ გადაწყვეტილების ინიციატორი წარსულში ასევე ცნობილი კალათბურთელი, ამჟამად კი "ნიქსის" პრეზიდენტი აიზეა ტომასია. "ტომასი ცდილობს, გუნდის ირგვლივ გამოსადეგი ადამიანები შემოიკრიბოს და შეიძლება ამ საქმეში მას დავეხმარო", - განაცხადა კარიმ აბდულ ჯაბარმა. 56 წლის "ლეიკერსის" ყოფილ ცენტრს ორი წელიწადია, კალათბურთის სფეროში არ უმუშავია - მას შემდეგ, რაც ის ქალაქ ოკლაჰომას გუნდს წვრთნიდა, რომელიც ამერიკის ერთ-ერთ ქვედა დივიზიონში ასპარეზობს. მანამდე ჯაბარი "ინდიანა პეისერსში" და "ლოს-ანჯელეს კლიპერსში" მუშაობდა.

ქალათბურთი

მეფეები და ბედაურები საუკეთესონი არიან

საკრამენტოელი "მეფეები" - NBA-ის საუკეთესო გუნდი.

სანდრო ნავერიანი

გუშინ, გამთენიისას, ოკეანის გაღმა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეგულარული ჩემპიონატის მორიგმა სათამაშო დღემ ლიგის ერთპიროვნული ლიდერი გამოავლინა. გუშინდელ ნომერში ვიუწყებოდით, რომ "მინესოტა თიმბერვულვზი" და "ინდიანა პეისერზი" ლიგის ყველაზე შედეგიანი გუნდები იყვნენ, თუმცა, დღეს ყველაფერი სხვაგვარადაა. მინესოტელმა მგლებმა თავიანთი შეხვედრა "სან-ანტონიო სფურზთან" დათმეს, რითაც ხელი შეუწყვეს "საკრამენტო ქინგზისა" და "ინდიანა პეისერზის" ლიდერობას. მინეაპოლისში, "თარგეთ ცენტრში", მინესოტელმა კალათბურთელებმა ვერაფერი მოუხერხეს ტეხასელ ჩლიქებს და პირველობა, რომელიც მათ ამ თამაშამდე ჰქონდათ, საკრამენტოელ მეფეებს გადაულოცეს. მართალია, კევინ გარნეტმა და სემ კასელმა, საერთო ჯამში, 52 ქულა გააკეთეს, მაგრამ თანაგუნდელებმა ეს ამაგი ვერ დაუფასეს. ვერც ლატრელ სპრიუელი და ვერც მაიკლ ოლოვაკანდი ვერ იყვნენ ოპტიმალურ ფორმაში - მათ, ორივემ ერთად, 19 ქულის მეტი ვერ მოუტანეს მინეაპოლისურ გუნდს, რამაც გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია მატჩის საბოლოო შედეგზე. სანანტონიოელთა რიგებში, როგორც ყოველთვის, ტონი პარკერი და ტიმ დანკანი ბრწყინავდნენ. "სან-ანტონიო სფურზმა" სეზონში ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი მატჩი ჩაატარა. საერთოდ, ტეხასელები არ გამოირჩევიან ლამაზი თამაშით, მათი კოზირი დაცვაა და ამიტომ ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ სახეობას ულამაზოს ხდიან, მაგრამ შედეგს აღწევენ, რაც ყველაზე მთავარია. ტონი პარკერმა და ტიმ დანკანმა, შესაბამისად, 26 და 25 ქულა გააკეთეს. ასევე კარგად ითამაშეს თურქმა ხედო თურქოგლუმ და არგენტინელმა მანიუ ჟინობილიმ. მათ საერთო ჯამში 24 ქულა მოუტანეს საკუთარ გუნდს. "სან-ანტონიო სფურზმა" "მინესოტა თიმბერვულვზი" ორი ქულის სხვაობით (94:92) დაამარცხა. მატჩის შემდეგ ორივე გუნდის წარმომადგენლებმა კომენტარები გააკეთეს. მაიკლ ოლოვაკანდიმ განაცხადა, რომ ერთი მატჩის წაგება არაფერს ნიშნავს და ყველაფერი წინ არის. მაგრამ ამ აზრს არ ეთანხმება არგენტინელი ლეგიონერი მანიუ ჟინობილი, რომელმაც განაცხადა, რომ "მინესოტა თიმბერვულვზზე" გამარჯვება ჩემპიონის ტიტულისკენ გადადგმული კიდევ ერთი ნაბიჯია.

მე ვერ გეტყვით, რა არის წინ გადადგმული ნაბიჯი და რა - არა, მაგრამ ერთის თქმა შემიძლია: ძალიან დიდი ხანია, ასეთი საინტერესო გათამაშება არ ყოფილა. ჯერ იყო და "ბოსტონ სელტიქსი" ყველას და ყველაფერს ნაცარტუტად აქცევდა, მერე "ლოს-ანჯელეს ლეიკერსის" დრო დადგა, შემდეგ "ჩიკაგო ბულზმა", რომელშიც მისი "ჰაეროვნება" მაიკლ ჯორდანი თამაშობდა, არც ერთ გუნდს ჩემპიონობის არანაირი შანსი არ დაუტოვა, ამის შემდეგ ისევ ვარსკვლავებით დახუნძლული "ლოს-ანჯელეს ლეიკერსი" ბატონობდა, მაგრამ ახლა დადგა დრო, როდესაც ამ სამი გუნდის ჰეგემონია დაირღვევა. კინაღამ დამავიწყდა უკანასკნელი ორი სეზონის გამარჯვებული "სან-ანტონიო სფურზი", რომელიც ბოლო ორი წლის განმავლობაში, მართლაც, ღირსეულად ხდებოდა ჩემპიონი, მაგრამ წლეულს ტეხასელები ვერ არიან საუკეთესო ფორმაში და ამიტომ გამოვრიცხავ მათ გაჩემპიონებას.

რაც შეეხება "საკრამენტო ქინგზსა" და "ინდიანა პეისერზს", ეს ორი გუნდი წლევანდელ გათამაშებაში ნამდვილად საუკეთესოა. ინდიანელმა ბედაურებმა სენსაცია მოახდინეს და სეზონის დასაწყისში ერთ-ერთი აუტსაიდერის სახელი ფავორიტის წოდებით შეცვალეს.

რეჯი მილერი, რომელიც სამქულიანს სამქულიანზე აგდებს, მართლაც, მეორე ახალგაზრდობას განიცდის. საკრამენტოელი მეფეების ორი იუგოსლავიელი ლიდერი, პეჟა სტოიაკოვიჩი და ვლადი დივაცი ნებისმიერი გუნდისთვის ანგარიშგასაწევი ძალაა და მათი შეჩერება ძალიან ძნელია.

მოკლედ, ასეა თუ ისე, საუკეთესო გუნდები საკრამენტოელი მეფეები და ინდიანელი ბედაურები არიან და მათი დაოკება დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მარტო ის რად ღირს, რომ ინდიანელები გასვლით მატჩებს უკეთ თამაშობენ, ვიდრე შინ, რაც ყველა გუნდს დიდ თავსატეხს უჩენს. ასე რომ, კალათბურთის მოყვარულებო, ძალიან, ძალიან საინტერესო ოთხი თვე გელით!

აღმოსავლეთ კონფერენცია

ატლანტიკის დივიზიონი

	მ	წ	%
ნიუ-ჯერსი	34	20	0.630
ნიუ-იორკი	26	31	0.456
მაიამი	25	32	0.439
ფილადელფია	23	33	0.411
ბოსტონი	23	35	0.397
ვაშინგტონი	16	38	0.296
ორლანდო	16	42	0.276

ცენტრალური დივიზიონი

ინდიანა	41	15	0.732
დეტროიტი	34	24	0.586
ნიუ-ორლეანი	30	25	0.545
მილუოკი	29	26	0.527
ტორონტო	25	30	0.455
კლივლენდი	22	34	0.393
ატლანტა	18	38	0.321
ჩიკაგო	16	40	0.286

დასავლეთ კონფერენცია

ცენტრალური დასავლეთის დივიზიონი

მინესოტა	40	16	0.714
სან-ანტონიო	37	19	0.661
დალასი	35	20	0.636
მემფისი	33	22	0.600
ჰიუსტონი	32	23	0.582
დენვერი	32	25	0.561
იუტა	27	30	0.474

წყნარი ოკეანის დივიზიონი

საკრამენტო	40	14	0.741
ლ.ა.ლეიკერსი	35	19	0.648
პორტლენდი	27	28	0.491
სიეტლი	26	29	0.473
ლ.ა.კლიპერსი	24	30	0.444
გოლდენ სთეითი	24	30	0.444
ფენიქსი	18	40	0.310

ფორმულა 1

ჩემპიონობაზე მეოცნებე ანალიტიკოსი

რალფ შუმახერს ბოლიდი უნდა და არ უნდა.

გიგა გურასაშვილი

რა და როგორ იქნება, ამას დრო აჩვენებს, მანამდე კი "უილიამსის" გერმანელ პილოტს, რალფ შუმახერს დიდი ძალისხმევა დასჭირდება იმისთვის, რომ მის ირგვლივ შექმნილი უარყოფით აურას თავი დააღწიოს. საქმე ისაა, რომ გერმანელს "უილიამსის" ხელმძღვანელობასთან არცთუ სახარბიელოდ აქვს საქმე. საქმე კი საჯინიბოსთან კონტრაქტს და, შესაბამისად, ფინანსებს ეხება. მსოფლიო ჩემპიონატის სტარტამდე დღეებია დარჩენილი. ასეთ დროს ნებისმიერი მრბოლისთვის გაურკვევლობაში ყოფნა, შესაძლოა, სავალალოც აღმოჩნდეს. რალფ შუმახერს კი, ყველაფერთან ერთად, აუცილებლად პირველობა სჭირდება იმისთვის, რომ გუნდიდან აბარგება არ მოუხდეს. თუმცა, ახლა საქმე ისეა, გამორიცხული არ არის, რალფმა თავად მიატოვოს "უილიამსი", რისი ნიშნებიც უკვე იგრძნობა. ყოველ შემთხვევაში, ფრენ უილიამსის კრიტიკას აღარ ერიდება და აშკარა შეტევაზე გადადის.

"ფრენკ უილიამსმა ძალზე გამიცრუა იმედი, - ცოტა ხნის წინათ აცხადებდა გერმანელი პილოტი, რომელსაც გუნდთან გაჯანჯღლებული კონტრაქტის ისტორია ჰქონდა მხედველობაში (რამდენიმე თვეა, გრძელდება საუბარი რალფსა და საჯინიბოს შორის თანამშრომლობის გახანგრძლივების შესახებ, მაგრამ ფაქტია, შედეგს ჯერჯერობით ვერ მიაღწიეს.- რედ.). – თუ ვინმე რაიმე პირობას მაძლევს და ამას ხელის ჩამორთმევითაც მიდასტურებს, თუ ადამიანია, საკუთარ სიტყვას არ უნდა გადაუხვიოს. მინდოდა, კონტრაქტზე ხელი მომეწერა. მოვილაპარაკეთ კიდეც, რომ ამას დასკვნით ეტაპზე იაპონიის გრან-პრიზე გავაკეთებდით, მაგრამ უცებ ფრენკ უილიამსმა საკუთარი სიტყვა უკან წაიღო".

ასეა თუ ისე, მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონის მიხაელ შუმახერის უმცროსი ძმა გუნდს, უფრო სწორად, დამქირავებლებს, ადანაშაულებს, რომ მათ უარი განაცხადეს, ხელი მოეწერათ იმ ხელშეკრულებაზე, რომელიც სრულად იყო ჩამოყალიბებული და გამზადებული.

"უილიამსს" უფლებას არ მივცემ, ასე მომექცეს", - განაწყენებულმა განაცხადა რალფ შუმახერმა, რომელსაც არც ის მოსწონს, რომ "უილიამსი" მას ფულისადმი გამძაფრებულ ინტერესში ადანაშაულებს, არადა, როგორც თავად აცხადებს, იგი მზად იყო, გასამრჯელოს ნახევარზე უარი ეთქვა. გარდა ამისა, მიაჩნია, რომ "უილიამსს" წინ დიდი პრობლემები ელის. ანუ, თუ საჯინიბო მასთან შეთანხმებაზე ან დათმობაზე არ წავა, მაშინ გუნდი ხუან პაბლო მონტოიასთან ერთად კიდევ ერთ პილოტს დაკარგავს. მონტოია კი გაისად "მაკლარენ-მერსედესის" საჭეს უნდა მიუჯდეს. აქედან გამომდინარე, "უილიამსი" დიდი წნეხის ქვეშ მოექცევა.

"მე და ჩემს მენეჯერს, ვილი ვებერს, ძალიან გაგვიჭირდება თანაგუნდელ მეგობრებთან განშორება, მაგრამ ფრენკ უილიამსს არ მივცემ იმის უფლებას, ასე მომექცეს", - ესეც რალფის მორიგი განცხადება.

ფრენკ უილიამსი კი ირწმუნება, რომ რალფთან შეუთანხმებლობის მიზეზი სწორედ ფინანსური საკითხიაო.

ისე, რომელ გუნდშიც არ უნდა გადავიდეს რალფ შუმახერი, ფაქტია, ეს "ფერარის" საჯინიბო არ იქნება. "უილიამსის" გულაცრუებული პილოტის ძმამ, მიხაელ შუმახერმა, ადრე თქვა კიდეც, არ ვისურვებდი, უმცროს ძმასთან ერთად ერთ გუნდში ასპარეზობასო.

და მაინც, როგორც არ უნდა განვითარდეს მოვლენები, ყველაფრის მიუხედავად, რალფს იმედი აქვს, რომ "უილიამსთან" დიდ წარმატებებს მიაღწევს. განსაკუთრებულ იმედებს კი უკავშირებს ახალ ბოლიდს, რომლის პრეზენტაციაც ახლახან შედგა ესპანეთში, ვალენსიაში: "თუ მანქანა გაგვიმართლებს, მაშინ შეგვეძლება, სერიოზულად ვიფიქროთ ტიტულზეც და იმაზეც, რომ, ბოლოს და ბოლოს, "ფერარიც" შევავიწროოთ".

გარდა ამისა, რალფ შუმახერს მიაჩნია, ყველანაირი შანსი აქვს იმისთვის, რომ 2004 წლის მსოფლიო ჩემპიონის ტიტული მას დარჩეს და, შესაბამისად, საკუთარ ძმას საშუალება არ მისცეს, დაეუფლოს მეშვიდე ტიტულს. ამასთან, მოსწონს, რომ მეწყვილესთან ერთად ერთ დონეზე ასპარეზობს, თუმცა, იმავდროულად, საკუთარი უპირატესობისაც სჯერა. მოსაზრებებს კი იმით ამტკიცებს, რომ ძლიერი ანალიტიკოსი ვარო.

ფეხბურთი

"ჩელსი" იყიდება

რომან აბრამოვიჩის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს.

რომან აბრამოვიჩის ლონდონის "ჩელსი" დიდი ცვლილებების ზღვარზეა. ჩუკოტკის გუბერნატორის ფანტაზიებს საზღვარი არ აქვს, ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ მომავალ სეზონში ლონდონურ კლუბს სრულიად ახალი შემადგენლობა და სახე ექნება.

ლონდონელებმა წლეულს ყველაფერი დაკარგეს. უფრო სწორად, თითქმის ყველაფერი. "არსენალთან" მარცხის შემდეგ ისინი ჩემპიონობისთვის ვეღარ იბრძოლებენ. თასის გათამაშებას კი უფრო ადრე გამოეთიშნენ. ერთადერთი ტურნირი, რომელიც აბრამოვიჩის გუნდს სანუგეშოდ დარჩა, ჩემპიონთა ლიგაა, მაგრამ იქ ისეთი გრანდები თამაშობენ, ნაკლებად სავარაუდოა, "ჩელსიმ" ლიგის მოგება შეძლოს.

ამდენად, ამ არგუმენტების გათვალისწინებით, რომან აბრამოვიჩმა გადაწყვიტა, ფეხბურთელები ისევე ბითუმად გაყიდოს, როგორც შეიძინა. ამიტომ ფეხბურთის სპეციალისტები "ჩელსიში" დიდ სატრანსფერო ცვლილებებს მოელიან. შაბათს კლაუდიო რანიერიმ საქვეყნოდ აღიარა, "ჩელსი" ჩემპიონობისთვის ვეღარ იბრძოლებსო. მშობლიურ "სტემფორდ ბრიჯზე" დამარცხების შემდეგ რანიერის გუნდი "არსენალს" 9 ქულით ჩამორჩება და 2 ქულით უკან არის ქვეყნის ჩემპიონ "მანჩესტერ იუნაიტედზე". ეს აბრამოვიჩისთვის განგაშის პირველი ნიშანი იყო. ჩუკოტკის გუბერნატორს კი განგაშის უყურადღებოდ დატოვება არ სჩვევია.

ახლა "ჩელსის" მხოლოდ ჩემპიონთა ლიგა და მომავალი სეზონისთვის მზადება დარჩენია ნუგეშად. სეზონი ჯერ არ დამთავრებულა, მაგრამ ლონდონელთა ბანაკიდან უკვე გაჟონა ხმებმა დიდი სატრანსფერო ცვლილებების შესახებ. თუმცა, ამჯერად აბრამოვიჩი საფეხბურთო სამყაროს ფეხბურთელთა ბითუმად შეძენით კი არა, მათი ბითუმად გაყიდვით აოცებს. კერძოდ, ლონდონური კლუბის გენერალური დირექტორი პიტერ კენიონი აცხადებს, რომ სეზონის დამთავრების შემდეგ კლუბს ერთბაშად 5 ვეტერანი დატოვებს.

ინგლისური "სანის" ცნობით, ესენი არიან: ავსტრიელი მეკარე იურგენ მაჩო, ჰოლანდიელი მცველები უინსტონ ბოგარდი და მარიო მელხიოტი, ფრანგი ნახევარმცველი ემანუელ პეტი და დანიელი ფორვარდი იესპერ გრონკიაერი.

ჩამოთვლილი ფეხბურთელებიდან ყველაზე ხანდაზმული 34 წლის ემანუელ პეტია. სხვათა შორის, პეტით ვლადიკავკაზის "ალანიას" ახალი მწვრთნელი როლან კურბისია დაინტერესებული. მიმდინარე სეზონში ფრანგმა "ჩელსის" შემადგენლობაში მხოლოდ 3 მატჩი გამართა და გოლი არ გაუტანია. სხვა ფეხბურთელებს, მაგალითად, გრონკიაერსა და მელხიოტს, ძნელია, ხანდაზმული უწოდო. ერთი 27 წლისაა, მეორე 28-ის. თუმცა, მათ ლონდონში გამოსვლისას მაინცდამაინც არაფრით გამოუჩენიათ თავი.

ხსენებული ფეხბურთელების გარდა, საუბარია კიდევ ხუთი ფეხბურთელის გასხვისებაზე, კერძოდ: 30 წლის ნახევარმცველ კლოდ მაკელელეზე, 35 წლის მცველ მარსელ დესაიზე, 30 წლის ფორვარდ ჯიმი ფლოიდ ჰასელბაინკზე და მეკარე ნილ სალივანზე, რომელსაც, სხვათა შორის, დღეს 31 წელი შეუსრულდა. ამას გარდა, ჯერაც უცნობია, დარჩება თუ არა თავის პოსტზე გუნდის მთავარი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი.

აღსანიშნავია, რომ ინფორმაციამ კლუბში მსხვილი სატრანსფერო ცვლილების შესახებ "ჩელსის" ბრიტანელ ფანებში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ხოლო ზოგიერთი მათგანი ფრიად შეაშფოთა კიდეც.

ერთი მხრივ, შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ რომან აბრამოვიჩი გუნდის გაახალგაზრდავების გზით მიდის და ფეხბურთელთა მასობრივ გაყიდვას მათი ასევე მასობრივი შეძენა მოჰყვება. თუმცა, გამოჩნდნენ პესიმისტებიც, რომლებსაც "ტოტენჰემის" სამწუხარო მაგალითი გაახსენდათ. რამდენიმე წლის წინათ კლუბი ერთ-ერთი მსხვილი კომპიუტერული კომპანიის მფლობელმა შეიძინა. მოკლე დროში კი ადამიანი, რომელსაც ფეხბურთის არაფერი გაეგებოდა, იძულებული გახდა, გუნდი გაეყიდა და, ამასთან, დიდი დავალიანება დაეტოვებინა.

ნესტან ნიჟარაძე
იუსტინა მიელნიკიევიჩი

რეპორტაჟები ფოტოკომენტარებით

პირველი ევროპული ფოტოალბომი საქართველოზე

ნიკოლა დეზაგერი. თბილისი 2003
A1 გვერდიდან

თვითგამოხატვის ფორმა და გარკვეულწილად სამყაროსთან კომუნიკაციის შესაძლებლობაც არის. "უფრო სწორედ კი, - განმარტავს იგი, - ფოტოგრაფია ჩემი შინაგანი სამყაროს გარე სამყაროსთან მიმართებაში მოყვანის ოპტიმალური საშუალებაა."

ნიკოლა დეზაგერი ახალგაზრდა ფრანგი ფოტოგრაფია. ახალგაზრდა, მაგრამ არა დამწყები. ფოტოგრაფიაში მუშაობა 80-იანი წლებიდან დაიწყო. "ფოტოგრაფია ბავშვობიდან მიზიდავდა და მაინტერესებდა. ასე რომ, ფოტოს გადაღების პირველი მცდელობები სხვა არაფერი იყო, თუ არა ჩემი მოზარდული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება," - ამბობს იგი. მოგვიანებით ამ დაინტერესებას ფრანგ ფოტოგრაფთა სხვადასხვა ჯგუფებთან თანამშრომლობა, ერთობლივ ფოტოპროექტებზე მუშაობა და საერთაშორისო ფოტოკონკურსებში მოპოვებული პირველი სერიოზული წარმატებებიც მოჰყვა. ამავე პერიოდს ემთხვევა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ინტენსიური მოგზაურობაც: უნგრეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, რუსეთი; და შემდგომ უკვე ვენაში სასწავლებლად გამგზავრება.

1996 წლის გაზაფხულზე სავალდებულო სამხედრო სამსახურის გასავლელად ნიკოლა დეზაგერს ბელფორის შტაბში ანაწილებენ, სადაც მას ბატალიონის ოფიცრების უშუალო მომსახურება ევალება. ეს პერიოდი ნიკოლა დეზაგერისთვის, ძირითადად, მთვრალი გენერლების ბრძანებების და კაპრიზების შესრულების მოგონებებს უკავშირდება. მოსაწყენი ერთფეროვნებისგან თავის დაღწევის მიზნით იგი დაუფიქრებლად თანხმდება შეთავაზებას და სამხედრო სამსახურის გასაგრძელებლად სარაევოში მიემგზავრება ორი ფოტოაპარატით. "მაშინ პირველად გამიჩნდა სურვილი, რომ ნამდვილი ფოტორეპორტაჟი გადამეღო, რათა, პირველ რიგში, მე თვითონ გამეგო, რა არის სინამდვილეში ომი და შემდგომ უკვე ფოტოების მეშვეობით მიმდინარე ომისადმი ჩემი სუბიექტური დამოკიდებულებაც გამომეხატა."

ინგლისური ენის ცოდნა და სარაევოს ფრანგულ შტაბში სამსახური ნიკოლა დეზაგერს სერბ, ბოსნიელ და ხორვატ მომსახურე პერსონალთანაც ურთიერთობის შესაძლებლობას აძლევს. გარდა იმისა, რისი მომსწრეც პირადად ხდება, ბალკანეთის ომის შესახებ იგი ძალიან ბევრს სწორედ მათი მონათხრობიდან იგებს. სარგებლობს ნებისმიერი შემთხვევით, რომ დატოვოს შტაბი და ნანგრევებად ქცეულ ქალაქში ფოტოების გადასაღებად გაემართოს. სარაევოში გატარებულ ხანგრძლივ თვეებზე საუბრისას იგი იმ ეპიზოდსაც იხსენებს, როდესაც ერთ საღამოს სასაფლოდ გადაკეთებული დასასვენებელი პარკის ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ახალგათხრილ საფლავთან პატარა გოგონა და ხანდაზმული ბებია ლოცულობდნენ. ირგვლივ საფლავების და ნანგრევების გარდა არაფერი იყო. "იმ ბავშვის მზერაში იყო რაღაც ისეთი შემზარავი, რისი სიტყვებით გადმოცემაც შეუძლებელია. მე იგი არასდროს დამავიწყდება, - ამბობს ფოტოგრაფი, - მივხვდი, უფრო სწორად კი ვიგრძენი, რომ მის თვალებში ომის მთელი სისასტიკე და დაუნდობლობა ირეკლებოდა. მე, რა თქმა უნდა, ფოტო გადავიღე. ეს ფოტო პირადად ჩემთვის ომის სიმბოლოდ იქცა. ომისა, რომელსაც, სამწუხაროდ, ყველგან ერთი და იგივე შედეგები მოაქვს - სიკვდილი, ნგრევა, დაობლებული ბავშვები და ადამიანთა უბედურება. იქნება ეს ბალკანეთში, ერაყში თუ სადმე სხვაგან." ნიკოლა დეზაგერის მიერ სარაევოში გადაღებული ფოტოები ინტენსიურად იბეჭდება ევროპულ პრესაში. თავად ფოტოგრაფი კი დემობილიზაციის შემდეგ ტოვებს ბალკანეთს და პარიზში ბრუნდება. მას შემდეგ იგი ომის რეპორტიორობაზე უარს ამბობს.

საქართველოში ჩამოსვლამდე ნიკოლა დეზაგერი 1996 წელს უკრაინაში მიემგზავრება, სადაც ფრანგული პრესისთვის რეპორტაჟების სერიას ამზადებს უკრაინაში რელიგიური ტრადიციების აღორძინებაზე, კადეტთა სკოლაზე, კაზაკებზე და სხვა მრავალ თემაზე. უკრაინიდან რუსეთშიც ხვდება და ბოლოს, 1999 წლის ოქტომბერში, საქართველოში. ფოტოჟურნალისტური რეპორტაჟების პარალელულად იწყებს მუშაობას შავთეთრი ფოტოების სერიაზე, რომელიც არ არის პრესისთვის განკუთვნილი და რომელსაც პირადი არქივისთვის ამზადებს; რადგან, მისი აზრით, მხოლოდ პრესის რეპორტაჟებზე მუშაობა რთული, არც თუ ისე საინტერესო და დამთრგუნველიც არის. რედაქტორებთან უთანხმოება ხშირია. მათ, უმეტეს შემთხვევაში, არც კი აქვთ წარმოდგენა იმ სიუჟეტზე, რომლის გადაღებასაც ამა თუ იმ ფოტოგრაფს უკვეთავენ. "მათი აზრი და წარმოდგენები იმაზე, თუ რა უნდა დაიბეჭდოს და რა არა, არ ემთხვევა არც რეალურ სურათს და არც ფოტოგრაფის შეხედულებებს, - ამბობს ნიკოლა დეზაგერი, - ასეთი მომხმარებლური დამოკიდებულება ხშირად აუტანელიც კი ხდება. ჩემთვის კი ძალიან მნიშვნელოვანია შემოქმედებითი თავისუფლება. სწორედ ამიტომ ჯერ კიდევ უკრაინაში პირველი ვიზიტის დროს გადავწყვიტე, რომ პირადად ჩემი ინტერესებიდან და სურვილებიდან გამომდინარე იმ თემებზე ვიმუშავებდი, რომლებსაც არ სჭირდებათ ოპერატიული გაშუქება და რომლებსაც მე წლების მანძილზე არაერთხელ დავუბრუნდები."

თუმცა, მანამდე, ჯერ კიდევ უკრაინაში ყოფნისას, ერთ-ერთ მონასტერში ნიკოლა დეზაგერი თავის თანამემამულეს ხვდება, რომელიც საქართველოში გასამგზავრებლად ემზადება. სწორედ მისი მეშვეობით იგებს პირველად, რომ საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა; რომ ქართველები ზედმიწევნით სტუმართმოყვარე და ლამაზი ხალხია; რომ უძველესი დროიდან შემორჩენილი ტრადიციები ჯერ კიდევ ცოცხალია მათ ყოფაში და რომ... რომ... ორ ფრანგს შორის საქართველოზე საუბარი დილამდე გაგრძელდა. ეს ყველაფერი კი საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ პარიზში დაბრუნებისთანავე ნიკოლა დეზაგერს საქართველოში გასამგზავრებლად დაეწყო მზადება. აქვე აღმოაჩენს იგი, რომ საქართველოს შესახებ ევროპაში არსებული ინფორმაცია ძალიან მწირია. თუმცა, პარიზის ბუკინისტებთან უხვად პოულობს მეოცე საუკუნის დასაწყისის საფოსტო ბარათებს საქართველოს ხედებით. "დარწმუნებული ვიყავი, რომ აქ ვიპოვიდი იმ "განძს", რომლის აღმოჩენაც არა მხოლოდ ჩემთვის იქნებოდა საინტერესო. ისეთი განცდაც კი მქონდა, რომ საქართველოში დაკარგული ცივილიზაციის საძიებლად უნდა ჩამოვსულიყავი. ეს იყო ქვეყანა, რომელიც ჩემთვის იდუმალებით იყო მოცული," - ამბობს ნიკოლა დეზაგერი.

ხოლო როდესაც თავის შთაბეჭდილებებზე საუბრობს, ნიკოლა დეზაგერი ამბობს, რომ, უპირველეს ყოვლისა, ქართველებით მოიხიბლა. იგი ვერც კულტურული მემკვიდრეობით და ტრადიციების მრავალფეროვნებით გაოცებას ფარავს. "აქ პირველივე დღეს აღმოვაჩინე ის, რისი გადაღება და ჩვენებაც ყოველთვის მინდოდა. ეს არის, ერთი მხრივ, ძალიან ლამაზი ქვეყანა და სიცოცხლის მოყვარული მხირული ხალხი, რომელსაც ურთიერთობის და გრძნობების გულწრფელად გამოხატვის საოცარი ნიჭი აქვს," - გვეუბნება ფოტოგრაფი და ამერიკელი მწერლის ჯონ სტაინბეკის წიგნს "რუსული დღიურები" იხსენებს, რომელშიც მწერალი 1954 წელს საქართველოში მოგზაურობის დეტალებსაც აღწერს და რომლისთვისაც ფოტოები ცნობილმა ფოტორეპორტიორმა რობერტ კაპამ გადაიღო.

ნიკოლა დეზაგერი საქართველოში ჩამოსვლისთანავე იღებს გადაწყვეტილებას, ხანგრძლივ ფოტოპროექტზე დაიწყოს მუშაობა, რომელიც საქართველოში გადაღებული ფოტოების წიგნის გამოცემით დასრულდება. ეს მისი ფოტოების პირველი წიგნი იქნება, ისევე, როგორც პირველი ფოტოალბომი, რომელიც მთლიანად საქართველოს მიეძღვნება. წიგნის გამოცემა საფრანგეთში და გერმანიაში 2004 წლის შემოდგომისთვის არის დაგეგმილი სავარაუდო სახელწოდებით "საქართველო - გზების გადაკვეთა". მომავალი წიგნის ავტორი დარწმუნებულია, რომ ამ გამოცემას ევროპელი მკითხველი დიდი ინტერესით შეხვდება. "პირველ რიგში, იმიტომ, რომ ამჟამად მსოფლიოს და მათ შორის ევროპის ინტერესი საქართველოსადმი ძალიან დიდია. და კიდევ იმიტომ, რომ ეს წიგნი ევროპელ მკითხველს ქვეყნის შესახებ გარკვეული ინფორმაციის მიღებაში დაეხმარება. ჩემი აზრით, საქართველო ევროპული კულტურის ქვეყანაც არის და ამავე დროს საკმაოდ ეგზოტიკურიც. სწორედ ამიტომ ევროპელები მათთვის ბევრ ნაცნობ და თან იდუმალებით მოცულსაც აღმოაჩენენ," - ამბობს ფოტოგრაფი.

ნიკოლა დეზაგერი საქართველოში უკვე მესამედ ჩამოვიდა. მომავალი ვიზიტი გაზაფხულისთვის იგეგმება. მაისის თვეში თბილისში წიგნში შემავალი ფოტოებიც გამოიფინება. თბილისში ნიკოლა დეზაგერის პირველი ფოტოგამოფენა, რომელიც საფრანგეთს მიეძღვნა, 2001 წელს გაიმართა.

წიგნი საქართველოს ყველა რეგიონში კახეთიდან-აჭარამდე და აფხაზეთში გადაღებულ ფოტოებსაც მოიცავს. ცალკე თავი მიეძღვნება თბილისს, ერთი თავი ქართველების ყოფაში შემორჩენილ ძველ ტრადიციებს და ადათ-წესებს, ისევე, როგორც კულტურულ და ისტორიულ ძეგლებს. და, რა თქმა უნდა, წიგნის მთავარი პერსონაჟები თავად ქართველები იქნებიან - ისინი, ვისაც ჯერ კიდევ შემორჩა სიცოცხლის ხალისი და სიყვარული, მხიარულება და ემოციების გამოხატვის გულწრფელობა, ანუ ყველაფერი ის, რაც ესოდენ ხიბლავს საქართველოში ჩამოსულ არაქართველებს.

"ჩემი სურვილია, - ამბობს ბოლოს ნიკოლა დეზაგერი, - ამ ფოტოების მეშვეობით ევროპელები ისევე მოიხიბლონ საქართველოთი, როგორც ეს მე დამემართა ხუთი წლის წინ, როდესაც აქ პირველად ჩამოვედი."

ალავერდი 2001

ხულო 2001

მცხეთა 2001

ალავერდი 2001

თბილისი 2001

წიგნიდან ფოტოგრაფის ფოტოტრეხი

რა ხალხი ცხოვრობს ჰოლივუდში

ეს კარგი, საინტერესო, უჩვეულო, და, რაც მთავარია, ახალი ხალხია. ჰოლივუდს ხომ "ახალი" სახეები ძალიან სჭირდება. რიჩარდ გირი და ჯორჯ კლუნი, ლამაზი ბიჭები, ცოტა არ იყოს, მობერდნენ, პაწაწინა ტომ კრუზი კვლავ ყბა-სახის ქირურგთან დადის და ფემინისტების გულის გასახეთქად, მშვენიერ პენელოპასაც უდიერად ექცევა, ლეონარდო დი კაპრიოს კი სახე მეტისმეტად დაუმრგვალდა, და მე რომ მკითხოთ, კულულებიან ვოლოდია ულიანოვს ჩამოჰგავს.

სუპერმენების საქმე კიდევ უარესადაა: შვარცნეგერი პოლიტიკაში გადავარდა, სტალონე აშკარად მოტყდა, აღარც მელ გიბსონია პატარა ბიჭი, ღიპიც კი დაედო. მართალია, ვინ დიზელს ჯერჯერობით არაფერი დამართნია, მაგრამ ის ცოტა მაიმუნს ჰგავს.

ამ ფონზე ამერიკამ ევროპა გაიხსენა და სასწრაფოდ მოახდინა იქიდან სუპერმენის იმპორტი. ამ კაცის შესახებ ცოდნა ნამდვილად ღირს, რადგან მას დიდი მომავალი ელის.

მოგეხსენებათ, მსახიობები ყოველთვის საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრში არიან და სიხარულით ხვდებიან იმას, რომ ხალხმა მათ შესახებ ბევრი რამ იცის. იმას, რასაც ისინი თავად მალავენ, ბულვარული პრესა ამოქექავს ხოლმე. ბრიტანელი ჯეისონ სტატემი ამ თვალსაზრისით უნიკალური მოვლენაა.

დავიწყოთ იმით, რომ არავინ იცის, რამდენი წლისაა. ზოგან წერია, რომ 1966 წელსაა დაბადებული, ზოგან – 1972-შიო. მართალია, დაბადების ადგილი ვიცით: ლონდონის ერთ-ერთი პროლეტარული უბანი. მამამისი ბარში მღეროდა, დედა მკერავი იყო, და ჯეისონის თქმით, "ორივე კარგად ცეკვავს". სად ან რას სწავლობდა – უცნობია, მხოლოდ ის ვიცით, რომ ყოველთვის კარგი სპორტსმენი იყო, წყალში მხტომელი ბრძანდებოდა და 1988 წლის სეულის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობდა, ბრიტანეთის ნაკრების წევრი იყო.

აქედან 90-იანი წლების ბოლომდე, ჯეისონის ცხოვრება ბურუსით მოცულია. მერე უცებ French Connection- ის და Levi's-ის რეკლამებში გაიელვა, 90-იანი წლების ბოლოს კი ლონდონის "ქუჩის თეატრის" წამყვანი მსახიობი იყო.

ჯეისონ სტატემი

კელი ბრუკი

1998 წელს ლონდონის ოქსფორდ სტრიტზე მაშინ ერთი ლონდონელი, გაი რიჩი დაიარებოდა. მას მაშინ ასევე უცნობი ახალგაზრდა, ჯეისონ სტატემი მიადგა და მოპარული შვეიცარული ოქროს საათის შეძენა შესთავაზა. რიჩიმ მხოლოდ სახლში აღმოაჩინა, რომ საათი დაუდგენელი ღირებულისა იყო და დროსაც ისე აჩვენებდა, როგორც გაუხარდებოდა. ის გაჯავრებული დაბრუნდა ოქსფორდ სტრიტზე და ჯეისონს დაეტაკა, მაგრამ იმან აუღელვებლად უთხრა, რომ ცხოვრებაში პირველად ხედავს, რომ ნაქურდალი ნივთების ყიდვა ცუდი საქციელია და საერთოდ, რიჩის უნდა რცხვენოდეს. დამწყებ რეჟისორზე აფერისტის მსახიობურმა მონაცემებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს, და მან ის თავის პირველ ფილმში გადასაღებად მოიწვია: "ბანქო, ფული და ორი ლულა".

სტატემმა საკუთარი თავი ითამაშა, და გაი რიჩი თავს ინონებდა: "ჩემს ფილმში გმირები დამაჯერებლები კი არა, ნამდვილები არიან". მართალია, ჯეისონისთვის ყურადღება დიდად არავის მიუქცევია. სამაგიეროდ, "დიდ "კუშში" მან ბრედ პიტის ბრწყინვალებაც კი დაჩრდილა, და მას შემდეგ ჯეისონს ჩინებულად მისდის საქმე.

სტეტემი მისი გარეგნობით მოხიბლულმა მეტიუ ვოენმა მიიწვია, მერე ლიუკ ბესონმა გადაიღო. ამის მერე, ცხადია, ჰოლივუდიც აღეგზნო, და სექტემბერში საკულტო ბრიტანული ფილმის, "ძარცვა იტალიურად"-ის რემეიკში მთავარ როლს სწორედ სტატემი ასრულებდა.

მშობლიურ ლონდონში მის ვარსკვლავობას არავინ აღიარებს. იქ მას სულ სხვა წოდება აქვს: "კელი ბრუკის ბიჭი". კელიმ, უკანასკნელი წლების ერთ-ერთმა ყველაზე პოპულარულმა ბრიტანელმა ფოტომოდელმა და ჯეისონმა ერთმანეთი საბერძნეთის სანაპიროზე გაიცნეს. კელი მაშინ ჩვიდმეტი წლისა იყო, და ათლეტური აღნაგობის მამაკაცის წყალში ხტომამ მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მათ ერთმანეთი შეუყვარდათ და დღემდე განუყრელნი არიან. ჯეისონისგან განსხვავებით, კელის ინტერვიუს მიცემა უყვარს, ამიტომ მათი პირადი ცხოვრების შესახებ რაღაცები მაინც ცნობილია:

მათ ლოს ანჯელესში პატარა სახლი იყიდეს, და ამ ქალაქში კელი "სტეტემის გოგოა". თავისუფალ დროს ისინი ბევრს ცეკვავენ. ორივეს მიაჩნია, რომ ინტერიერის მაგარი დიზაინერები არიან, და ამიტომ სახლი თვითონ გაარემონტეს. მათ ანტიკვარული ავეჯი უყვართ, ყველანაირ ტანსაცმელს ჯინსებს და მაისურებს ამჯობინებენ, სახლს თვითონ ალაგებენ და საჭმელსაც თვითონ ამზადებენ, მანქანა არა ჰყავთ – მოკლედ, უცნაური ხალხია.



TV პროგრამა

24 თებერვალი

რუსთავი - 2

07.00 დილა მშვიდობისა **08.00** "ტელეიპუცები" **09.40** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **11.00** სერიალი "ჯაშუში" **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 01.50** კურიერი **12.20** "დისკავერი" **13.30** მხ. ფილმი **15.20** მხ. ფილმი **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელეიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "სასტიკი ანგელოზი" **22.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **22.50** ღამის კურიერი **23.45** ჩემპიონთა ლიგა. "ბაიერნი"-"რეალი" **02.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა.

პირველი არხი

07.30 ალიონი **09.45** მულტსერიალი "ტრისტანი და იზოლდა" **10.10** მხ. ფილმი "წითელი მზე" **12.00, 15.00, 20.00, 23.30** მოამბე **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** ნაშუადღევს **14.00** მოამბე ინგლ. ენაზე **14.05** ლერერის შოუ **15.15** მხ. ფილმი "კიკუჯირო" **17.15** დოკ. სერიალი "ჩემი საყვარელი ოჯახი" **17.30** საქართველო და გარე სამყარო **18.00** ვესტნიკი **18.20** ტელესერიალი "სოლედადი" **19.15** და არს მუსიკა **19.40** ბასტი-ბუბუ **21.00** ტელეთამაში "იმღერე რამე" **21.35** "არტე" წარმოგიდგენთ **21.50** ჩვენი ფეხბურთი **22.35** სერიალი "ქალბატონები ზღვისპირეთიდან" **23.45** მხ. ფილმი "თორმეტი სკამი" მე-2ს.

პირველი სტერეო

07.20 პოპ. ად. ათეული **08.00** ტოროლა **11.00** ქართული მუსიკა **13.00** ინფორმატორი **13.30** მუსათეული **14.10** მუსიკა **15.20** ფილმი "ყრუ კვარტალი" მთ.რ-ში ტეი დიგზი, ომარ ეასი. **17.00, 19.15, 22.35** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **23.00** პოპ. ად. ათეული **00.00** "ბრავო" "ბაზა "კლეიტონი" მთ.რ-ში ჯონ ტრავოლტა, კონი ნილსენი. **01.40** "ღამურა" **03.00** პაუზის გარეშე

მზე

09.00 დოკ. სერიალი "ტაიმსლოტი" **10.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** დღის კინოდარბაზი **18.30** მულტსერიალი "ტახირო სულების ქვეყანაში" **19.00** სერიალი "მისი სულის მუსიკა" **20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **21.00** მხ. ფილმი "საქმეები ნიუჯერსიში" (მერონ კორლი) **23.00** მხ. ფილმი "შექანიკოსი" (ჩარზ ბრონსონი)

მეორე არხი

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე **19.10** მულტსერიალი **19.30** კინოსეანსი "კ-მაქსიმალური სიმაღლე" **21.30** ისტორიანი **22.10** მხ. ფილმი "დორიანი"

კავკასია

12.00 მხ. ფილმი "სახლი თურქულ ქუჩაზე" **13.30** "საქმე და ეკონომიკა" **14.30** მხ. ფილმი "შვიდი წელი ტიბეტში" **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **17.15** მხ. ფილმი "ტაქსი 2" **19.20** სპექტრი **21.00** მხ. ფილმი "როგორ გახდე პრინცესა" **00.30** მუსიკა

იბერია

08.00 ანონსი **08.05** დიალოგი **10.00** ბურთი და მოედანი **10.45, 14.50, 17.20, 19.45, 21.40, 23.30, 00.55** მუსიკა **11.00** დოკ. ფილმი **12.00** დოკ. ფილმი **13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45** ახალი ამბები **13.10** მულტფილმი **13.30** დოკ. ფილმი **15.15** მხ. ფილმი "სამი ფერი - ლურჯი" **17.20** ჯაზის საღამოები (განმ.) **17.30, 18.00** დოკ. ფილმი **20.25** მხ. ფილმი "ბეთპოვენი" **22.15, 23.00** დიალოგი **23.45** მხ. ფილმი "სამი ფერი - თეთრი"

მეცხრე არხი

08.00 პროგრამა "დილა" **09.30** დღის ამბები **09.45** პროგრამა "დილა" **10.15, 14.20, 17.50** მუსიკა **10.30** სერიალი "მოჯადოება" **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 00.45** დღის ამბები **11.50** მხ. ფილმი "ცუდი ბიჭები-2" **14.50** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **15.10** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **15.35** სერიალი "ინდიგოს მიწა" **16.35** ქართ. მხ. ფილმი "პოსტ ფანკა" **17.00** მხ. სერიალი "ჯონ როსი" **18.00** მულტფილმი "კონკია" **18.30** მხ. სერიალი "პატარა აინშტაინები" **19.00** სერიალი "ინდიგოს მიწა" **20.00** "ევროპის სტადიონებზე" **22.00** სერიალი "მოჯადოება" **23.00** "ცხელი ცხრიანი" **23.50** სერიალი "80 დღე დედამინის გარშემო" მე-3ს. **01.00** მხ. ფილმი "მოკალი ბილი".

იმედი

07.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 ქრონიკა **07.15, 13.15, 15.15, 16.05, 17.20, 00.40** იმედის მელოდიები **08.00** "იმედის" დილა **10.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **11.05** სპ. პროგრამა "გოლი სერია "ა" **12.10** სერიალი "კლონი" **13.30** "მუღამები" **14.05** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **15.00, 16.00, 17.00** ქრონიკა **15.15** მხ. ფილმი "ხაფანგი" **17.25** სპორტ. პროგრამა "გოლი" **18.00, 19.00, 21.00, 22.00, 00.20** ქრონიკა **18.05** სერიალი "სიყვარული უდაბნოში" **19.30** სერიალი "კლონი" **20.30** სერიალი "ნეშ ბრიჯისი" **21.30** ლარის მახე **22.50** მხ. ფილმი "დამნაშავეებზე მონადირე"

არხი

08.00 მუსიკა **09.00, 12.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** საინფ.გამოშვება "დღეს" **09.20, 12.10, 16.10, 19.15, 22.30, 00.20** საინფ.გამოშვება "ნოვოსტი" **09.30** ზღაპარი "დაბრუნება ოზ-ის ქვეყანაში" **11.20** დოკუმენტური ფილმი **12.20** კომედია "ჩარლის ანგელოზები" **14.00, 18.00** საინფორმაციო დაიჯესტი **14.05** კომედია "ჩარლის ანგელოზები"(გაგრძ.) **14.10** მუსიკა **14.15** დრამა "უბრალო ისტორია" **16.20** მულტფილმი "პოკემონი: შუალამის დარაჯი" **17.25** კომედია "კაროლინა" **19.30** "დღეს მსოფლიოში" **20.10** მუსიკა **20.30** მხატვრული ფილმი "ვასაბი" **22.40** "პოზიცია" **00.40** საინფ. გამოშვება აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე **01.00** საინფ. გამოშვება ინგლისურ და ფრანგულ ენებზე **01.20** თრილერი "შიშის საფასური" **03.25** დოკუმენტური ფილმი **03.55** ისტორიული ფილმი "ბაუნტი"

ОРТ

07.00 "Доброе утро!" **09.45** Выборы-2004 **10.00, 13.00. 16.00, 19.00** Новости **10.20 Боевик "Марш-бросок" 12.40** Дисней-клуб: "Ким Пять-с-плюсом" **13.20 Худ.фильм "Сибириада". Фильм 1 14.40** "Форганг" с М.Никулиным **15.10** Шоу "Город женщин" **16.20 Сериал "Берег мечты" 17.20** "Угадай мелодию" **17.50** "Большая стирка" **19.20** "Шутка за шуткой" **19.50** "Выборы-2004" **20.00 Сериал "Клон" 20.50 Худ.фильм "Моя граница" 22.00, 00.30** "Время" **22.35 Сериал "Улицы разбитых фонарей 5" 23.40** "Тайны века". "Убить Версаче" **01.00** "На футболе" **01.30** "Сканер" **02.00** "Русский экстрим" **02.30 Триллер "Монстр" 04.20 Триллер "Дивный новый мир"**

РТР

06.00 Доброе утро, Россия! **09.45 Боевик "Денежный поезд" 11.50, 14.50, 17.30, 01.25** Вести. Дежурная часть **12.00, 15.00, 18.00, 21.00** Вести **12.20, 15.10, 17.40, 21.30** Местное время. Вести-Москва **12.50** "Что хочет женщина" **13.50** Аншлаг **15.30** "Частная жизнь" **16.30 Сериал "Возвращение Мухтара" 18.10 Сериал "Кобра. Антитеррор". "Гнев" 19.00 Сериал "Небо в горошек" 19.55 Сериал "Тайны следствия-2. Роль жертвы" 21.50** Спокойной ночи, малыши! **21.55 Сериал "Любовь слепа" 23.00 Сериал "Вокзал" 00.00** Вести+ **00.20 Сериал "Идиот" 01.40 Детектив "Железный лабиринт" 03.45** Синемания **04.10** Дорожный патруль **04.25** Агентство одиноких сердец **04.50 Сериал "Навеки Джулия"**

НТВ

07.00 "Утро на НТВ" **09.50** "Женский взгляд". В.Золотухин **10.25** "Без рецепта". Доктор Бранд **11.00** "Сегодня утром" **11.25** Экспедиция Т.Баженова "Дикий мир: Интервью с вампиром" **12.15** Ток-шоу "Страна советов" **13.00, 16.00, 18.00, 20.00, 02.35** "Сегодня" **13.30 Худ.фильм "В августе 44-го..." 15.35** "Протокол" **16.35** Ток-шоу "Принцип домино" **18.30 Сериал "Она написала убийство" 19.35** "Протокол" **20.25 Сериал "На вираже", 1 с. 21.20 Футбол. Лига Чемпионов. "Локомотив" (Россия) - "Монако" (Франция) 23.30** "Страна и мир" **00.05** "Красная стрела" **00.15 Сериал "Без следа: Я буду рядом" 01.20 Сериал "На вираже"**

სკანვორდი



სწავლა ლონდონში

ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გთავაზობთ ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად შემდეგი პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ლორდშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. ხოლო პროგრამები მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები ცხადდება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მიმდინარე კურსის დაწყების თარიღი 2004 წლის 3 აპრილი.

MBA მარკეტინგი / ფინანსები / IT
ელექტრონული კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი

MSc საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი £3950
სანგარძლივობა 16.

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მოსაპოვებლად 2-ნლიანი დამტკიცებული კურსის - BA (Hons) მოლიანი ღირებულებაა £ 6950.

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით სწავლობენ, ერთნლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი £ 1000 გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომელთაც მაღალი აკადემიური მოსწრება არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით:
ნონა მესხიშვილი / ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის მიმღები განყოფილება
მის.: თბილისი, მესტიის 2, სადარბაზო 1, ოფისი 1.
ტელ: 253045, 230284 მობ. 893-352067
E-mail: stmgeorgia@hotmail.com
www.stmlondon.co.uk



ინტიმური ტელეფონი

მობილური 70თ	822 009 108
რაიონი 70თ	822 009 008
თბილისი 50თ	822 009 088
18 წლიდან	822 009 088

განათლების სამინისტროს საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი „მზიური“ გთავაზობთ:

კომპიუტერის შემსწავლელ კურსს თემებით:

- კლავიატურაზე ბეჭდვის ათვისება მეთოდი,
- საქმიანი დოკუმენტაციის წარმოება – MS Word,
- აღრიცხვა-ანგარიშგება-ელექტრონული ცხრილები – MS Excel,
- ლოკალური ქსელი-ინტერნეტი-ელფოსტა,
- ოპერაციული სისტემა Windows.

ცენტრში მოქმედებს სხვა კურსებიც.

მისამართი: დ.უზნაძის № 72 ტელ: 29-48-61

მსუქანი და ბედნიერი

ვერონა ფელდბუში თავს მსუქან ქალად გრძნობს. ვაჟიშვილის, სან დიეგოს დაბადების შემდეგ მას ახალი საზრუნავი გაუჩნდა: "ეს რვა კილო უნდა მოვიშორო". მართალია, ზედმეტი წონა მის ბედნიერებას ხელს არ უშლის: "მაინც ბედნიერი მსუქანი ვარ," განაცხადა 35 წლის მოდელმა.

გარდა ამისა, ვერონას დიდი ოჯახის დედობა უნდა და ორიოდე წლის შემდეგ კიდევ ორი შვილის გაჩენას აპირებს. მისი თქმით, გასული წლის სექტემბერში დაბადებულმა სან დიეგომ მას ბევრი რამ ასწავლა. ახლა ვერონამ უკვე იცის, რას ფიქრობს და რას გრძნობს ნებისმიერი ბავშვი. "ჩემი აზრით," განაცხადა ფელდბუშმა, "მსოფლიომ ბავშვები წმინდანებად უნდა აღიაროს".

ვიტნის კარგი ამბავი

ამ ბოლო დროს ვიტნი ჰიუსტონის შესახებ მხოლოდ საშინელებები გვესმის: რომ ნარკომანია, რომ ლოთობს, რომ მის ოჯახში ძალადობაა გამეფებული... ახლა კი, როგორც იქნა, კარგი ამბავიც შევიტყვეთ: ვიტნი კვლავ ორსულადაა!

სანკტ პეტერბურგში გამართული კონცერტის დროს მან ხელი მუცელზე გადაისვა და მიკროფონში ჩასძახა: "ამ სიმღერას ვუძღვნი ჩემს პატარა ქალიშვილის, კრისტინას, და მომავალ შვილს, რომელსაც მუცლით ვატარებ". ვიტნის თაყვანისმცემლები და კეთილმოსურნენი იმედოვნებენ, რომ ჯერ დაუბადებელი შვილი ვიტნის ცხოვრებას დაულაგებს და მოუწესრიგებს.

წამალი "სალხინო"

ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

სწავლა დიდ ბრიტანეთში

ბრიტანეთის საბჭოს მიერ სერტიფიცირებული საგანმანათლებლო სააგენტო "ი ელ ელი" (ELL Ltd) გთავაზობთ სწავლას დიდი ბრიტანეთის (ლონდონი, ოქსფორდი, კემბრიჯი, ბრაიტონი და ა.შ.) უნივერსიტეტების მოსამზადებელ პროგრამებზე და ინგლისური ენის სკოლებში.

ენის სასწავლო პროგრამები:

- ინგლისური ენა ზოგადი, ინტენსიური და საგამოცდო (IELTS, TOEFEL, FCE, CAE) 2-12 თვიანი კურსები.
- ინგლისური ენის მასწავლებელთა 2-4 კვირიანი სერტიფიკაციო კურსები.
- სამაფოსნო სკოლა ინდივიდუალური ან ჯგუფური სწავლა და დასვენება მოსწავლეთათვის და მოზრდილთათვის 2 კვირიდან 3 თვემდე (ჯგუფების დაკომპლექტება 1 მაისამდე).
- Work Experience/Internship ინგლისური ენის კურსი და სამუშაო გამოცდილების მიღება კომპანიებში, საათანადო სერტიფიკატის მიღებით, 2 თვიდან 1 წლამდე.

უნივერსიტეტზე მოსამზადებელი პროგრამები:

- A-Level 10-11 კლასელთათვის და სკოლადამთავრებულთათვის 1-დან 2 წლამდე.
- Foundation სკოლადამთავრებულთათვის 1 წლით.
- MBA 6 თვიდან 1 წლამდე. 21 წლიდან.

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 74, 12-უ სართული. ტელ: 22 59 57; 29 91 78; მობ.: 899 50 40 12
ელფოსტა: Nargiza_makatsaria@hotmail.com

ჯეოსელში სულ-პრიზებია!

ჯეოსელის საავანსო და საკრედიტო სისტემის აბონენტებო!

1 თებერვლიდან თქვენ მონაწილეობთ ჯეოსელის სულ-პრიზების აქციაში და ღებულობთ:

- 2 უფასო წუთს თუ თქვენი ტელეფონი ერთი თვის განმავლობაში ორმხრივადაა ჩართული
- 4 უფასო წუთს ყოველ დახარჯულ 50 ლარზე
- და კიდევ თითო უფასო წუთს ჯეოსელის აბონენტად ყოფნის თითოეული წლისათვის.

ისარგებლეთ დაგროვილი უფასო სალაპარაკო დროით.

ჯეოსელის სულ-პრიზების წამზომი ჩართულია.

ჯეოსელი უფლებას იტოვებს შეცვალოს აქციის მოქმედების ვადა და პირობები.

საინფორმაციო სამსახური 928 ან 822 770177

www.geocell.ge